პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 ივნისი **ხუთშაბათი** 2013
№137 (14 053) ფასი 80 თეთრი

# რაო?



↳5

## თქვენ გინდათ ჩემი ფული?!.

მესის საგადასახადო 4 000 000-ს ედავება



↳3

## სანდრო კობახიძე ვიტესისკენ?

გამოისყიდის მერაბ ჟორდანია ტრანსფერს?

# ლიგაზე?

# რიბერიანი მარსელისთვისაც მომიგია!

ლელოს სტუმარი
დუშან უჰრინი



ფოტო: www.interpressnews.ge

**ხუთწლიანი** პაუზის შემდეგ, თბილისის "დინამომ" საქართველოს ჩემპიონობა იზეიმა. ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა დუბლის შესრულებაც შეძლო, ყველა ეს წარმატება კი მას შემდეგ მოვიდა, რაც "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტი უმცროს დუშან უჰრინს ჩააბარეს.

ახლა მისი გუნდი უკვე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება და გვაქვს იმედი, რომ "დინამო" თავს არც საერთაშორისო ასპარეზზე შეირცხვენს. დღეს "ლელოს" სტუმარი ჩეხი სპეციალისტია, რომელიც გასულ სეზონს კიდევ ერთხელ აფასებს, სამომავლო გეგმებზეც საუბრობს და სხვა არაერთ საინტერესო საკითხზეც.

- დიდი მადლობა მოწვევისთვის. შემიძლია, თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ თემაზე გულახდილად გესაუბროთ.

**- როგორ დაისვენეთ?**

- მხოლოდ ორკვირიანი შვებულება მქონდა და ამ დროის განმავლობაში ოჯახურ საკითხებს ვაგვარებდი. გარდა ამისა, მთელი ჩეხეთი წყალდიდობით დაზარალებულ მოსახლეობას ეხმარებოდა და ამ საქმეში მეც გახლდით ჩართული. ერთი სიტყვით, საერთოდ არ დამისვენია.

**- 24 ივნისს, ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც "დინამო" ჩაიბარეთ...**

- ეს ჩემი კარიერისთვის მნიშვნელოვანი და წარმატებული პერიოდი იყო. ჯერ მხოლოდ ერთი წელი გავიდა და ვნახოთ, რამდენ ხანს მომიწევს აქ ყოფნა. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, ისე კი "დინამოსთან" კონტრაქტით კიდევ წელიწადი მაკავშირებს.

**- ურიგო კარიერა არც "დინამომდე" გქონიათ, მაგრამ პირველი ტიტულები სწორედ საქართველოში მოიპოვეთ.**

- დიახ, ასეა და ამით ძალიან გახარებული ვარ, მაგრამ ზეიმისთვის დიდი დრო არ გვქონია. ახლა მთელი ენერგიით უნდა ვემზადოთ ახალი სეზონისთვის.

გაგრძელება მე-16 გვერდზე



↳12

# ფინალი ცეცხლში

ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი ჩაიწვა

FIFA WORLD CUP Brasil

დარჩა
365
დღე



## პელემ წამზომი ჩართო



↳15

## ტიმმა ლებრონი უკან მოიტოვა



↳15

## ბრუკლინის მომავალი ჯისონზე ჰკიდია?

## აღიარება



მარცხნიდან: მერაბ ჟორდანია, „ვიტესის" ფეხბურთელი თეო იანსენი და ნიდერლანდების მეფე ვილემ-ალექსანდერსი.

# მერაბ ჟორდანიას მეფე ეწვია

„ვიტესის" მფლობელმა **მერაბ ჟორდანიამ** არა მხოლოდ ჰოლანდიაში, არამედ, საერთოდ, საფეხბურთო სამყაროში გაითქვა სახელი, როგორც უნარიანმა მენეჯერმა, რომლის გუნდი არნემის „ვიტესი" უკვე აღიარებული კლუბი გახდა მთელ ევროპაში. მერაბ ჟორდანიას სახელს ახლა უკვე უკავშირდება მისი საფეხბურთო კლუბის უნიკალური კომპლექსური ბაზის გაშენება ქ. არნემთან ნიდერლანდების ოლიმპიური ცენტრის ტერიტორიაზე. ბაზის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობის მიღება თვით ქვეყნის სამეფო ოჯახმა ისურვა. ნიდერლანდებში ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მეფემ მადლობა გადაუხადა მერაბ ჟორდანიას.

ახალი ბაზა 11 მილიონი ევრო დაჯდა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## მეტალურგი

# სანაიას დაბრუნება

მართლაც უცნაური საფეხბურთო ზაფხული გვაქვს: იმის მაგივრად, რომ ამა თუ იმ გუნდის მზადებაზე ვისაუბროთ, ჯერ ის არ ვიცით, რამდენგუნდიანი ჩემპიონატი გვექნება და რა სისტემით ჩატარდება. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით: ქართული საკლუბო ფეხბურთი ასეთ სავალალო მდგომარეობაში დიდი ხანია არ ყოფილა; იმედი დავიტოვოთ, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე ეს პრობლემები დაიძლევა და საიუბილეო, XXV ჩემპიონატსაც გუნდების მეტ-ნაკლებად ოპტიმალური რაოდენობით შევხვდებით. საბედნიეროდ, უმაღლესი ლიგის 12 გუნდიდან რამდენიმე სასიამოვნო გამონაკლისიც არის: თბილისის „დინამომ", ქუთაისის „ტორპედომ" და გორის „დილამ" ახალი სეზონისათვის მზადება უკვე დაიწყეს. სულ მალე კი ამათ რუსთავის „მეტალურგიც" შეუერთდება, თანაც — სერიოზული საკადრო ცვლილებებით. ამას წინათ უკვე ვწერდით, რომ „მეტალურგს" ახალი დირექტორი ჰყავს — **ზაზა დოლიძე** რუსთაველ კლუბში მუშაობას 3 ივნისს შეუდგა.



გელა სანაია

„მეტალურგს" ახალი სეზონისათვის მზადება 24 ივნისიდან უნდა დაეწყო, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ კლუბში მომხდარი საკადრო ცვლილებების გამო, თარიღმა გადმოიწიოს. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე დღეში ძალიან ბევრი რამ გაცხადდება და, რაც მთავარია, ოფიციალურად დაამტკიცებენ გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელს **გელა სანაიას**. აი, ის ინფორმაციაც, გუშინ რუსთაული კლუბის ვებ-გვერდზე რომ გამოქვეყნდა: **„მეტალურგის" უკვე ყოფილ მთავარ მწვრთნელს გიორგი ყიფიანსა და მის თანაშემწეს გიორგი დეკანოსიძეს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდათ.**

**უკვე გადაწყვეტილია, რომ „მეტალურგს" ახალი სამწვრთნელო შტაბი ეყოლება. გიორგი ყიფიანის ადგილს სავარაუდოდ გელა სანაია დაიკავებს. 34 წლის სპეციალისტთან აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ამჟამად მასთან კონტრაქტის ბოლო დეტალები ზუსტდება. საბოლოოდ ჩაიბარებს თუ არა სანაია „მეტალურგს", უახლოეს დღეებში გადაწყდება".** ასეთია კლუბის ოფიციალური განცხადება და ჩვენ იმასღა დავამატებთ, რომ სანაიას რუსთავში დანიშვნა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რადგან უკვე ისიც ცნობილია, რომ მას **გია ჯმუხაძე** დაეხმარება.

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, გელა სანაიას უმაღლეს ლიგაში მუშაობის გამოცდილება გააჩნია: 2009-10 წლების სეზონში თბილისის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი გახლდათ, 2010 წლის ზაფხულში „სამტრედია" ჩაიბარა და ამ გუნდში ზამთრის პაუზამდე იმუშავა. მოკრძალებული ბიუჯეტის მიუხედავად, „სამტრედიამ" იმ სეზონის პირველ ეტაპზე რამდენიმე ხმაურიანი სენსაცია შემოგვთავაზა: გელა სანაიას ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა შინ ფრედ ითამაშა მომავალ ჩემპიონ „ოლიმპთან", ხოლო ქუთაისის „ტორპედო" და თბილისის „დინამო" ერთნაირი ანგარიშით (1:0) დაამარცხა. აი, ამის მერე ამ ახალგაზრდა მწვრთნელის კარიერა მართლაც არაერთგვაროვნად წარიმართა: პრო-ლიცენზიის მქონე მწვრთნელი გარკვეული პერიოდი უმუშევარი გახლდათ; მერე იყო ყოვლად გაუგონარი სიტუაცია ფოთის „კოლხეთთან" დაკავშირებით: სანაია ფოთში სამუშაოდ მიიწვიეს, კონტრაქტიც გაუფორმეს და მეორე დღეს უთხრეს, თავისუფალი ხარო!..

გარკვეული პერიოდი გელა სანაია პირველ ლიგაში მუშაობდა: ცოტა ხნით ჯერ ხობის „კოლხეთს" წვრთნიდა, მერე კი თბილისის „ლოკომოტივს" დაუბრუნდა. ამა წლის იანვარში ასევე პირველი ლიგის „ჭიათურა" ჩაიბარა და გუნდის შედეგებიც მკვეთრად გაუმჯობესდა: პირველ ეტაპზე თუ მხოლოდ 4 მოგება ჰქონდათ ჭიათურელებს, ზამთრის პაუზის მერე 8 გამარჯვება მოიპოვეს. და აი, ორწელიწადნახევრიანი პაუზის მერე სანაია უმაღლეს ლიგაში ბრუნდება; თანაც, საკმაოდ ამბიციურ გუნდში: შვიდწლიანი ისტორიის მქონე „მეტალურგი" ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, ერთხელ მეორე ადგილზე გავიდა, ორჯერ — მესამეზე. სამწუხაროდ, წინა სეზონი „მეტალურგისათვის" კლუბის ხანმოკლე ისტორიაში ყველაზე წარუმატებელი აღმოჩნდა: გუნდმა ვერ შეძლო მთავარი მიზნის მიღწევა (პირველი ეტაპის მერე ზედა ექვსეულში მოხვედრა), არც თასის გათამაშებაში გაუმართლა (ნახევარფინალში თბილისის „დინამოს" შეხვდა) და ევროტურნირების საგზურის გარეშე დარჩა. თუმცა, ძნელია ეს წარუმატებელი სეზონი მხოლოდ და მხოლოდ გიორგი ყიფიანს დაბრალდეს — ახალგაზრდა სპეციალისტის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „მეტალურგი" მეორე ეტაპზე (ქვედა ექვსეულში) აბსოლუტურად უმოტივაციოდ ასპარეზობდა, თუმცა რუსთაველებმა რამდენიც გნებავთ, იმდენი ისეთი მატჩი ჩაატარეს, როცა მოტივირებულ მეტოქეებს ქულები არ აჩუქეს. ისე, ძალიან საინტერესოა, შეძლებს თუ არა გელა სანაია მართლაც უნიკალური „რეკორდის" დამყარებას: უმაღლეს ლიგაში „მეტალურგის" გამოჩენიდან დღემდე არც ერთ მწვრთნელს რუსთაველთა გუნდში სეზონი სრულად არ ჩაუმთავრებია...

**გია ტუხაშვილი**

## ტორპედო

# კონტრაქტი გაფორმდა, პროცესი დაიწყო

"ტორპედოს" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ჟერარდ სარაგოსამ** კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ცნობილია ქუთაისელთა სრული სამწვრთნელო შტაბიც: სარაგოსას ასისტენტი **დიმიტრი თოფურიძე** იქნება, ფიზმომზადების მწვრთნელია ესპანელი **ალბერტო ბეროკალ კორეა**, მეკარეებს **კონსტანტინე გუგუნავა** გაწვრთნის, ექიმი **დიმიტრი ზაალიშვილია**, ხოლო ფიზიოთერაპევტი – **რობერტ ხვადაგიანი**.

"ტორპედოს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, პირველ საწვრთნელ დღეს ჟერარდ სარაგოსას განკარგულებაში 22 ფეხბურთელი იყო. ექსლოკომოტიველთა გარდა, ვარჯიშში მონაწილეობა მიიღეს **ქვილითაიამ, კუპატაძემ, ჭელიძემ, სანდოხაძემ, გოგიჩაიშვილმა, ახვლედიანმა, ფირცხალავამ, მარკოზაშვილმა** და **ფანცულაიამ**. ასევე ივარჯიშა გორის „დილას" ყოფილმა თავდამსხმელმა **რევაზ ბარაბაძემ**. ქუთაისურ გუნდს წყალტუბოს „სამგურალიდან" დაუბრუნდა 21 წლის **თორნიკე კაპანაძე**.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვარჯიშს **ვაჟა ტაბატაძე, გიორგი კუხიანიძე** და **ბექა ტუღუში** აკლდნენ. კვლავ ტრავმა აქვს ფორვარდ **ნიკა საბანაძეს**, რომელიც, სავარაუდოდ, „ტორპედოს" ვერც ევროასპარეზზე დაეხმარება. ეროვნულ ნაკრებში ნათამაშებ **მერაბ გიგაურსა** და გუნდის კაპიტან **ომარ მიგინეიშვილს** კი დასვენების საშუალება მიეცათ.

ამიერიდან "ტორპედოს" ეკიპირებაზე ახალი ტექნიკური სპონსორი, "უმბრო" იზრუნებს. შეგახსენებთ, აქამდე ქუთაისური კლუბი "ნაიკით" იმოსებოდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ჟერარდ სარაგოსა

## ზესტაფონი

# მუნიციპალიტეტი ინვესტორის მოლოდინში

უკვე გაცნობეთ, რომ "ზესტაფონში" ინვესტიციების განხორციელების სურვილი გამოთქვეს ერთმა ქართულმა და ერთმა უცხოურმა კომპანიამ, რომელთა სახელებიც ჯერ არ კონკრეტდება, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ მათ მჭიდრო კონტაქტი აქვთ თბილისის "დინამოს" ყოფილ სპორტულ დირექტორ **ამირან ღიბრაძესთან**, რომელმაც "ლელოს" უთხრა, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, "ზესტაფონის" პრეზიდენტად მოიაზრება.

ჯერჯერობით კი ზესტაფონურ კლუბს არავინ ინახავს, თუ არ ჩავთვლით იმ მცირედ თანადგომას, რაც "ზესტაფონს" ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გაუწია. იმერულ კლუბში შექმნილ ვითარებაზე კომენტარი ზესტაფონის გამგებელ **ნუგზარ ქამუშაძეს** ვთხოვეთ:

„ტელეფონით ვესაუბრე ბატონ ილია კოკაიას, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება. აუცილებელია მსჯელობა და მოქმედება "ზესტაფონის" გადასარჩენად. გვთავაზობენ, რომ კლუბი ასპროცენტიან მუნიციპალურ დაფინანსებაზე ავიყვანოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტს ამის საშუალება არ გააჩნია.

როგორც სპორტის მინისტრმა ლევან ყიფიანმა თქვა, მუშავდება ერთიანი კონცეფცია, რომელიც უმაღლესი ლიგის კლუბების დახმარებას ისახავს მიზნად. თუმცა დრო გადის და კონკრეტული გამოსავალი არ ჩანს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტს კი მხოლოდ ის შეუძლია, კლუბს მცირედით დაეხმაროს. ასე მაგალითად, გადავიხადეთ ელექტროენერგიის დავალიანება, რომ სტადიონზე გაზონი არ გახმეს, გუნდს მოვეხმარეთ ტრანსპორტირებაში, მაგრამ ყოველივე ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც "ზესტაფონს" სჭირდება.

მე მხოლოდ მოხარული ვიქნები, თუ "ზესტაფონს" რეალური კერძო ინვესტორი გამოუჩნდება. მზად ვართ, ყველა დაინტერესებულ პირსა თუ კომპანიასთან ერთად მოლაპარაკებათა მაგიდას მივუსხდეთ".

**ლევან ჯანეზაშვილი**

## დილა

# როგორი იქნება ახალი დილა?

გორის „დილამ" ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან 2 მილიონი ლარი მიიღო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრიზო ფონდიდან კი 270 000 ლარი, თუმცა ეს ავტომატურად იმას არ ნიშნავს, რომ „დილაში" უკვე ყველაფერი მოგვარებულია და გუნდი კვლავაც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, რომ „დილა" დატოვეს **ნათან ჟუნიორმა, ლეონარდო რამოსმა, გოგიტა გოგუამ, ზურაბ არზიანმა** და **ზურაბ მამალაძემ**. ვებგვერდზე არ არის განმარტებული მათი წასვლის მიზეზი, თუმცა ვარაუდი რთული არ უნდა იყოს - ბრაზილიელები და გოგუა ხურდაზე არ ითამაშებდნენ „დილაში" და ახლანდელი ბიუჯეტი მათ ანაზღაურებას ვერ გასწვდება.



ფოტო: fcdila.ge

გარდა ამ ფეხბურთელებისა, „დილაში" ჯერჯერობით არ ჩანან **ლაშა თოთაძე, კახა ალადაშვილი, დავით კვირკველია** და **გიგა ბეჭვაია**. ვფიქრობ, აქაც ფინანსური მხარე უნდა იყოს მიზეზი.

ყველასათვის ცნობილია, რომ წინა სეზონის ბოლოს, კლუბს ფეხბურთელების დავალიანება დაუგროვდა და ფედერაციიდან თუ გორის მუნიციპალიტიდან მიღებული ფულის არცთუ მცირე ნაწილი ვალის გასტუმრებას მოხმარდა.

„დილაში" მაღალი ხელფასები იყო, კულუარული ინფორმაციით მაშინ, როცა კლუბი შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ფინანსდებოდა, წლიური ბიუჯეტი 9 მილიონ ლარს აჭარბებდა.

გასაგებია, რომ „დილას" დაფინანსება დამდეგი სეზონისთვისაც ექნება, თუმცა დაგვეთანხმებით, ორ და ცხრა მილიონს შორის სხვაობა მცირე არ არის, თანაც ამ ორი მილიონიდან საკმოდ დიდი ნაწილი ვალების დაფარვას უკვე მოხმარდა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „დილა" ისე ლონიერი ვერ იქნება, როგორც ბოლო ორ სეზონში იყო, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, თუ რა ბიუჯეტით შეხვდებიან 2013/14 წლების სეზონს უმაღლესი ლიგის სხვა გუნდები.

წინა სეზონი დასრულებული არ იყო, როცა ყველამ იცოდა, რომ „დილას" თითქმის ყველა ფეხბურთელს კონტრაქტი სეზონის დამთავრების შემდეგ ეწურებოდა. ახლი კი ჯერ არ ჩანს ოფიციალური ინფორმაცია, თუ ვისთან აფორმებს ახალ ხელშეკრულებას კლუბი.

რა გაქანების გუნდი იქნება „დილა" მომავალ სეზონში? ამ ეტაპზე ყველაზე აქტუალური საკითხი გორელებისთვის, ალბათ, ეს არის.

**დავით თავართქილაძე**

U19

# ხვალ ლიტვაში: წილისყრას ჩხეიძე დაესწრება

უკვე გაირკვა 19-წლამდელთა ელიტრაუნდის შვიდი ჯგუფის გამარჯვებული, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ლიტვასთან ერთად, 20 ივლისიდან 1 აგვისტომდე ევროპის ჩემპიონის ვინაობას გაარკვევენ: თურქეთი, საქართველო, პორტუგალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ჰოლანდია და სერბეთი.

ჯგუფური ეტაპის წილისყრა 14 ივნისს, კაუნასში გაიმართება. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მას **ნიკა ჩხეიძე** დაესწრება. სფფ-ის ტექნიკური დირექტორი ლიტვაში დღეს, 13 ივნისს გაემგზავრება და წილისყრამდე სამუშაო შეხვედრებშიც მიიღებს მონაწილეობას. იქვე შედგება კალენდარი და დადგინდება, რომელი ჯგუფი რომელ ქალაქში ითამაშებს. წილისყრის შემდეგ კი მასპინძლები მონაწილე ქვეყნების ფედერაციების წარმომადგენლებს იმ სასტუმროებსა და სტადიონებს დაათვალიერებინებენ, რომლებიც ევროპირველობას უმასპინძლებენ.

უკვე ცნობილია, რომ გუნდები ორ ქვეჯგუფში გადანაწილდებიან და კაუნასში იცხოვრებენ. თამაშებს კი კაუნასის გარდა, მარიამპოლი და ალიტუსი უმასპინძლებენ. ჯგუფური ეტაპის მატჩები 20, 23 და 26 ივლისს გაიმართება, ნახევარფინალები - 29 ივლისს, ფინალი კი - 1 აგვისტოს.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

# სანდრო კობახიძით ვიტესი დაინტერესდა

## გამოისყიდის მერაბ ჟორდანია ტრანსფერს?

**სანდრო კობახიძემ** ჯერ არ იცი, დნეპროპეტროვსკის "დნიპროში" დარჩება, თუ კარიერას სხვაგან გააგრძელებს. "ლელოს" ინფორმაციით, 25 წლის შემტევი ნახევარმცველით **მერაბ ჟორდანიას** "ვიტესია" დაინტერესებული, მაგრამ ჯერ შეთანხმებას ბევრი უკლია.



სანდრო კობახიძე

თავად სანდრო ჯერ არ აკონკრეტებს, მაგრამ დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ მას არნემის "ვიტესი" იწვევს. მთავარია, მერაბ ჟორდანია დნეპროპეტროვსკელებს კონტრაქტის გაწყვეტის ღირებულებაზე შეუთანხმდეს. თუმცა გარკვეული დამაბრკოლებელი ფაქტორები არსებობს. "ვიტესის" საკადრო პოლიტიკა აგებულია უკონტრაქტო ან დაბალფასიანი მოთამაშეების შესყიდვასა და შემდეგ მათ ძვირად გაყიდვაზე, კობახიძეს კი "დნიპრო" ასე იოლად ვერ შეელევა. თავად სანდროსაც არ სურს, არნემელებთან წინასწარი კონტრაქტის გაფორმება და ჰოლანდიაში გადასვლის იმედად, ნახევარი წლით სკამზე ჯდომა. ასეთი წინადადება მან უკვე რამდენიმე კლუბისგან მიიღო და უარი განაცხადა. მას თამაში და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა სურს და იმ კლუბში ითამაშებს, რომლებიც დნეპროპეტროვსკელებს დროულად შეუთანხმდებიან.

მერაბ მამულაშვილი

# მამუკა კობახიძე ალანიადან მოდის



მამუკა კობახიძე

ვლადიკავკაზის "ალანიაში" გუნდის საერთო კრებაზე მომავალი სეზონის მოსამზადებელი გეგმები განიხილეს და გადაწყდა, რომ გუნდს რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებდა.

წამსვლელთა სიაში საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატი **მამუკა კობახიძეც** აღმოჩნდა. 20 წლის ცენტრალური მცველი ვლადიკავკაზურ კლუბში იანვარში ჩაირიცხა. ეს იყო ექვსთვიანი იჯარა, კობახიძეზე უფლებები კი დღემდე „ზესტაფონს" ეკუთვნის.

სამწუხაროდ, „ალანიაში" მოხვედრილ ქართველს პრემიერლიგაში ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია და ცხადია, ასეთი ყოფა არ აწყობდა. სად გააგრძელებს მამუკა კარიერას, ჯერ უცნობია.

მერაბ მამულაშვილი

ტრანსფერი

# თექთურმანიძე სპარტაკში

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული ცხინვალის „სპარტაკი" 16 ივნისს შეიკრიბება, მეორე დღეს სამედიცინო შემოწმებას გაივლის, 18 ივნისიდან კი ვარჯიშს დაიწყებს. **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდს შეკრებაც აქვს დაგეგმილი - 25 ივნისს ბაკურიანში უნდა გაემგზავროს თორმეტი დღით.

„სპარტაკიდან" ჯერ არავინ წასულა, რაც შეეხება მომსვლელებს, მიღწეულია შეთანხმება, რომ ამ გუნდში 22 წლის **გიორგი თექთურმანიძე** ითამაშებს.

თექთურმანიძე „დინამო თბილისს" ეკუთვნის, წინა სეზონის პირველ ეტაპზე რუსთავის „მეტალურგში" იყო განათხოვრებული და ევროპა ლიგის შესარჩევშიც ითამაშა.

თექთურმანიძე შემტევი შუახაზელია, ტექნიკური, არაორდინალური გადაწყვეტილებების უნარის მქონე ფეხბურთელი, რომელიც უმცროსი **დუშან უჰრინის** გემოვნებაში თუ მონახაზში ვერ ჩაჯდა.

თექთურმანიძე „სპარტაკში" ექვსთვიანი იჯარით ითამაშებს - ასეთია შეთანხმება და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ის სპარტაკელი გახდება.

დავით თავართქილაძე

ევროფინალამდე. წარმოგიდგენთ 19-წლამდელებს

# ლუკა ზარანდია დროებით ტორპედოში ითამაშებს?

**დღევანდელ ნომერში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყველაზე უმცროს წევრს, ლუკა ზარანდიას წარმოგიდგენთ. 17 წლის თავდამსხმელი ქართველმა გულშემატკივარმა შარშან, შემოდგომაზე გაიცნო. მაშინ გიორგი დევდარიანის 17-წლამდელთა ნაკრებმა უკრაინასთან მარცხის შემდეგ (1:3), ლუქსემბურგი (3:1) და შოტლანდია (3:0) დაამარცხა და ელიტრაუნდის საგზური მოიპოვა.**

**ამ მინი-ტურნირზე ზარანდია საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო. ფლანგის შემტევმა სამ მატჩში მეტოქეთა კარი სამჯერ აიღო, სულ კი 17-წლამდელებში ჩატარებულ რვა მატჩში შვიდი გოლი ჩაიწერა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. ლუკა ნაკრებში გამორჩეული იყო: 2012 წელს ის სამ ტურნირზე აღიარეს საუკეთესო მოთამაშედ (ბელარუსში, პოლონეთსა და კასპიის თასზე) წლეულს, ელიტ რაუნდზე ორჯერ ითამაშა - პირველად დევდარიანის 17-წლამდელთა ნაკრებში, მაისში კი გია ცეცაძის 19-წლამდელებში და ამ უკანასკნელის რიგებში ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა.**

**ამ შემთხვევაში ტრადიციას გადავუხვიეთ და ფეხბურთელის ნაცვლად მამამისს - თამაზ ზარანდიას ველაპარაკეთ, რომელიც იხსენებს თუ როგორ ცდილობდა მის ვაჟს ინდივიდუალიზმი არ დაეკარგა და ნიჭი განევითარებინა.**

### ფეხბურთზე დიდი თხოვნით

სოლოლაკში ენგელსის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ფეხბურთზე მხოლოდ 9 წლისა შევიდა, რადგან ვეწინააღმდეგებოდი. ყოფილი ფეხბურთელი ვარ და ძალიან კრიტიკული ვიყავი - ლუკას თამაში არ მომწონდა.

მაგრამ ფეხბურთი ძალიან უყვარდა და ტიროდა, საფეხბურთო სკოლაში რომ არ შემყავდა. ბავშვი ოჯახის წევრებმა შეიცოდეს და მათ თხოვნას დავთანხმდი. "შევარდენის" საფეხბურთო სკოლაში შევიყვანე - რაც შეიძლება შორს, ვინმე ნაცნობს რომ არ ენახა და არ შევრცხვენილიყავი.

ახლა კი მეცინება, მაგრამ მაშინ ლუკას თითოეულ შეცდომას ძალიან განვიცდიდი. ვერ ვიტყვი, რომ ფეხბურთელის არაფერი ეტყობოდა, საკმაოდ სწრაფი და სხარტი იყო, მაგრამ დიდი მოთამაშის კრიტერიუმებით ვაფასებდი და შესაბამისსაც ვთხოვდი. ცხადია, პატარა ბავშვი ასე ვერ ითამაშებდა.

### როგორ გავზარდოთ ინდივიდუალისტი?

მისი პირველი მწვრთნელები **ვაჟა ხუბეჯიშვილი** და **გია ნავროზაშვილი** იყვნენ. ერთი წლის შემდეგ, 35-ე სკოლაში გადავიყვანე, სადაც 2012 წლამდე **ზურა თარაშვილთან** იზრდებოდა. ის თავისუფლებას აძლევდა, არ ზღუდავდა, ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას აძლევდა... მერე და მერე გამოჩნდა, რომ ლუკამ საუკეთესო თვისებები განავითარა, რისთვისაც ზუ-

### დამატებითი ვარჯიშები

ვცდილობდი დავხმარებოდი, უფრო მოქნილი, სწრაფი და ლონიერი რომ გამხდარიყო. ჩემი მეუღლე **ხათუნა ნანიშვილი** საკმაოდ წარმატებული ტანმოვარჯიშე გახლდათ და ფეხბურთიც უყვარდა. ტანვარჯიშით ადამია-
6 ი

რას მადლიერი ვარ. მან გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა - ელემენტარულად, ლუკასთვის ხელი არ შეუშლია.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი საშინელი შეცდომაა - ბავშვებს საუკეთესო თვისებების გამოვლენას უკრძალავენ და თავიდანვე მხოლოდ პასებით თამაშს აიძულებენ, რაც მათ ინდივიდუალიზმს კლავს. არადა, ჩვენი ფეხბურთი სწორედ ასეთებზე იდგა.

უფრო მოქნილი ხდება და გარკვეული პერიოდი ამ სახეობაზე დავატარებდი. ახლა ნაქცეული სწრაფად ახერხებს წამოდგომას და თამაშის გაგრძელებას, რაც ორთაბრძოლებში ძალიან მნიშვნელოვანია. მცირე ხნით, კალათბურთსა და ფიგურულ სრიალზეც კი შევიყვანე, რადგან კალათბურთი ნახტომის გაუმჯობესებას უწყობს ხელს, ფიგურული სრიალი უკეთეს კოორდინაციას, თან ორგანიზმისთვისაც სასარგებლოა.

### პლუს-მინუსები

ლუკას ნაკლი თავით თამაშია და ახლა ცდილობს ეს კომპონენტი გააუმჯობესოს. არ დავმალავ, ბავშვობაში ზარმაცი იყო. ვარჯიშებს არ აცდენდა, მაგრამ თავსაც არ იკლავდა. **გიორგი დევდარიანიც** მეუბნებოდა, შესაძლოა, ვარჯიშებზე არც მოგეწონოს, მაგრამ მოედანზე გასული სულ სხვა არისო.

მოედანზეც თავისებურია. სუსტი გუნდების წინააღმდეგ ისეთი მოტივირებული არ არის, როგორც ძლიერებთან. უკომპლექსოა და ძლიერ მოწინააღმდეგეებთან კი არ ითრგუნება, უფრო მოტივირებული ხდება. ფეხბურთელებმა კარგად იციან, რომ მწვრთნელები მეტოქის ყველაზე სახიფათო მოთამაშის გასანეიტრალებლად, ზოგჯერ მის წინააღმდეგ უხეშობას ავალებენ. ზოგიერთს ერთხელ მიარტყამენ და ჩერდება. ლუკა ამაზე უფრო მწარდება და ბრძოლის მეტი ჟინი უჩნდება.

საერთოდ, საკმაოდ კონტაქტურია და ვიცი, რომ ლამის ყველა ასაკობრივი და ეროვნული ნაკრების მოთამაშეს ახლოს იცნობს.



**დოსიე**

**ლუკა ზარანდია**

**დაიბადა:** 1996 წლის 17 აპრილს

**პოზიცია:** თავდამსხმელი

**სანაკრებო კარიერა**

**დებიუტი:** 30.10.12 - საქართველო-უკრაინა 1:3 (U17 საკვალიფიკაციო)

**U19 - 1 მატჩი, 0 გოლი**

**U17 - 8 მატჩი, 7 გოლი**

### აიაქსამდე ტორპედოში?

2012 წლის ზაფხულში, 35-ე სკოლიდან თბილისის "ლოკომოტივში" გადავიდა. 19-წლამდელების ელიტ რაუნდამდე, გასინჯვაზე ამსტერდამის "აიაქსში" მიიწვიეს და ვიცი, რომ გუნდის მთავარ მწვრთნელს **ფრანკ დე ბურს** თავი მოაწონა. მაგრამ არნემის "ვიტესიც" იწვევს და ჯერ არ ვიცით, სად ითამაშებს. ხელს ასაკიც უშლის, 17 წლის ბიჭი ევროკავშირის ქვეყანაში კონტრაქტს ვერ გააფორმებს. ამასობაში, "ლოკომოტივის" 17 მოთამაშე ქუთაისის "ტორპედოში" გადავიდა და ლუკასაც იგივე შესთავაზეს. თუმცა, სად ითამაშებს, ეს ჯერ არ ვიცით.

მერაბ მამულაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# თემურ ლორია გურიას მომზადებაზე

## უმაღლესის გუნდი სხვა ქალაქში არ უნდა თამაშობდეს

**ლანჩხუთის "გურიას" მთავარი მწვრთნელი თემურ ლორია, ისევე როგორც უმაღლესი ლიგის გუნდების დამრიგებელთა უმრავლესობა, გაურკვეველ მგომარეობაშია და არ იცის, ახალი სეზონისთვის გუნდი მზადებას როდის დაიწყებს...**

**- დავიწყოთ იმით, რა ცვლილებები მოხდა "გურიაში" - ვინ წავიდა და ვინ დაიმატეთ...**

- მოსულებსა და წასულებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

**- რატომ?**

- "გურია" კერძო კლუბი არ არის და მისი ბედი მთლიანად სახელმწიფო სტრუქტურაზეა დამოკიდებული. ლანჩხუთის გამგებელი ზაზა ურუშაძე აქტიურობს და სურს, რომ კლუბს კარგი პირობები ჰქონდეს. საამისოდ, ცოტა ხნის წინათ, უკრაინაშიც იმყოფებოდა, სპონსორებს უნდა დაკავშირებოდა, ამხანაგურ შეხვედრებზე მოლაპარაკება სურდა და ა.შ. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასაზუსტებელი და საბოლოო პასუხს ველით. წესით, მალე ყველაფერი გვეცოდინება. ველოდებით ზარს, რომ გამგეობაში დაგვიბარებენ და გვეტყვიან - რა ოდენობის ბიუჯეტი გვექნება.

**- გამოდის, ჯერ არ იცით, სად მოემზადებით და ვის წინააღმდეგ ითამაშებთ?**

- გარკვეული მონახაზი არსებობს და მომსვლელ-წამსვლელთა ვინაობაზეც ვფიქრობთ. უმაღლეს ლიგაში გადასულ გუნდს გაძლიერება და კარგი მომზადება სჭირდება. ჩემპიონატის პირველი ტური აგვისტოს დასაწყისისთვის იგეგმება და ახლა, თითოეულ დღეს ოქროს ფასი აქვს. მაგრამ სანამ დაფინანსების საკითხი არ გაირკვევა, როგორ ვთქვა, ვის მოვიწვევთ და ვის გავუშვებთ? ეს ხომ ყველაფერი კონკრეტულ თანხებს უკავშირდება.

**- ისიც არ იცით, დაფინანსება გექნებათ თუ არა?**

- არა მგონია, რომ პრობლემები შეგვექმნას. დაფინასება უნდა იყოს, მაგრამ დასაზუსტებელია, რამხელა ბიუჯეტი გვექნება.

**- ბიძინა ივანიშვილი ლანჩხუთელებს მიტინგზე შეპირდა, რომ "გურიას" აალორძინებდა. ესაა თქვენი იმედის საფუძველი თუ სახელმწიფოს სტრუქტურებისგან კონკრეტული დანაპირებიც გაქვთ?**

- ივანიშვილმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ „გურიას" ალორძინება სურს და ამას გარდა, კონკრეტული საუბარიც შედგა. მაგალითად, მალე ფეხბურთელებს პირველ ლიგაში გამარჯვებისთვის ბონუსები გადაეცემათ.

**- "გურიას" ინფრასტრუქტურა უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს აკმაყოფილებს?**

- ამ წუთში სტადიონი მზად ნამდვილად არ არის, მაგრამ სამუშაოები მიმდინარეობს.

**- კონკრეტულად რა არის გასაკეთებელი?**

- სტადიონი უსაფრთხოების ნორმებს ვერ აკმაყოფილებს, რადგან შესაღობია. ამას გარდა, პირველ ლიგაში სათადარიგო მოედნის გასახდელებით ვსარგებლობდით. მაგრამ უმაღლეს ლიგაში ასეთ სტადიონს არ დაუშვებენ და მიდის მუშაობა, რომ მინიმალური მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ.

**- თუ ნორმები ჩემპიონატის დაწყებამდე არ დააკმაყოფილეთ, სათადარიგო სტადიონი შეგულებული გაქვთ?**

- გუნდი უმაღლეს ლიგაში როცა გადადის, სხვის სტადიონზე თამაში უხერხულია. იმედია, პირველ ტურამდე დარჩენილ დროში პრობლემების მოწესრიგებას შევძლებთ.

**- სტადიონის მშენებლობა როდის დასრულება?**

- ეს საკმაოდ სერიოზული პროექტია და ჩემპიონატამდე მისი დასრულება, ალბათ, ვერ მოხერხდება.

**- ასეთ პირობებში გაქვთ იმედი, რომ უმაღლეს ლიგას ღირსეულად დაუბრუნდებით?**

- გამგეობაც და ივანიშვილიც იმას ამბობდნენ, რომ "გურია" მაჩანჩალა არ უნდა იყოს. ამას ტყუილად ხომ არ იტყოდნენ? საამისოდ, მცდელობას ჩვენც არ დავაკლებთ.

**- საერთოდ, წელს უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობა მომზადებას გვიან იწყებს და დიდი გაურკვევლობაა...**

- პრობლემა მართლაც წამოიქმნა, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო. ადრინდელივით ველარ გაგრძელდებოდა, ქართულ ფეხბურთს ახალი სისტემა და დაფინანსების წყაროები სჭირდება, რაც ასე ადვილად და სწრაფად ვერ გადაწყდება. მაგრამ მეორე მხრივ, დროც არ ითმენს, სეზონი და ევროთასების მატჩები კარს მოგვადგა.

მე თუ მკითხავთ, თუ გუნდს რამის პრეტენზია გააჩნია, 15-20 ივნისისთვის მზადება დაწყებული უნდა ჰქონდეს.



თემურ ლორია

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# ლუკა თათხაშვილი: დაჩიადან ჩერნომორეცში?

ერთი წელია, რაც კიშინიოვის "დაჩიაში" ქართველი ფეხბურთელი **ლუკა თათხაშვილი** გამოჩნდა. წლეულს ის ძირითად გუნდში გადაიყვანეს, მაგრამ, შესაძლოა, მალე უკრაინაში გადავიდეს.

*"კიშინიოველები ევროპის ლიგის მატჩებისთვის მზადებას 20 ივლისს დაიწყებენ. გუნდში თათხაშვილიც იქნება: თუმცა, ამ მოთამაშით რამდენიმე უკრაინული და პოლონური კლუბი დაინტერესდა და შესაძლოა, ზაფხულში კარიერა სხვაგან გააგრძელოს. დაინტერესება არის ალჩევსკის "სტალიდან" და ერთ-ერთი პოლონური გუნდიდან, თუმცა უფრო რეალური ოდესის "ჩერნომორეცის" წინადადებაა. მოლაპარაკება მიმდინარეობს და პასუხი მალე გვეცოდინება. ლუკა საინტერესო მარჯვენა მცველია, პროგრესირებს და სელექციონერებს ეს არ გამოპარვიათ",* – გვითხრა ფეხბურთელის მენეჯერმა **დათო გოგოლაძემ.**

*"გუნდის მთავარ მწვრთნელს, იგორ დობროვოლსკის მოვწონდი და ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მითხრა - ახალი სეზონიდან თამაშებს მოგცემო. მაგრამ სეზონის შემდეგ, მან "დაჩია" დატოვა და მეც ახალ გუნდში გადასვლა მირჩევნია. უკრაინული ვარიანტები იმით არის საინტერესო, რომ ბევრად უკეთესი დონის ჩემპიონატია და იქნებ, ჩემით ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობაც დაინტერესდეს. იმედია, მათ ყურადღებას დავიმსახურებ"* – ამბობს თათხაშვილი.

გოგოლაძემ კიშინიოვის მეორე გუნდში - "ზიმბრუში" ორი ჩვენებური ფეხბურთელი წაიყვანა, მათ კი ფინანსური პრობლემების გამო, ახლახან გუნდი დატოვეს: *"ბოლო დროს, მოლდოვის კლუბებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ. ამის გამო მოხდა ის, რაზეც თქვენთან დაიწერა. ეს არ იყო პროფესიული მიდგომა და შექმნილ ვითარებაზე "ზიმბრუს" ხელმძღვანელობასთან უსიამოვნო ლაპარაკი მქონდა - დავინტერესდი, ჩემს ფეხბურთელებს ხელფასი და პრემია რატომ არ გაუსტუმრეს. მაგრამ შემპირდნენ, რომ ვითარება მალე გამოსწორდება და დავალიანებას აუცილებლად დაფარავენ".*



ლუკა თათხაშვილი

**მერაბ მამულაშვილი**

თვალსაზრისი



# მდიდარი, ღარიბი...

ვინც წიგნთან ახლოს არის, უკვე წაკითხულსაც ჩამოიღებს ხოლმე თაროდან და გემრიელ ეპიზოდებს ხელახლა გადაიკითხავს. ამას შესაბამისი სიტუაცია და ემოცია სჭირდება.

საქართველოზე და ქართულ ფეხბურთზე გაუთავებლად შეიძლება ლაპარაკი, ვილაცის კრიტიკა, ვილაცის ქება, მიზეზების ძებნა და სამომავლო გეგმების აწყობა. ხელმოცარვის თავი და თავი კი ჩვენი სიღარიბეა.

სიღარიბეში კარგი არაფერია, აქ სულ ტყუილად ეძებენ ბოჰემასა და რომანტიკას. სიღარიბე თამბაქოსავით იოლად მისაჩვევი არ არის, ადამიანიც ებრძვის მას და ამ ბრძოლაში გადის ცხოვრება.

ადრე უფრო მეტი იყო ფულიანი გუნდი საქართველოში, ოღონდაც იმიტომ არა, რომ ადრე უფრო კარგად ცხოვრობდა ჩვენი ხალხი. ქუთაისის „ტორპედოს" რუსეთში მოსაქმე ბიზნესმენი **ზურაბ ხინიკაძე** აფულიანებდა, „დინამო თბილისს" ასევე რუსეთში გამდიდრებული **ბადრი პატარკაციშვილი**, თბილისის „ამერსაც" დაფინანსების უდიდესი ნაწილი რუსეთიდან მისდიოდა, ამბობენ, რომ **ილია კოკაიას** უკრაინელი პარტნიორები უწყობდნენ ხელს „ზესტაფონის" დაფინანსებაში... ერთი პერიოდი კარგი ბიუჯეტი ჰქონდათ საქართველოს რკინიგზისგან დაფინანსებულ თბილისის „ლოკომოტივს" და შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოლონიერებულ გორის „დილას", თუმცა უწყებრივი კლუბები უკვე ძალიან დიდ ანაქრონიზმს წარმოადგენენ...

საქართველო კოლონია იყო, რუსეთი მიტროპოლია, ამიტომაც ქართველები რუსეთში მიდიოდნენ ფულის საშოვნელად. მერე პოლიტიკური ვითარება გამწვავდა, რუსეთში მოსაქმე ქართველი ბიზნესმენები საქართველოში ფულით ჩამოსვლას ერიდებოდნენ. „დინამო თბილისის" ახლანდელი პრეზიდენტი **რომან ფიფიაც** რუსეთშია გამდიდრებული, თუმცა „დინამოში" მისი მისვლა უფრო უწინდელი ხელისუფლების ინიციატივას ჰგავს.

მხოლოდ რუსეთი და უკრაინა. სხვა ქვეყანაში გამდიდრებული ქართველების ინვესტიცია ქართულ ფეხბურთში - ასეთი რამ მე არ გამიგია. და საერთოდ, ქართველები რუსეთისა და უკრაინის გარდა, სხვა ქვეყნებში თითქმის ვერ მდიდრდებიან.

ვფიქრობ, ის მდიდარი ქართველები, რუსეთში რომ საქმიანობენ, საჭირო ხალხია ქართული ფეხბურთისთვის. ეს ის სეგმენტია, ქართულ ფეხბურთში რეალურად რომ შეუძლია მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელება.

მილიონერები საქართველოშიც არიან, მაგრამ მათ უმეტესობას ფეხბურთი არ უყვარს და ცხადია, რომ ამ სფეროში სოციალური პროექტები მათთვის მიმზიდველი არ არის.

საქართველოში მდიდრებს უკვე აღარ ავალებენ საფეხბურთო გუნდის მაღალ დონეზე შენახვას, ესეც წარსულს ჩაბარდა.

სახელმწიფო ვერ აფინანსებს უმაღლესი ლიგის ყველა კლუბს, სიღარიბეა მეტი წილი ქართული კლუბების ხვედრი.

დუხჭირი ცხოვრება კი ჩაგრავს და აჩიავებს ადამიანებს. სიღარიბე ყველა ქვეყანას გამოუვლია, ოღონდაც ყველა ქვეყანა არ არის თანაბარი შესაძლებლობების მხრივ.

ძალიან ბევრია საქართველოზე მდიდარი ქვეყანა და ფეხბურთშიც ძალიან ბევრი დაგვეწია, გაგვისწრო, და ვინც უკვე ჩვენზე წინ იყო, კიდევ უფრო დიდი მანძილით დაგვშორდა.

რა უნდა ვქნათ?

ირვინ შოუს „მდიდარი, ღარიბი" ჩამოვიღე თაროდან. ცხადია, მკითხველს სულ არ აინტერესებს ჩემი ამბავი, ჯორდახების ოჯახის ამბავი კი სწორედაც რომ საინტერესოა, თუნდაც იმიტომ, რომ მოქმედება ამერიკაში ხდება, შესაძლებლობების ქვეყანაში.

„მდიდრების ამინდია" - ასე ამთავრებს ამბავს ირვინ შოუ.

ჩვენ კი ღარიბები ვართ, ხალხი ისე დაითრგუნა, სტადიონზე ძლივს დადის ფეხბურთის საყურებლად და ეს წლობით დუხჭირი ცხოვრების ბრალი უნდა იყოს.

უიმედობის განცდაც ძალაუნებურად მოდის.

ქართულ ფეხბურთს ისევ გარედან თუ მოაფულიანებს ვინმე, კლუბების მოღონიერების სხვა საშუალება ჯერ არ ჩანს.

**დავით თავართქილაძე**

სიტუაცია

# კალაძე რეკორდსმენებშია

რამდენიმე დღის წინათ, დონეცკის "შახტარმა" ბრაზილიელი ცენტრალური ნახევარმცველი **ფერნანდინიო** "მანჩესტერ სიტიში" 40 მილიონ ევროდ გაყიდა. ამგვარად, დონბასელებმა უკრაინის პრემიერლიგის რეკორდი დაამყარეს - მანამდე ამ თანხად უკრაინიდან მოთამაშე არ წასულა.

უკრაინაში გასული წლების ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერები გაიხსენეს, სადაც **კახა კალაძე** კვლავ ლიდერებშია.

*"ქართველი მცველის კახა კალაძის გადასვლა იტალიურ "მილანში" კიევის "დინამოს" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ტრანსფერი გახლდათ. კიეველებმა ქართველი მოთამაშე 300 ათას დოლარზე ნაკლებ ფასად შეიძინეს, სამი წლის შემდეგ კი 20 მილიონ დოლარად გაყიდეს"*, - წერს ერთ-ერთი ვებგვერდი.

უკრაინის პრემიერლიგის სარეკორდო ტრანსფერების სია ასე გამოიყურება:

**1. ფერნანდინიო**
2013, "შახტარი"-"მანჩესტერ სიტი", 40 მლნ ევრო

**2. ვილიანი**
2013, „შახტარი"-"ანჟი", 35 მლნ ევრო

**3. დმიტრი ჩიგრინსკი**
2009, "შახტარი"-"ბარსელონა", 25 მლნ ევრო

**4. ანდრეი შევჩენკო**
1999, "დინამო" (კ)-"მილანი", 25 მლნ დოლარი

**5. კახა კალაძე**
2001, "დინამო" (კ)-"მილანი", 16 მლნ ევრო

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# შტუტგარტმა მოა იყიდა

## 4-წლიანი კონტრაქტი აბდელაუს, ლაიტნერი გზაშია



მოჰამედ აბდელაუ შტუტგარტისთვის შეუტევს

როგორც მოსალოდნელი იყო, 27 წლის თავდამსხმელი **მოჰამედ აბდელაუ** „ჰანოვერიდან" „შტუტგარტში" გადაბარგდა და შვაბენლანდურ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. *„მიხარია, რომ მოა ჩვენთან გადმოვიდა. ის საერთაშორისო დონეზე გამოცდილი თავდამსხმელია და ჩვენს წინა ხაზს მნიშვნელოვნად გააძლიერებს,"* - უთხრა „შტუტგარტის" მენეჯერმა **ფრედი ბობიჩმა** „კიკერს".

*„შტუტგარტელთა წინადადებაზე ბევრი არ მიფიქრია. ეს უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდია, რომლის ფორმას დიდი სიამოვნებით მოვირგებ. იმედია, „შტუტგარტი" გაძლიერდება და მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს,"* - ეს თავად აბდელაუს სიტყვებია.

ნორვეგიის ნაკრების თავდამსხმელს, რომელიც წარმოშობით მაროკოელია, ბუნდესლიგაში 80 მატჩში 29 გოლი აქვს გატანილი, ნორვეგიის ნაკრებში კი 25 შეხვედრაში 6 გოლი, 2011 წელს ნორვეგიაში წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „შტუტგარტს" აბდელაუს ტრანსფერი 3.5-დან 4 მილიონ ევრომდე დაუჯდა.

შეგახსენებთ, რომ „შტუტგარტმა" მანამდე **კონსტანტინ რაუში** (ასევე „ჰანოვერიდან", უფასოდ), **მარკო როხასი** (მელბურნიდან), **დანიელ შვააბი** (ლევერკუზენიდან), **სერჩან სარარერი** (ფიურტიდან) და მეკარე **ტორსტენ კირშბაუმი** (კოტბუსიდან) გადაიბირა. თითქმის გადაწყვეტილია დორტმუნდის „ბორუსიადან" **მორიტც ლაიტნერის** ტრანსფერი, რომელიც შვაბებს არენდით შეუერთდება.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი



# ჰამბურგს სანტა კრუსი უნდა

რამდენიმე დღის წინათ „ჰამბურგის" სპორტულ დირექტორად 47 წლის **ოლივერ კროიცერი** დაინიშნა და ახალი ბოსი მთავარ მწვრთნელ **ტორსტენ ფინკთან** ერთად გუნდის გაძლიერებაზე ზრუნვას შეუდგა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ფინკს და კროიცერს ჩრდილოგერმანული კლუბისთვის პირველ რიგში მაღალი კლასის ცენტრფორვარდი სურთ - „ბილდი" წერს, რომ „ჰამბურგს" „მალაგას" ექსთავდამსხმელის, **როკე სანტა კრუსის** გადაბირება უნდა.

*„სანტა კრუსი ძალიან საინტერესო ფეხბურთელია და რამდენადაც ვიცი, კლუბის გამოცვლა უნდა,* - აცხადებს კროიცერი და დასძენს, - *როკე ჩვენს პროფილს იდეალურად ესადაგება. გოლეადორის ალღო აქვს, შეუძლია, წინა ხაზზე მარტომ იბრძოლოს და კარგი პასების ჩამორიგებაც ეხერხება. რაც მთავარია, ძალიან გამოცდილია."*

„ჰამბურგისთვის" ყველაზე მთავარი ალბათ ის არის, რომ 31 წლის სანტა კრუსის გადაბირება უფასოდაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ფინკი სანტა კრუსს „ბაიერნიდან" იცნობს - ტორსტენი და როკე რეკორდმაისტერში 4 წლის მანძილზე ერთად თამაშობდნენ. სანტა კრუსი „ბაიერნში" 1999-დან 2007 წლამდე ირიცხებოდა და 155 მატჩში 31 გოლი გაიტანა. 2009 წელს „მანჩესტერ სიტიმ" „ბლექბერნს" როკეს სანაცვლოდ 21.2 მილიონი ევრო გადაუხადა, გასულ სეზონში კი პარაგვაელი „მალაგაში" იყო განათხოვრებული. ახლა კი როკეს „სიტისთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტია.

### ფინკი კლოზეზეც ფიქრობს

„ჰამბურგს" გაძლიერება დაცვის ცენტრშიც სჭირდება და „ბილდის" ინფორმაციით, ფინკი ნიურნბერგელ უკანახაზელ **ტიმ კლოზეს** უმიზნებს. 25 წლის მცველს ფრანკებთან კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული და მისი გადაბირება „ვოლფსბურგსაც" უნდა, მაგრამ გაირკვა, რომ შვეიცარიელი „ვოლფსბურგის" ვარიანტით მოხიბლული არაა და ალტერნატიულ წინადადებებსაც განიხილავს.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები



კრიშტიანო რონალდო

### ისევ მონაკო, ისევ რონალდო, ისევ დიდი ფული

ევროპული მედია მანამ არ მოისვენებს, სანამ **კრიშტიანო რონალდო** მადრიდის „რეალთან" ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს, ან მართლა გადავა რომელიმე სხვა გუნდში. მანამდე კი სპეკულიაციები თუ საფუძვლიანი ხმები არ ჩერდება. ესტაფეტა ინგლისელმა ჟურნალისტებმა გადაიბარეს, რომელთა წყაროს ცნობით, „მონაკო" მზადაა, კრიშტიანო რონალდოს სანაცვლოდ 100 მილიონი ევრო შესთავაზოს.

თუ ეს ტრანსფერი მართლა განხორციელდა, 28 წლის პორტუგალიელი თავისივე მსოფლიო რეკორდს მოხსნის (94 მილიონი ევრო).

ელიტაში დაბრუნებულ „მონაკოს" მილიარდელმა რუსმა მფლობელმა **დმიტრი რიბოლოვლევმა** გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება დაუსახა მიზნად. ამისთვის კი რუსი ბიზნესმენი ფულს არ ზოგავს.

შეგახსენებთ, რომ „მონაკოში" უკვე გადავიდნენ **რადამელ ფალკაო, ჯეიმს როდრიგესი, ჟოაო მოუტინიო** და **რიკარდო კარვალიო.**

### ბარსელონას ტორესი სურს

ესპანური პრესის ცნობით, „ბარსელონას" „ჩელსის" ესპანელი ფორვარდის, 29 წლის **ფერნანდო ტორესის** შეძენა სურს.

კატალონიურ გუნდში სურთ ისეთი ცენტრფორვარდის დამატება, რომელიც სეზონში 20-25 გოლს აუცილებლად გაიტანს, თან გაგებით მოეკიდება გუნდის როტაციას.

შეგახსენებთ, რომ ახლახან „ბარსელონამ" **ნეიმარი** დაიმატა და თუკი ტორესის ტრანსფერიც განახორციელა, გუნდში **დავიდ ვილიასა** და **ალექსის სანჩესის** ადგილი აღარ დარჩება.



ფერნანდო ტორესი

### ბარსა ვარანს ვერ შეწვდა

ესპანური პრესის მტკიცებით, „ბარსელონამ" მადრიდის „რეალიდან" **რაფაელ ვარანის** გადაყვანა სცადა, თუმცა ეს ვერ შეძლო. 20 წლის ფრანგმა ჩემპიონატში ამ სეზონში 15 მატჩი ითამაშა, მას მომავალ სეზონში დაცვის ხაზის შეუცვლელ წევრად მიიჩნევენ.

ვარანმა თავად განაცხადა უარი „ბარსელონაში" გადასვლაზე, რადგან ის დიდად აფასებს, რომ „სამეფო კლუბში" ენდობიან. შეგახსენებთ, რომ **ტიტო ვილანოვა** ახალ ცენტრალურ მცველს ეძებს. ახლა ყველაზე რეალურ კანდიდატად „რეალ სოსიედადის" ახალგაზრდა მცველი **ინიგო მარტინესი** განიხილება.

### 30 მილიონი იგუაინში ცოტაა

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** განაცხადა, რომ **გონსალო იგუაინის** თაობაზე მისთვის არც ერთ კლუბს არ მიუმართავს და რომ პრესაში გამოთქმული ვარაუდი, არგენტინელი 30 მილიონ ევროდ გაიყიდება, არასწორია.

*„თუკი ისინი მართლა 30 მილიონის შემოთავაზებას აპირებენ „პიპიტას" ნაცვლად, ურჩევნიათ, ასეთი წინადადებით ჩვენთან საერთოდ არ მოვიდნენ. იგუაინი ამ თანხაზე მეტი ღირს",* - განაცხადა „რეალის" პრეზიდენტმა.



გონსალო იგუაინი

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ, ეს ტრანსფერი რეალური ჩანდა, როგორც ჩანს, მოლაპარაკება ჩიხშია შესული. თავად იგუაინმა უკვე განაცხადა, რომ „რეალიდან" მიდის. „ტრანსფერმარკტი" 25 წლის ფორვარდს 38 მილიონ ევროდ აფასებს.

### სენა კარიერას ამერიკაში დაასრულებს

ესპანეთის ნაკრების ყოფილი წევრი და „ვილიარეალის" ყოფილი კაპიტანი **მარკოს სენა** კარიერას ამერიკის შეერთებულ შტატებში განაგრძობს. 36 წლის ნახევარმცველმა 11-წლიანი ერთგულების შემდეგ, „ვილიარეალის" ხელმძღვანელობას გაშვება სთხოვა, რადგან მას MLS-ის ერთ-ერთი კლუბი იწვევს. „ვილიარეალის" ხელმძღვანელობაც წინააღმდეგი არ წასულა.

მარკოს სენა ევრო 2008-ის ჩემპიონია, მან ესპანეთის ნაკრებში 27 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები



ლეო მესი

### მესი გადასახადების დაფარვაში ეჭვმიტანილნი

ესპანური პრესის მტკიცებით, „ბარსელონას" არგენტინელი ვარსკვლავი **ლიონელ მესი** ფინანსურ სკანდალში გაეხვა. ლიონელი და მისი მამა **ხორხე ორასიო მესი** 2007 წლიდან 2009 წლის ჩათვლით გადასახადებების დამალვაში არიან ეჭვმიტანილნი. საერთო ჯამში, მათ ამ ხნის განმავლობაში 4 მილიონი ევრო დაუმალავთ.

საჩივარს ხელი უკვე მოაწერა პროკურორმა **რაკელემ ამადომ** და მას პირველ ინსტანციაში განიხილავენ. საკითხს ქალაქ გავას სასამართლო განიხილავს, სადაც ცხოვრობს ლიონელი.

### მალაგას შუსტერი ჩაიბარებს

**მანუელ პელეგრინის** წასვლის შემდეგ, „მალაგა" უმწვრთნელოდაა, თუმცა ესპანური პრესის ცნობით, ახალი თავკაცი უკვე ცნობილია და უახლოეს დღეებში ჩაუდგება ანდალუსიურ კლუბს სათავეში.

საუბარია, 53 წლის გერმანელ სპეციალისტ **ბერნდ შუსტერზე**. შეგახსენებთ, რომ შუსტერი ბრწყინვალედ იცნობს ესპანურ ფეხბურთს. ფეხბურთელობისას ის 13 წელი თამაშობდა „ბარსელონაში", „რეალსა" და „ატლეტიკოში". მწვრთნელობისას კი - „ხერესში", „ლევანტეში", „ხეტაფესა" და „რეალში" მუშაობდა.



ბერნდ შუსტერი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

AUTOPIA.GE
ავტონაწილების სუპერმარკეტი
5000 მეტი დასახელების
ძარის ნაწილები
იტალიური PRASCO ოფიციალური წარმომადგენელი
მინდელის ხიდის მიმდებარე ტელ.:514 933 933
ქუთაისი, ქვიტირი ტელ.: 514 923 923
www.tuv.com TÜV

● ბრაზილია 2014. შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. XIV ტური

# ურუგვაი დაბრუნდა

## კოლუმბია და არგენტინა თითქმის ბრაზილიაში არიან

| კოლუმბია-პერუ | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ფალკაო (13-პენ), 2:0 ტ. გუტიერესი (45)

**კოლუმბია** (4-4-2): ოსპინა - სუნიგა, ლ. პერეა, იეპესი, არმერო - მ. ტორესი, ა. აგილარი (83. ა. მეხია), კ. სანჩესი, კვადრადო (77. გუარინი) - ფალკაო, ტ. გუტიერესი (81. მურიელი)

**პერუ** (4-4-2): რაულ ფერნანდესი - ხ. ერერა (32. ფარფანი), სამბრანო, ა. როდრიგესი, იოტუნი (ა. კარილიო) - ადვინკულა, რეტამოსო (64. ლობატონი), ბალიონი, ხ. ვარგასი - კ. პისარო, გერერო

**გაძევება:** სამბრანო (70. პერუ)

| ეკვადორი-არგენტინა | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 აგუერო (4-პენ), 1:1 ს. კასტილიო (17)

**ეკვადორი** (4-4-2): ა. დომინგესი - რეასკო (70. რ. იბარა), გაგა, ერასო, ვ. აიოვი - ა. ვალენსია, ნობოა (69. სარიტამა), ს. კასტილიო, ჯ. მონტერო - ხ. როხასი (88. ანანგონო), ფ. კაისედო

**არგენტინა** (5-3-2): რომერო - პერუცი, გარაი, ბასანტა, ფ. ფერნანდესი, როხო - ბანეგა (76. ბილია), მასკერანო, დი მარია - აგუერო (61. მესი), პალასიო (90. ბრანია)

**გაძევება:** მასკერანო (86. არგენტინა)

| ვენესუელა-ურუგვაი | 0:1 |
|---|---|

**გოლი:** 0:1 კავანი (28)

**ვენესუელა** (4-4-2): დ. ერნანდესი - რ. როსალესი, ვისკარონდო, ტუნიესი, სიჩერო (58. ლ. სეიხასი) - ს. გონსალესი (74. რ. ბლანკო), ლუსენა, რინკონი, არანგო - ფ. ფელტშერი (56. არისტეგიეტა), ს. რონდონი

**ურუგვაი** (4-3-3): მუსლერა - მაქსი პერეირა, გოდინი, ლუგანო, მ. კასერესი - დ. პერესი (76. ეგურენი), გარგანო, გ. რამირესი (60. ა. გონსალესი) - ფორლანი, კ. როდრიგესი (85. ალვარო პერეირა), კავანი

**გაძევება:** რინკონი (84. ვენესუელა)

| ჩილე-ბოლივია | 3:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ე. ვარგასი (16), 2:0 ა. სანჩესი (18), 2:1 მ. მორენო (32), 3:1 ვიდალი (90)

**ჩილე** (4-3-3): ბრავო - მედელი, მ. გონსალესი, ხ. როხასი, მენა (75. ბოსეჟური) - დ. პისარი, მ. დიასი, ვიდალი - ა. სანჩესი, ე. პარედესი (54. გ. ხარა), ე. ვარგასი

**ბოლივია** (3-6-1): გალარსა - სენტენო, რალდესი, ლ. ერერა - ბეხარანო, ჩავესი (46 ე. როხასი), ვეისაგა, მოხიკა, ჩუმასერო (46. რ. კარდოსო), ვ. არსე (70. კამპოსი) - მ. მორენო

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 13 | 7 | 5 | 1 | 25-9 | 26 |
| 2. კოლუმბია | 12 | 7 | 2 | 3 | 21-7 | 23 |
| 3. ეკვადორი | 12 | 6 | 3 | 3 | 17-12 | 21 |
| 4. ჩილე | 13 | 7 | 0 | 6 | 21-21 | 21 |
| 5. ურუგვაი | 12 | 4 | 4 | 4 | 18-21 | 16 |
| 6. ვენესუელა | 13 | 4 | 4 | 5 | 10-14 | 16 |
| 7. პერუ | 12 | 4 | 2 | 6 | 12-17 | 14 |
| 8. ბოლივია | 13 | 2 | 4 | 7 | 15-24 | 10 |
| 9. პარაგვაი | 12 | 2 | 2 | 8 | 9-23 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 - იგუაინი (არგენტინა); 8 - მესი (არგენტინა), სუარესი (ურუგვაი); 7 - ფალკაო (კოლუმბია)

**მომდევნო ტური** (8 სექტემბერი): პარაგვაი-ბოლივია, ჩილე-ვენესუელა, პერუ-ურუგვაი, კოლუმბია-ეკვადორი.

**სამხრეთ ამერიკის ზონაში მორიგი ოთხი შეხვედრა გაიმართა და სატურნირო ცხრილში სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა. ზედიზედ მესამე ფრე ითამაშა არგენტინამ, ვინც კვლავ პირველ ადგილზეა, თუმცა პოტენციური ქულებით მას უკვე კოლუმბია წამოეწია. უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო ურუგვაიმ - „სელესტამ“ ვენესუელაში იმარჯვა და სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე გადავიდა...**

### მშვიდობა ზეცაში

ეკვადორის დედაქალაქი კიტო ზღვის დონიდან 2 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და იქ თამაში ყველა გუნდს უჭირს. ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს: ამ მატჩამდე, შესარჩევ ეტაპზე ეკვადორს შინ ჩატარებული ექვსივე მატჩი მოგებული ჰქონდა. ამის გამო, სტუმართა მწვრთნელმა **ალეხანდრო საბელიამ** თამაში არგენტინის ნაკრებისთვის საკმაოდ უცნაური, 5-3-2 ტაქტიკით დაიწყო. ძირითადში მოხვდა „ველეს სარსფილდის“ ნიჭიერი ფლანგელი **ჯინო პერუცი** და „მონტერეის“ ცენტრალური მცველი **ხოსე ბასანტა**, რომელიც დაცვის ცენტრში **გარაი-ფერნანდესის** დუეტს ამოუდგა გვერდით, ფლანგებზე კი პერუცი და **როხო** ირჯებოდნენ. მოკლედ, კარის დაცვის დროს არგენტინა 5-3-2-ით თამაშობდა, შეტევის დროს კი ეს ტაქტიკა 3-5-2 ხდებოდა.

შეხვედრა „ალბისელესტეს“ იერიშებით დაიწყო და მე-4 წუთზე ეკვადორელთა კარში პენალტიც დაინიშნა. **ანხელ დი მარიას** დარტყმული **ალექსანდრე დომინგესმა** მოიგერია, თუმცა ბურთი **როდრიგო პალასიოს** მიუვიდა, რომელსაც დარტყმა იმავე დომინგესმა არ აცადა და წესების დარღვევით შეაჩერა. არბიტრს ეკვადორელთა მეკარის გაძევებაც შეეძლო, მაგრამ პარაგვაელ **ენრიკე კასერესს** ჯიბიდან ყვითელი ბარათიც კი არ ამოუღია. 11-მეტრიანი კი **სერხიო აგუერომ** გამოიყენა და სტუმრები დააწინაურა.

მასპინძლებს საპასუხო გოლისთვის დიდი დრო არ დასჭირვებიათ - მე-17 წუთზე არგენტინელთა საჯარიმოსთან ჯარიმა დაინიშნა. **ვალტერ აიოვის** ჩაწოდებულს **სეგუნდო კასტილიო** გამოეხმაურა და ანგარიშიც გაათანაბრდა.



ურუგვაის ედინსონ კავანიმ მოაგებინა

ამის შემდეგ, წინ გასვლა ორივე გუნდს შეეძლო. **ფელიპე კაისედომ** და **ჯეფერსონ მონტერომ** კარგი მომენტები ვერ გამოიყენეს, სტუმართაგან კი მიზანთან ახლოს აგუერო იყო.

მეორე ტაიმში მოედანზე **ლეო მესი** გამოჩნდა. „ლა პულგამ“ თავიდანვე იაქტიურა და პალასიოსთან ერთად ორი კარგი მომენტიც შექმნა. შეხვედრის ბოლოს კი ადგილი ერთ ინციდენტს ჰქონდა- **ხავიერ მასკერანო** სტადიონის ერთ-ერთ მუშაკს, კერძოდ საკაცის მძღოლს ეჩხუბა, რის გამოც წითელი ბარათი მიიღო. მასპინძლებმა მეტოქის კაცნაკლულობით და უპაერობისგან გამოწვეული დაღლით სარგებლობა სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. საბოლოოდ, 1:1 და ეკვადორმა შინ პირველი ქულები დაკარგა.

### სხვა მატჩები

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო ურუგვაის ნაკრებმა - **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** შეგირდებმა კონკურენტ ვენესუელას სძლიეს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, 6-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტეს. სტუმრები უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ და **დანი ერნანდესის** კარის აღება არაერთხელ შეეძლოთ, მაგრამ „ვალიადოლიდის“ კარის დარაჯი შესანიშნავად ირჯებოდა. ის უძლური მხოლოდ ერთხელ, 27-ე წუთზე აღმოჩნდა, როდესაც **ედინსონ კავანის** დარტყმული ვერ მოიგერია. შეხვედრის ბოლოს, მოედნიდან **ტომას რინკონი** გააძევეს, მაგრამ მიუხედავად „ჰამბურგის“ ნახევარმცველის გამოკლებისა, ვენესუელამ საგოლე მომენტი მაინც შექმნა, თუმცა **რობერტო როსალესის** დარტყმა კარს ასცდა. საბოლოოდ, 0:1 და ურუგვაი მეხუთე ადგილზე გადავიდა. „სელესტას“ წინ ოთხი ურთულესი მატჩი ელის - ურუგვაი დარჩენილ ტურებში სამივე ლიდერს (არგენტინა, კოლუმბია, ეკვადორი) და იმ პერუს ხვდება, რომელიც მას მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება, თანაც თამაში ლიმაში უნდა გაიმართოს.

დარჩენილ ორ წყვილში ფავორიტებმა იმარჯვეს. კოლუმბიამ **რადამელ ფალკაოს** და **ტეოფილო გუტიერესის** გოლებით უკვე ნახსენებ პერუს მოუგო, ჩილემ კი ბოლივიას სძლია, თუმცა კი გაუჭირდა. **ხორხე სამპაოლის** შეგირდები **ედუარდო ვარგასის** და **ალექსის სანჩესის** გოლების წყალობით დამაჯერებლად იგებდნენ, მაგრამ 32-ე წუთზე, ნაკრებში დაბრუნებულმა **მარსელო მორენომ** სხვაობა შეამცირა და სიტუაცია დაძაბა. ამ დაძაბულობამ არბიტრის მიერ დამატებულ წუთებამდე გასტანა - 93-ე წუთზე, თავი **არტურო ვიდალმა** გამოიჩინა, ჩილეს ქომაგები დაამშვიდა, გუნდს კი ზედიზედ მესამე გამარჯვება გაუფორმა.

აქვე, ერთი საინტერესო ინფორმაცია: მას შემდეგ, რაც სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ეტაპი ასეთი ფორმატით იმართება, მე-14 ტურის შემდეგ პირველ ოთხ ადგილზე მყოფი გუნდი ყოველთვის გადიოდა მუნდიალზე.

**ტატო ბაციკაძე**

● ბრაზილია 2014. შესარჩევი ეტაპი.



დანია-სომხეთი 0:4

# დანიას სომეხი დაეცა

| ევროპა | |
|---|---|
| **B ჯგუფი** | |
| **დანია-სომხეთი** | **0:4** |

**გოლები:** 0:1 მოვსისიანი (1), 0:2 ოზბილიზი (19), 0:3 მოვსისიანი (59), 0:4 მხითარიანი (82)

**დანია** (4-2-1-3): ს. ანდერსენი - ლ. იაკობსენი, კიაერი, ბილანდი (46. ოკორე), ს. პოულსენი - კვისტი, ზიმლინგი (28. ნ. პედერსენი - 53. მაკიენოკი) - ერიკსენი - რომედალი, კრონდელი, კორნელიუსი

**სომხეთი** (4-4-1-1): ბერეზოვსკი - ჰოვჰანისიანი, ჰაროიანი, არზუმანიანი, ალექსანიანი - ოზბილიზი (90. ასლანიან-მამედოვი), მკრტჩიანი, იედიგარიანი (86. პიცელი), კაზარიანი - მხითარიანი - მოვსისიანი (84. სარქისოვი)

**მაყურებელი:** 14 784

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 6 | 4 | 2 | 0 | 12-4 | 14 |
| 2. ბულგარეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 11-4 | 10 |
| 3. ჩეხეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 6-4 | 9 |
| 4. სომხეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-8 | 6 |
| 5. დანია | 6 | 1 | 3 | 2 | 6-9 | 6 |
| 6. მალტა | 6 | 1 | 0 | 5 | 2-14 | 3 |

| C ჯგუფი | |
|---|---|
| **შვედეთი-ფარერები** | **2:0** |

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (35), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (82-პენ)

**შვედეთი** (4-4-2): ა. ჰანსონი - ლუსტიგი, ბენგტსონი, გრანკვისტი, პ. ნილსონი - ს. ლარსონი (63. დურმაზი), ეკდალი, კალსტრიომი (58. ა. სვენსონი), კაჩანიკლიჩი - ტოივონენი (83. ი. ოლსონი), იბრაჰიმოვიჩი

**ფარერები** (4-3-2-1): გ. ნილსენი - ბენიამინსენი, გრეგერსენი, ვ. დავიდსენი, ნესი - ს. ოლსენი (41. ვატნსდალი), ი. დავიდსენი, იუსტინუსენი - ედმუნდსონი, ჰ. ჰანსონი (87. კლეტსკარდი) - ჰოლსტი (59. ს. სამუელსენი)

**გაძევება:** გრანკვისტი (79 შვედეთი)

**მაყურებელი:** 32 858

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 22-7 | 16 |
| 2. ავსტრია | 6 | 3 | 2 | 1 | 15-5 | 11 |
| 3. შვედეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-7 | 11 |
| 4. ირლანდია | 6 | 3 | 2 | 1 | 12-10 | 11 |
| 5. ყაზახეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-15 | 1 |
| 6. ფარერები | 6 | 0 | 0 | 6 | 2-20 | 0 |

**ჩვენი ჯგუფის გარდა, ევროპაში კიდევ ორი მატჩი გაიმართა. დანიაში სტუმრად სომხეთის ნაკრები ჩავიდა, შვედეთს კი ფარერები ეწვია. საბოლოოდ, დანიამ და მისმა ავტონომიურმა რეგიონმა ჯამში 0:6 წააგეს და როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ექვსი გოლიდან უმეტესობა დანიის ნაკრების კარში გავიდა...**

სომხებმა შეხვედრა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს და უკვე პირველივე წუთზე დაწინაურდნენ - თავი **იურა მოვსისიანმა** გამოიჩინა. სანამ მასპინძლები გონს მოეგებოდნენ, სომხები უკვე ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ: მე-19 წუთზე **სტეფან ანდერსენის** კარი **არაზ ოზბილიზმა** აიღო. საერთოდ, „აიაქსის“ ყოფილმა და „ყუბანის“ ამჟამინდელმა ფეხბურთელმა შესანიშნავი მატჩი ჩაატარა და გარდა ამ გოლისა, თავი ორი საგოლე პასითაც გამოიჩინა. ორივე შემთხვევაში, მისი გადაცემით მოვსისიანმა ისარგებლა, ვინც 59-ე წუთზე მესამე გოლი გაიტანა. შეხვედრის საბოლოო შედეგი კი **ჰენრიკ მხითარიანმა** დააფიქსირა - 0:4.

ამ გამარჯვების წყალობით, **ვარდან მინასიანის** შეგირდებმა, მალტის ნაკრებთან განცდილი მარცხის შემდეგ რეაბილიტაცია შეძლეს და მუნდიალზე მოხვედრის მცირე შანსიც დაიტოვეს, თუმცა ეს შანსი მიზერულია, რადგან სომხეთის ნაკრებს ჩეხეთთან, იმავე დანიასთან, ბულგარეთთან და იტალიასთან უწევს თამაში.

დანიაზე კარგად ითამაშა ფარერებმა, რომელმაც ძლიერ შვედეთს მხოლოდ ორი გოლი გაატანინა, თანაც აქედან ერთი ბურთი მასპინძლებმა საკმაოდ საეჭვო პენალტით შეაგდეს. დუბლი შეასრულა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა**, ვისაც ნაკრებში უკვე 41 გოლი აქვს გატანილი და ყველა დროის ბომბარდირებში მეორე ადგილზე მყოფ **გუნარ ნორდალს** მხოლოდ ორი ბურთით ჩამორჩება. პირველზე 49 გოლით **სვენ რიდელია**.

| კონკაკაფი. V ტური | |
|---|---|
| **ჰონდურასი-იამაიკა** | **2:0** |

**გოლები:** 1:0 ბ. გარსია (10), 2:0 რ. როხასი (88)

**გაძევება:** მარიაპა (76. იამაიკა)

| აშშ-პანამა | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ალტიდორი (36), 2:0 ე. ჯონსონი (53)

| მექსიკა-კოსტა რიკა | 0:0 |
|---|---|

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| 2. კოსტა რიკა | 5 | 2 | 2 | 1 | 5-3 | 8 |
| 3. მექსიკა | 6 | 1 | 5 | 0 | 3-2 | 8 |
| 4. ჰონდურასი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 5. პანამა | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| 6. იამაიკა | 6 | 0 | 2 | 4 | 2-8 | 2 |

**შენიშვნა:** ფინალურ ეტაპზე პირველ სამ ადგილზე გასული გუნდი გადის. მეოთხეადგილოსანი პლეი-ოფში ახალ ზელანდიას შეხვდება.

| აზია. IX ტური | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | |
| **ს. კორეა-უზბეკეთი** | **1:0** |

**გოლი:** 1:0 შორახმედოვი (42-საკ. კარში)

| ირანი-ლიბანი | 4:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ხალატბარი (39), 2:0 ნექუნამი (45), 3:0 გოჩანეჯადი (46), 4:0 ნექუნამი (86)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ს. კორეა | 7 | 4 | 2 | 1 | 13-6 | 14 |
| 2. ირანი | 7 | 4 | 1 | 2 | 7-2 | 13 |
| 3. უზბეკეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 6-5 | 11 |
| 4. ყატარი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-8 | 7 |
| 5. ლიბანი | 8 | 1 | 2 | 5 | 3-12 | 5 |

**ბოლო ტური** (18 ივნისი): უზბეკეთი-ყატარი, ს. კორეა-ირანი

| B ჯგუფი | |
|---|---|
| **ავსტრალია-იორდანია** | **4:0** |

**გოლები:** 1:0 ბრეშიანო (16), 2:0 ტ. კეჰილი (61), 3:0 კრუსი (76), 4:0 ნილი (84)

| ერაყი-იაპონია | 0:1 |
|---|---|

**გოლი:** 0:1 ოკაზაკი (89)

**გაძევება:** ალა აბდულ ძაჰრა (82. ერაყი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იაპონია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-5 | 17 |
| 2. ავსტრალია | 7 | 2 | 4 | 1 | 11-7 | 10 |
| 3. ომანი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-9 | 9 |
| 4. იორდანია | 7 | 2 | 1 | 4 | 6-16 | 7 |
| 5. ერაყი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-7 | 5 |

**ბოლო ტური** (18 ივნისი): ავსტრალია-ერაყი, იორდანია-ომანი

**შენიშვნა:** ჯგუფებში I-II ადგილზე გასული გუნდები ფინალური ეტაპის საგზურს მიიღებენ. ორი მესამეადგილოსანი ერთმანეთს შეხვდება და ამ წყვილის გამარჯვებული სამხრეთ ამერიკის ზონაში მეხუთე ადგილზე გასულ გუნდს დაუპირისპირდება.

**ტატო ბაციკაძე**

● სავარაუდო ტრანსფერი

# ბენდტნერი და რაფაელი გლადბახში?



ნიკლას ბენდტნერი

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ თავკაც ლუსიენ ფავრს ბრაზილიელი გამთამაშებლის, **რაფაელის** გადაბირება ჯერ კიდევ ზამთარში უნდოდა, მაგრამ მაშინ „გლადბახს“ „შალკემ“ აჯობა და 28 წლის ტექნიკური ფეხბურთელი სეზონის არენდით აიყვანა. ახლა, „შალკეს“ ხელმძღვანელები მის პოზიციაზე ახალგაზრდა **კრისტიან კლემენსის** გამოყენებას გეგმავენ (ამ უკანასკნელის ტრანსფერი „კიოლნიდან“ თითქმის გადაწყვეტილია), რის გამოც რაფაელი თამაშგარეში რჩება და რაკი მისი შენარჩუნება მაინცდამაინც არც კიევის „დინამოს“ უნდა, რაფაელს „გლადბახისკენ“ გზა ეხსნება.

რაფაელს კიეველებთან კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული, თუმცა დინამო მის მინიმუმ არენდით გაშვებას უპრობლემოდ დათანხმდება. „გლადბახის“ თავკაც ფავრს კი ბრაზილიელი ძალიან უყვარს - რაფაელი ლუსიენის შეგირდი ჯერ კიდევ „ციურიხში“ იყო, მერე კი ფავრმა ის ბერლინის „ჰერტაშიც“ წაიყვანა.

დანიური პრესის ცნობით, მიონხენგლადბახელები დანიელ ცენტრფორვარდ **ნიკლას ბენდტნერსაც** უმიზნებენ. ლონდონის „არსენალიდან“ ტურინის „იუვენტუსში“ განათხოვრებული 25 წლის თავდამსხმელი ახალ გუნდს ეძებს, რადგან ტურინში განაცხადსაც კი იშვიათად აკარებენ.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი. U21


იტალიელთაგან ჯადოსნური გოლის ავტორი ანდრეა ბერტოლაცი

# ფინალური კვარტეტი: იტალია, ნორვეგია, ესპანეთი, ჰოლანდია

**A ჯგუფი**

**ისრაელი–ინგლისი 1:0**

**გოლი:** 1:0 კრიაფი (80)

**ისრაელი** (4-2-3-1): კლეიმანი - ვერტა, ბენ ჰარუში, ვააბა, დავიდაძე - ბიტონი, კრიაფი - ზაგური, დაბური (55. ალტმანი), სალალიკჰი (87. აზამი) - ტურგემანი (63. ბარუჩი)

**ინგლისი** (4-2-3-1): სტილი - კლაინი, უისდომი, ლისი, როუზი - ჩალობა (78. სორდელი), მაკეხრანი (71. რედმონდი) - ზაჰა, შელვი, ინსი (46. ჰენდერსონი) - უიკჰემი

**ნორვეგია–იტალია 1:1**

**გოლები:** 1:0 სტანდბერგი (90-პენ), 1:1 ბერტოლაჩი (90+4)

**ნორვეგია** (4-3-3): ესტბე - ლინესი, როგნე (54. სტანდბერგი), ნორდვეიტი, ჰედენსტადი - ბერიშა, ჰენრიკსენი, კონრადსენი - ნილსენი (60. კასტრატი), კინგი (74. იბრაჰიმი), დე ლანლაი

**იტალია** (4-4-2): ბარდი - დონატე, კაპუანო, კალდიროლა, რეჯინი - კრიმი, როსი (61. ფლორენცი), სანსონე, საპონარა (46. ბერტოლაცი) - პალოსკი, დესტრო (72. გაბიადინი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 2. ნორვეგია | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| 3. ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-6 | 4 |
| 4. ინგლისი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |

**B ჯგუფი**

**რუსეთი–გერმანია 1:2**

**გოლები:** 1:0 ძაგოევი (22), 1:1 ჰერმანი (34), 1:2 რუდი (69-პენ)

**რუსეთი** (4-2-3-1): ფილცოვი – ცალაგოვი, ბურლაკი, ბელიაევი, შენიკოვი – პეტროვი, ემელიანოვი (43. შატოვი) – ჩერიშევი (77. სმოლოვი), ძაგოევი, ბიბილოვი – გრიგორიევი (48. იაკოვლევი)

**გერმანია** (4-1-2-3): ბაუმანი – იანჩკე, სობიხი, მუსტაფი, თესკერი – გინტერი – როდე (70. ფუნკი), ჰოლტბი (46. რუდი) – ჰერმანი, ფოლანდი, კლემენსი (46. პოლტერი)

**ესპანეთი–ჰოლანდია 3:0**

**გოლები:** 1:0 მორატა (26), 2:0 ისკო (32), 3:0 ვასკესი (90)

**ესპანეთი** (4-3-2-1): დე ხეა – კარვახალი, ა. გონსალესი, ი. მარტინესი, მონრეალი – მუნიაინი, კამაჩო (52. ილიარამენდი), სარაბია – ტ. ალკანტარა (79. მუნიესა), ისკო (62. ა. ვასკესი) - მორატა

**ჰოლანდია** (4-3-3): ბიზოტი – ლეერდამი, ვან დერ ჰოორნი, ნუიტინკი, ვან აანჰოლტი – კლასი, ფერი, ვილიენა (71. მაჰერი) – იოზეფსონი, ჰუსენი, დეპაი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| 2. ჰოლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| 3. გერმანია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 4. რუსეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |

**1/2-ფინალები**

**15 ივნისი**

ესპანეთი-ნორვეგია
იტალია-ჰოლანდია

**წუხელ ორი შეხვედრა გაიმართა. რუსეთმა და გერმანიამ ერთმანეთს კარისკენ თუ კარში უხვად ურტყეს. ჩრდილოელებმა თამაშის მიწურულს ბაუმანის კარის ძელსაც გაარტყეს. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ პირველი ტაიმიდან კაცნაკლულნი თამაშობდნენ, მაგრამ დანებება წამითაც არ უფიქრიათ. საბოლოო ჯამში რაინერ ადრიონის გუნდმა იმარჯვა, თუმცა კი დიდი წვალებით. აი, ჰოლანდიელებმა კი ძირითადი გუნდი "გადამალეს" და "ფურია როხას" სათადარიგო შემადგენლობა დაუპირისპირეს. გაამართლებს თუ არა კორნელიუს პოტის ჩანაფიქრი, ამას 15 ივნისს იტალიის წინააღმდეგ ვნახავთ. მეორე 1/2-ფინალურ წყვილში კი, ვფიქრობთ, ფავორიტი გამოკვეთილია.**

■ ■ ■

11 ივნისს ისრაელში ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე ორი შეხვედრა გაიმართა, რომელთაგან ერთი მეორეზე მეტ ყურადღებას წმინდა სატურნირო ინტრიგის გამო იქცევდა.

ცენტრალურ დაპირისპირებაში ნორვეგიელებს სამი წუთი დააკლდათ ფავორიტი იტალიელების დასამარცხებლად. პირობითი სტუმრები თამაშს 90 წუთის განმავლობაში აკონტროლებდნენ, მაგრამ სკანდინაველთა კარის ასაღებად ყოველთვის რაღაც აკლდებოდათ. ნორვეგიელებმა ანგარიში უკანასკნელ წუთზე საეჭვო პენალტით გახსნეს, თუმცა მსაჯის მიერ კომპენსირებულ უკანასკნელ წუთზე იქამდე დამაჯერებლად მოთამაშე **არილდ ესტბე** გამოსვლაზე შეცდა. ბურთი კარისკენ ზურგით მდგარ **ანდრეა ბერტოლაცის** მიუვიდა, ვინც ულამაზესი დარტყმით საკუთარ გუნდს ქულა და ჯგუფის გამარჯვებულის სახელი მოუტანა. მატჩის დასრულების შემდეგ ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი მეტ-ნაკლებად კმაყოფილი იყო. **ტორ ელე სკელერუდის** თქმით: „ნახევარფინალისთვის მოსამზადებლად მეტოქეზე 24 საათით მეტი გვაქვს და იმედია, ეს ფაქტორი წაგვადგება. ჩვენს წარმატებაში ფეხბურთელებმა თანაბარი წილი დაიდეს. წინ მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის, სადაც ძირითადი შემადგენლობის არჩევა ერთობ რთული, მაგრამ ამასთან სასიამოვნო პროცესი იქნება". ნორვეგიელთა კაპიტანმა **სტეფან სანდბერგმა** კი დაამატა, რომ: „გულსატკენი იყო ბოლო წამებზე იტალიასთან გამარჯვების ხელიდან გაშვება, თუმცა მთავარია, რომ პლეი ოფში გავედით. ახლა ყოველმა ჩვენგანმა ეროვნულ გუნდს ერთგულება უნდა დაუმტკიცოს. ამ ეტაპზე უკან დახევის უფლება უკვე აღარ გვაქვს".

პლეი ოფის მატჩებზე ფიქრობს უკვე იტალიის თავკაცი **დევის მანჯაც**: „ესპანეთს შესანიშნავი გუნდი ჰყავს, რომელმაც წინა ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ჩვენ მას შარშან ნოემბერში შევხვდით. მართალია, მას მერე დიდი ხანი გავიდა, მაგრამ გარკვეული წარმოდგენა ნამდვილად გვაქვს".

დაბოლოს, ინგლისის ნაკრებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რომლის მთავარი მწვრთნელი **სტიუარტ პირსი** ჩემპიონატის დაწყებამდე მის მოგებაზე ოცნებობდა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ახალგაზრდა „სამმა ლომმა" სამივე შეხვედრა დათმო. მეტოქეებმა შეხვედრის განმავლობაში რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. ხშირი იყო შორიდან დარტყმები. ერთ-ერთი ასეთი შორიდან გასროლის შემდეგ ბურთი **ჯეისონ სტილის** კარში გაეხვია. „ჩემპიონატზე სამჯერ გვცემეს. ფეხბურთელებს უნდა ესმოდეთ, რომ მათი დაცვის სურვილი აღარ მაქვს. ელემენტარულად, ამის საფუძველსაც კი არ მაძლევენ. ახლა ისინი უნდა იდგნენ ჩემს ადგილას და პასუხობდნენ შეკითხვას, თუ რატომ იყო თითოეული მათგანის მოქმედება ასეთი არაეფექტური. ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ გარკვეული სტანდარტი დავამკვიდრეთ, რომლისგანაც დღეს ძალიან შორს ვიყავით," - განაცხადა სტიუარტ პირსმა.

ვარსკვლავი

# ესიენს დესაი გამოესარჩლა


მიკაელ ესიენი (მარცხნივ) და მარსელ დესაი

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **მარსელ დესაი** კარიერის დასრულების შემდეგ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა საცხოვრებლად. მას მუდმივი კავშირი აქვს განის ფეხბურთის ფედერაციასთან და მასზე გარკვეულ გავლენასაც ფლობს. დესაი ფედერაციის მაღალჩინოსნებს მოუწოდებს, შეწყვიტონ 30 წლის **მიკაელ ესიენზე** ფსიქოლოგიური ზეწოლა და ფეხბურთელს მიანდონ გადაწყვეტილება, დაუბრუნდება თუ არა ოდესმე ის ეროვნულ ნაკრებს. „შავი ვარსკვლავების" რიგებში „ჩელსის" ფეხბურთელმა უკანასკნელად 2011 წლის 3 ივნისს ითამაშა. საერთაშორისო კარიერის დასრულება ესიენს მძიმე ტრავმებმა აიძულა. განაში მისგან არათუ ელიან, არამედ მოითხოვენ კიდეც, რომ გადაწყვეტილება შეცვალოს. „ამ ნაბიჯს გადადგამს თუ არა, ეს მხოლოდ მიკაელის გადასაწყვეტი უნდა იყოს. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ უკანასკნელ წლებში მან სამი ურთულესი ტრავმა გადაიტანა. ინგლისის ჩემპიონატში კი ნებისმიერ წამს შეიძლება კიდევ ერთი დაზიანება მიიღო და საყვარელ საქმეს სამუდამოდ ჩამოშორდე. ვფიქრობ, ესიენი ყველამ უნდა დავასვენოთ. არ ვარ დარწმუნებული, რომ ის ისევ ითამაშებს განაში, ამისთვის ფიზიკურად თუნდაც მზად იყოს. რაც უნდა მოხდეს, ის უკვე ეროვნული გმირია," - აცხადებს მარსელ დესაი.

ამბები

## იუნაიტედი გარაის შეუთანხმდა


ესეკილ გარაი

„მანჩესტერ იუნაიტედს" 26 წლის არგენტინელი ცენტრალური მცველის **ესეკილ გარაის** „ბენფიკადან" შეძენა 20 მილიონი ევრო დაუჯდება. ამ გარიგებაზე პორტუგალიური და ბრიტანული პრესა არაერთხელ წერდა, მაგრამ „დეილი ექსპრესის" ცნობით, ამჯერად უკვე ყველაფერი შეთანხმებულია. სატრანსფერო თანხის 50%-ს ლისაბონელები მადრიდის „რეალს" მისცემენ, რადგან 2011 წელს მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმა ჩაიწერა. „იუნაიტედს" ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტის დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი, თუმცა არ გვგონია, ამ მხრივ პრობლემა შეიქმნას.

## კეროლი დათმობაზე მიდის

„ვესტ ჰემის" თანამესაკუთრე **დევიდ გოლდმა** „ტვიტერის" საშუალებით „ჩაქუჩების" გულშემატკივრებს სასიამოვნო ამბავი აუწყა. მართალია, კლუბს **ენდი კეროლთან** კონტრაქტის დეტალები ბოლომდე ჯერ არ შეუთანხმებია, მაგრამ ბიზნესმენის თქმით, მხარეთა პოზიციები სერიოზულად დაახლოვდა და არ არის გამორიცხული, მალე კონტრაქტს ხელი მოეწეროს კიდეც. გოლდმა შანსები 75/25-ზე შეაფასა. „ვესტ ჰემი" „ლივერპულს" 15 მილიონ ფუნტზე რა ხანია შეუთანხმა. საქმეზე წერტილის დასმას მხოლოდ ენდის სახელფასო მადა უშლის ხელს. 24 წლის თავდამსხმელი აქამდე კვირაში 100 ათას ფუნტს ითხოვდა.

## ბენტი ნიუკასლში მიდის


დარენ ბენტი

2011 წლის ზაფხულზე „ასტონ ვილამ" 24 მილიონ ფუნტად ინგლისის ნაკრების წევრი **დარენ ბენტი** შეიძინა. ბირმინგემში გადასვლის შემდეგ **ფაბიო კაპელომ** ის ორჯერ კიდევ მიიწვია. რაკი ფეხბურთელმა თამაშს ნელ-ნელა უკლო, მალე ის ნაკრებს მიღმა აღმოჩნდა. 29 წლის თავდამსხმელმა „სამი ლომის" შემადგენლობაში უკანასკნელად 2011 წლის ნოემბერში ითამაშა. დარენის პრობლემები კიდევ უფრო დამძიმდა „ვილა პარკზე" **პოლ ლამბერტისა** და **კრისტიან ბენტეკეს** მისვლის შემდეგ. „დეილი ტელეგრაფის" ცნობით, ბირმინგემელები ბენტს გასაყიდად ამზადებენ. „ნიუკასლი" კი, ვისაც **პაპის სისეს** გარდა თავდასხმაში კვალიფიციური ფეხბურთელი არც ჰყავს, მასში 6 მილიონ ფუნტს იხდის. აღსანიშნავია, რომ „კაჭკაჭების" მთავარი მწვრთნელი **ალან პარდიუ** ბენტს „ჩარლტონშიც" წვრთნიდა. „სენტ ჯეიმს პარკზე" გადაბარგების შემთხვევაში ფეხბურთელს ხელფასის დაკლება მოუწევს. ამჟამად ის კვირაში 70 ათას ფუნტს იღებს.

## სუონსი ოდემვინგეს იწვევს


პიტერ ოდემვინგე

„სუონსის" 2013/14 წლების სეზონში ტრადიციული შიდა ტურნირების გარდა ევროპალიგაზეც მოუწევს ასპარეზობა. პრემიერლიგის ყველაზე მოკრძალებული ბიუჯეტის გათვალისწინებით კი, **მიკაელ ლაუდრუპისთვის** გუნდის გაძლიერება ერთობ პრობლემური უნდა იყოს. დანიელმა სპეციალისტმა „ვესტ ბრომვიჩს" **პიტერ ოდემვინგეს** გაყიდვა შესთავაზა. **სტივ კლარკი** მზად არის, 31 წლის ნიგერიელი 3,5 მილიონ ფუნტად დათმოს. „გედების" გარდა ოდემვინგეს კონტრაქტს სთავაზობენ ჩემპიონატის ახალწვეულები „ჰალ სიტი" და „კარდიფი". ჩვენი აზრით, ამბიციური ფეხბურთელისთვის „სუონსის" ვარიანტი ბევრად უფრო მომხიბლავი უნდა იყოს.

## ქალაქი ევერტონის სამსახურში

ლივერპულის ადმინისტრაციამ, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ბიუჯეტი 2014 წლისთვის უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შეიკვეცა (32 მილიონი ფუნტით), მაინც გამონახა სახსრები, რომ საფეხბურთო კლუბ „ევერტონისთვის" დახმარების ხელი გაეწვდინა. ქალაქმა კერძო მესაკუთრისგან 13 მილიონ ფუნტად ბაზა „ფინჩ ფარმი" გამოისყიდა და კლუბს ნაკლებ საიჯარო თანხად გადასცა. „ევერტონს" არაფერი ემუქრება. მათ დახმარებისთვის მოგვმართეს, ჩვენ კი ყველაფერი გავაკეთეთ, რომ როგორმე შეღავათი მიგვეცა. მსგავსი თხოვნით „ლივერპულსაც" რომ მოემართა, მასაც დავეხმარებოდით. ალბათ გახსოვთ, რომ უკანასკნელებთან ერთად ჩვენ დიდი ხანი ვმუშაობდით ახალი სტადიონის პროექტზე. ასე რომ, მიკერძოებულობას ვერავინ დაგვწამებს," - განაცხადა ლივერპულის მერმა **ჯო ანდერსონმა** BBC-სთან ინტერვიუში.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


ქალაქმა ევერტონის ბაზა გამოისყიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალიის ნაკრები

# იტალიამ ჰაიტის ვერაფერი დააკლო


იტალია-ჰაიტი

**ჰაიტის** ნაკრები აღარ ხუმრობს - ჯერ ესპანეთს გაუჩინა ბევრი თავსატეხი, როდესაც მინიმალური ანგარიშით დაამარცხა (2:1), იტალიას კი სულაც ფრე გაუგორა და დაგვანახვა, რომ ფეხბურთის თამაში საკმაოდ მაღალ დონეზე შეუძლია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თამაშის დიდი ნაწილი უპირატესობას სწორედ ჰაიტელები ფლობდნენ და ფრე ალალად დაიმსახურეს.

ჩეზარე პრანდელიმ 4-3-3 ტაქტიკა აირჩია და იმ ფეხბურთელებს დაეყრდნო, რომლებიც კონფედერაციათა თასზე სათადარიგოებად მოიაზრებიან. კარში ერთი ტაიმი **სალვატორე სირიგუ** იდგა, მეორეში კი ადგილი **ფედერიკო მარკეტის** დაუთმო. დაცვის ცენტრში **დავიდე ასტორი** და **ლეონარდო ბონუჩი** ვიხილეთ, მარცხნივ კი **მატია დე შილიო.** მოკლედ, **ინაციო აბატემ, ანდრეა ბარცალიმ** და **ჯორჯო კიელინიმ** დაისვენეს. ნახევარდაცვის ბურჯები: **რიკარდო მონტოლივო, დანიელე დე როსი** და **კლაუდიო მარკიზიო** მხოლოდ ანტრაქტის შემდეგ ჩაერთვნენ თამაშში, **ანდრეა პირლო** თადარიგშივე დარჩა... მათი ადგილი **ალესიო ჩერჩიმ, ალესანდრო დიამანტიმ, ალბერტო აკვილანიმ, ანტონიო კანდრევამ** და **ემანუელე ჯაკერინიმ** დაიკავეს... ეს უკანასკნელი ისტორიაშიც შევიდა, რადგან ანგარიში მე-19 წამზე გახსნა... ასე სწრაფად, იტალიის ნაკრებს გოლი აქამდე არასდროს გაეტანა. „აძურას" მეორე გოლი კლაუდიო მარკიზიოს ანგარიშზეა, მაგრამ იქ ლომის წილი **მარიო ბალოტელიმ** დაიდო - სუპერმარიო ფლანგიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და იქიდან უზუსტესი პასი გააკეთა...

მატჩის დასრულებამდე დაახლოებით 7-8 წუთი იყო დარჩენილი, როდესაც ჰაიტელები ორი ბურთის სხვაობით აგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ, ფრეს მიაღწიეს - ჯერ თერთმეტმეტრიანით გაქვითეს ერთი ბურთი, ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ კი მეორეც შეაგდეს.

გაშვებული გოლების ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზე გადაბრალება არ იქნება სწორი და არც ცალკეული ეპიზოდების დეტალური აღწერა ივარგებს - მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ „აძურა" „იდგა", იტალიელებს ეზარებოდათ თამაში, ასე კი მონდომებული ჰაიტელების დამარცხება არ გამოვიდა.

**ჩეზარე პრანდელი:** *„ჰაიტიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არაა და ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია თამაში. ამ მატჩისგან რამდენიმე საგულისხმო ინფორმაცია მივიღე, ამიტომ, სპარინგი ნაყოფიერი იყო და სამომავლოდ ძალიან გამოგვადგება. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ მექსიკასთან სულ სხვა იტალიას ვიხილავთ".*

**ემანუელე ჯაკერინი:** *„ბედნიერი ვარ, რომ უსწრაფესი გოლი გავიტანე და ისტორიაში შევედი. თუმცა თვითონ თამაშით უკმაყოფილო ვარ, რადგან ჩვენმა ნაკრებმა შესაძლებლობების 20% თუ გამოავლინა. საერთოდ არ გვითამაშია და ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. იმედია, ეს ფრე გაგვაბრაზებს და იმ ცეცხლს დაანთებს თითოეულ ჩვენგანში, რომელიც კონფედერაციათა თასზე წარმატებით ასპარეზობაში დაგვეხმარება".*

**ლაშა ნიკლაური**




● ესპანეთის ნაკრები

# იქ, სადაც ნიუ იორკ იანკისი თამაშობს

## კასილიასი სასტარტოდან დელ ბოსკემაც ამოაგდო

**ესპანეთი-ირლანდია 2:0**

**გოლები:** 1:0 სოლდადო (69), 2:0 მატა (88)

**ესპანეთი (4-3-3):** ვალდესი (58. კასილიასი) - არბელოა, პიკე, ს. რამოსი, ალბა - ჩავი (69. მატა), ბუსკეტსი, ინიესტა (58. ფაბრეგასი) - სილვა (46. ნავასი), ვილია (58. სოლდადო), პედრო (78. კასორლა).

**ირლანდია (4-4-2):** ფორდი (73. რენდოლფი) - მაკშეინი, სენტ ლედჯერი, ოდი, კელი (88. დელეინი) - კოულმენი, ჰენდრიკი (46. ქუინი), მაკარტი (87. ლონგი), კიო (73. მაკლინი) - კინი (56. კოქსი), სამონი.

**ნიუ იორკში, საქვეყნოდ ცნობილ ბეისბოლის კლუბ „ნიუ იორკ იანკისის" მოედანზე, 40 ათასი ადამიანი დაესწრო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის ბოლო რეპეტიციას კონფედერაციათა თასის წინ. ესპანეთის ნაკრებმა 2:0 მოუგო ირლანდიას, რომელსაც ამერიკაში გულშემატკივარი არ აკლდა და არც ურიგოდ უთამაშია.**


28 წლის რობერტო სოლდადომ ესპანეთის ნაკრებში მე-9 მატჩში მე-5 გოლი გაიტანა

ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა და ორივე შემთხვევაში თავი შეცვლაზე შესულებმა გამოიჩინეს: „ვალენსიას" ფორვარდმა **რობერტო სოლდადომ** და ყოფილმა ვალენსიელმა - **ხუან მატამ.** პირველ შემთხვევაში უხეშად შეცდა ირლანდიელთა ცენტრალური მცველი **ოდი,** ბურთი სოლდადოს მიუვიდა და ფორვარდმაც საჯარიმოს მისადგომიდან დაუმუშავებლად დაარტყა **ფორდის** კარში. 88-ე წუთზე შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს ერთმანეთში ასტურიელებმა **სანტი კასორლამ** და **ხუან მატამ,** „ჩელსის" შემტევმა კი მეკარესთან პირისპირ გასვლა გოლად აქცია.

აღსანიშნავია, რომ ესპანელთა სასტარტო შემადგენლობა ისეთი იყო, როგორიც ალბათ კონფედერაციათა თასზე იქნება... ერთი გამონაკლისის გარდა - კარში **ვიქტორ ვალდესი** იდგა, ხოლო იკერ კასილიასი მხოლოდ მეორე ტაიმში ვიხილეთ. დასკვნების გამოტანა ჯერნაადრევია, მაგრამ **ვისენტე დელ ბოსკე** მატჩამდე ორჭოფულად აცხადებდა, რომელი მეკარეც არ უნდა დავაყენო კარში, მართალი ვიქნებიო.

სხვათა შორის, მატჩის გმირი სწორედ იკერი გახდა, რომელმაც შეხვედრის მიწურულს ორი ფანტასტიკური „სეივით" იხსნა გუნდი. ვისენტე დელ ბოსკეს საფიქრალი გაუჩინა ირლანდიელი **ქუინის** უხეშობამ, რომელმაც საკმაოდ სერიოზულად დააშავა **სერხიო ბუსკეტსი,** რომლის თამაშიც ურუგვაის ნაკრებთან საეჭვოა.

სხვათა შორის, ამერიკელმა რეფერი **მარუფომ** 84-ე წუთზე საეჭვო ვითარებაში არ ჩათვალა სენტ ლედჯერის გოლი (სწორედ იმ ეპიზოდის მერე, როცა კასილიასმა იყოჩაღა).

16 ივნისს „ფურია როხა" კონფედერაციის თასს ურუგვაის ნაკრებთან მატჩით იწყებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მილანი/ინტერი



მასიმო ამბროზინი და ხავიერ ძანეტი

# ორი კაპიტნის ამბავი

## ერთი მიდის, მეორე რჩება

### ამბროზინი

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მომდევნო სეზონიდან **მასიმო ამბროზინი** სხვა გუნდში ითამაშებს. 36 წლის ნახევარმცველის გადაბირება ინგლისური პრემიერლიგის გუნდებს სურთ, განსაკუთრებით კი „ვესტ ჰემი“ აქტიურობს. ამის თაობაზე თვითონ გალიანიმ ისაუბრა:

„ამბროზინი უკვე შესულია ‘მილანის“ ისტორიაში და ის ყოველთვის იქნება ერთ-ერთი ჩვენგანი, მაგრამ ამ ეტაპზე, ჩვენი გზები უნდა გაიყაროს. გუნდში გაახალგაზრდავების პროცესი მიმდინარეობს და ამ გადაწყვეტილებას მასიმო გაგებით მოეკიდა. თვითონაც გამოთქვა სურვილი, რომ ახალი გამოწვევა მიიღოს და თავი სრულიად განსხვავებულ გარემოში გამოსცადოს. ვიცი, რომ „ვესტ ჰემთან“ აქვს მოლაპარაკებები და მინდა მას წარმატებები ვუსურვო“.

მოგეხსენებათ, ამბროზინი „მილანის“ კაპიტანია და შესაბამისად, სამკლავური სხვა ფეხბურთელს უნდა გადააბაროს - გალიანიმ ამ თემაზეც ისაუბრა: „ამ თემაზე მასიმილიანო ალეგრის ვესაუბრე და შევთანხმდით, რომ კაპიტანი რიკარდო მონტოლივო უნდა იყოს. ვფიქრობ, სწორედ რიკარდოს აქვს ყველა ის თვისება, რომელიც კარგ კაპიტანს სჭირდება. თუმცა, ამ თემაზე კიდევ ერთ ადამიანს უნდა დაველაპარაკოთ და ეს კრისტიან აბიატია. გუნდში ჩატარებული მატჩების მიხედვით, სამკლავური სწორედ კრისტიანს ეკუთვნოდა და ჩვენი გადაწყვეტილება მასაც უნდა შევუთანხმოთ. დარწმუნებული ვარ, ნაწყენი არ დარჩება“.

მასიმო ამბროზინიმ საფეხბურთო კარიერა „ჩეზენაში“ დაიწყო, 1995 წელს კი „მილანში“ გადავიდა და თუ „ვიჩენცაში“ ერთი სეზონით განათხოვრებას არ ჩავთვლით, მას შემდეგ ლომბარდიულ გრანდში ასპარეზობს. „როსონერის“ შემადგენლობაში 343 მატჩი აქვს ჩატარებული და 29 გოლი გატანილი.მასიმოს პერიოდულად „სკუადრა აძურაშიც“ იძახებდნენ და ეროვნულ გუნდში 35 მატჩი დაუგროვდა. ამბროზინიმ კაპიტნის სამკლავური თვით **პაოლო მალდინისგან** გადაიბარა და თავის მხრივ, **რიკარდო მონტოლივოს** გადაულოცავს.

### ძანეტი

**ხავიერ ძანეტი** ამბროზინიზე 3 წლით უფროსია, მაგრამ „ინტერის“ დატოვებას და კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს. „ნერაძურის“ პრეზიდენტმა უბერებელ კაპიტანს კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივება შესთავაზა და თანხმობაც მიიღო. ამ თემაზე თვითონ ძანეტიმ ისაუბრა:

„კლუბის მესვეურები კიდევ ერთხელ მენდნენ და ამისთვის, მათი უზომოდ მადლიერი ვარ. „ინტერს“ არასდროს მივუტოვებივარ, გასაჭირში ყოველთვის გვერდით მედგა და ახალი კონტრაქტი ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. ერთი სული მაქვს, როდის მოვიშუშებ ტრავმას და მოედანს დავუბრუნდები. მომდევნო სეზონში, ჩვენი მიზანი სკუდეტოს მოგებაა და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ“.

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ძანეტის სარეაბილიტაციო პერიოდი წარმატებით მიმდინარეობს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მოედანს შემოდგომის ბოლოს დაუბრუნდება. ანუ, კაპიტანი თავის გუნდს სეზონის მეორე ეტაპზე დაეხმარება.

მსოფლიოს ჩემპიონატი. U 20.

# ჩემპიონატი იქნება



თურქეთში არეულობებს მსხვერპლი მოჰყვა

ფიფამ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც 21 ივნისს, როგორც კალენდრით იყო გათვალისწინებული, თურქეთში დაიწყება მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი.

ჩემპიონატს საფრთხე თურქეთში განვითარებულმა მოვლენებმა შეუქმნა, როცა ტაქსიმის მოედანზე პარკის გადასარჩენად დაწყებული აქციები, საყოველთაო არეულობაში გადაიზარდა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

„ჩვენ მუდმივ კონტაქტში ვართ ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტთან და ისინი გვაწვდიან ინფორმაციას არენების შესახებ. დღევანდელი მონაცემებით, ტურნირის გამართვას ხელს არაფერი უშლის“, - განაცხადა ფიფას წარმომადგენელმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

უდინეზე

# ტოტო გაჩერებას არ აპირებს

## დი ნატალეს ახალი კონტრაქტი და დიდი მიზნები

**ანტონიო დი ნატალემ** გასული სეზონიც უმაღლეს დონეზე ჩაატარა და 1 ივლისის მოახლოვებისთანავე, როცა სატრანსფერო ფანჯარა ოფიციალურად იხსნება, მასზე ბევრი ჭორ-მართალი გავრცელდა... ითქვა ისიც, რომ ტოტოს გადაბირებით თვით „იუვენტუსია“ დაინტერესებული და პრესასთან საუბრისას, ეს არც ფეხბურთელმა უარყო. თუმცა, იქვე დასძინა, უდინეში თავს დიდებულად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებო. ასეთი ერთგულება ფრიულელებმა ტოტოს ახალი ხელშეკრულებით დაუფასეს, რომელსაც ხელი უახლოეს დღეებში მოეწერება. კონტრაქტი 2015 წლის 1 ივლისამდეა გათვლილი, რაც იმას ნიშნავს, რომ დი ნატალე „ბიანკონერიში“ კიდევ მინიმუმ ორი სეზონი ითამაშებს... აქვე ვთქვათ, რომ ანტონიო 35 წლისაა და მის ასაკში, ფეხბურთელებს ძირითადად ერთწლიან კონტრაქტებს უფორმებენ.

„უდინეზეს“ ლიდერმა „კორიერე დელო სპორტის“ რამდენიმე კითხვას გასცა პასუხი...



ანტონიო დი ნატალე

**- ეს თქვენი ბოლო კონტრაქტია ფეხბურთელის რანგში?**

- ვითამაშებ იქამდე, სადამდეც შემეძლება და შესაბამისად, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. ჯერ კიდევ ენთუზიაზმით ვარ ალსავსე, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

**- ამბობენ, რომ „ნაპოლის“ სურს თქვენი გადაბირება, რაც კიდევ ერთი შანსია ითამაშოთ მშობლიური ქალაქის გუნდში...**

- ვამაყობ, რომ ნეაპოლელი ვარ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ უდინედან წასვლას არ ვაპირებ. აქ სახლი ვიპოვე და თავს კომფორტულად ვგრძნობ. ნეაპოლისგან განსხვავებით, უდინეში ნაკლები წნეხია, შეიძლება მიჯრით წააგო მატჩები და მაინც მშვიდად განაგრძო მუშაობა. მოკლედ, აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს.

**- ნუთუ, „იუვენტუსზეც“ უარს ამბობთ...**

- კი ვთქვი, რომ ენთუზიაზმით ვარ ალსავსე, მაგრამ იმ ასაკში მაინც არ ვარ, რომ ახალ გამოწვევებზე ვიფიქრო და ტიტულების ხიბლით, გრანდებში გადასვლაზე ვიოცნებო. ერთადერთი, რაც მინდა, ჩემი საქმის მშვიდად კეთებაა, საამისოდ კი უდინეში ყველა პირობა მაქვს შექმნილი.

**- იტალიის ნაკრებზე აღარ ფიქრობთ?**

- ჩეზარე პრანდელიმ ახალგაზრდებზე გააკეთა აქცენტი და ეს მესმის კიდეც. ჩემ გარდა, ეროვნულ გუნდში აღარც ანტონიო კასანოს იწვევენ. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ მუნდიალზე გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სიაში ჩემს გვარსაც ამოვიკითხავ. სანამ მოქმედი ფეხბურთელი ვარ, ნაკრებში ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვითამაშებ.

**- რა გეგმები გაქვთ მომდევნო სეზონში?**

- „უდინეზეს“ შესწევს იმის ძალა, რომ თანაბარი წარმატებით ითამაშოს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. სწორედ ამას ვაპირებთ...

**ლაშა ნიკლაური**






მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი

# ბავშვები უფროსებმა დაგვიჩაგრეს

**მოლოდინისამებრ, ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირად პირველობაზე პლეი ოფის პირველივე რაუნდში დაასრულა გამოსვლა ანტალიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის რიგით მეორე ეტაპზე. გუშინ მშვილდოსნებმა 1/48-ფინალში იასპარეზეს და ქალებშიც და ვაჟებშიც ჩვენი ექვსივე მონაწილე დასაწყისშივე დამარცხდა. ამათგან მეტ-ნაკლებად წარმატებით მხოლოდ ლაშა ფხაკაძემ და თეონა კუტალაძემ ისროლეს, დანარჩენებმა კი უშანსოდ წააგეს.**

ფხაკაძე პირველ წრეში ბრაზილიელ **ბერნანდო ოლივეირას** ხვდებოდა და 4:6 დათმო. აქ გადამწყვეტი მესამე სერია გამოდგა, როცა ბრაზილიელი დაწინაურდა, მომდევნო ორი კი ფრედ დასრულდა და უპირატესობაც შეინარჩუნა. საწყისი ორი რაუნდი ბევრი რამით ჰგავდა ერთმანეთს – ორივეში ანგარიში 25:24 იყო, ოღონდ მეტოქეებმა მონაცვლეობით იმარჯვეს – ჯერ ბრაზილიელმა მოიგო, შემდეგ - ფხაკაძემ. არადა, ჩვენებურს პირველი სერიის ხსნაც შეეძლო, რომელიმეში ერთი ქულით მეტი რომ გაერტყა სამი ისრიდან. ამის შანსი ნამდვილად ჰქონდა იმის მიუხედავად, რომ სამხრეთამერიკელმა სულ პირველ ცდაზე მის 9-იანს პირდაპირ ცენტრში მორტყმული 10-იანით უპასუხა. მეორე სერია ძალზე საინტერესოდ წარიმართა – პირველი ისარი ორივემ 9-იანში მოარტყა, მეორე – 8-იანში, მესამეში კი ბრაზილიელს ნერვებმა ცოტა უმტყუნა და მხოლოდ 7 ქულა მოინადავლა, რითაც ერთით ჩამორჩა ქართველს. სამაგიეროდ, სწორედ ამის შემდეგ აილო გამანადგურებელი რევანში – მესამე პარტია 28:25 მოიგო, რისი გაბათილებაც ფხაკაძემ, დიდი ბრძოლის მიუხედავად, ვერაფრით შეძლო – მომდევნო სეტები 29:29 და 26:26 დასრულდა. საინტერესოა, რომ ფხაკაძემ ორივე სერიაში პირველი გასროლა ცენტრში მოარტყა, თუმცა ამან ვერაფერში უშველა და მაინც წააგო.

მოსეშვილი ესპანელ **ხუან იგნასიო როდრიგესთან** 0:6 დამარცხდა, როგორც **არჩილ ფარსენაძე** – ჩინელ **შუაი ჭანგთან**. მოსეშვილს ორ სეტში ჰქონდა გათანაბრების შანსი, ფარსენაძეს – მხოლოდ ერთში. სამწუხაროდ, მათ 10-იანში ერთხელაც ვერ გაარტყეს, ფარსენაძეს კი 9 გასროლიდან 4-ში შვიდიანი ჰქონდა. მის გამოსვლაში ცოტათი ის თუ დაგვაიმედებს, რომ ასაკით ჯერ პატარაა – კვლავაც ჭაბუკთა ნაკრების წევრია, აქ კი უფროსების პირისპირ ასპარეზობდა.

ფხაკაძეზე ბევრად უფრო დრამატულ პაექრობაში დამარცხდა თეონა კუტალაძე ფრანგ **ნაომი ბრიანთან** – ოთხი სეტის შემდეგ ანგარიში 2:2 იყო და ყველაფერი ბოლო, მეხუთე სეტმა გადაწყვიტა, რომელიც ჩვენებურმა 21:26 წააგო. თავიდან კუტალაძე დაწინაურდა – 25:19 იმარჯვა, მაგრამ მერე კოშმარული სერია ჩაატარა – პირველი ორი ისარი 6-იანში, ხოლო მესამე სულაც 5-იანში მოარტყა და 17:23 დამარცხდა. ეს მით უფრო საწყენია, რომ დიდი სიზუსტით არც ახალბედა ფრანგი გამოირჩეოდა – კუტალაძის არ იყოს, 15 გასროლიდან 10-იანში ვერც მან მოარტყა. ქართველმა მესამე სერიაში მობილიზება შეძლო და საუკეთესო ცდა გამოუვიდა – სამივე ისარი 9-იანში ჩასვა, სერია კი 27:25 მოიგო. სამაგიეროდ, დათმო მომდევნო ორი და მთელი ჯაფა წყალში ჩაეყარა. დასანანია, რომ მან გადამწყვეტ, მეხუთე სერიაში მებრძოლი ხასიათი ვერ გამოავლინა და სუსტად ისროლა – 8, 7 და 6 ქულა მოინადავლა.

აბულაძე და ფუტკარაძე ჯერ ისევ 17-წლამდელთა ნაკრებში გამოდიან და მათაც ბევრად უფროსებთან მოუწიათ პაექრობამ. ამის მიუხედავად, აბულაძემ ერთი სერია მაინც მოუგო ბელარუს **ალიონა ტოლკაჩს** – მეორეში 26:25 იმარჯვა. აქ პირველი ისარი ორივემ 10-იანში გაარტყა, ოღონდ მეტოქისა ცენტრში მოხვდა. მეორე გასროლაში ტოლკაჩმა იმარჯვა – 9:8. მესამე ისარი აბულაძემ ისევ 8-იანში დასვა, ბელარუსმა კი გვარიანად დააცილა წარმატებას – მხოლოდ 6 ქულა მოინადავლა.

ფუტკარაძემ მექსიკელ **მარიანა გარსიასთან** სამივე სეტი დათმო, თუმცა პირველი ორი მხოლოდ თითო ქულით წააგო, და 0:6 დამარცხდა.

დღეს ანთალიაში კვლავაც პლეი ოფის შეხვედრები გაგრძელდება, თუმცა ჩვენ ტურნირზე საყურადღებო მხოლოდ ხვალინდელი დღე დაგვრჩენია, როცა გუნდურში საასპარეზოდ ქალები გამოვლენ – ისინი პირველ წრეში კორეელებს გაეჯიბრებიან. როგორც გუშინ გაცნობეთ, გუნდურში ვერც ვაჟებში და ვერც შერეულ წყვილებში პლეი ოფში ვერ გავედით.

როგორც გითხარით, ჩვენი ექვსეულიდან შედარებით უკეთ ფხაკაძემ და კუტალაძემ ისროლეს. ალბათ, ეს ლოგიკურიცაა, რადგან ორივე ახალგაზრდებში თავისი გუნდის ლიდერია, თან ასაკითაც სხვებზე ახლოს არიან უფროსებთან, თორემ ფარსენაძეც, აბულაძეც და ფუტკარაძეც ჭაბუკთა შორის გამოდიან. აქედან გამომდინარე, უფროსებში მათი გამოყვანით ხომ არ ვაჩქარებთ პროცესს? ფედერაციას ვეთანხებით იმაში, რომ უფროსებმა აუცილებლად უნდა მოუმატონ შედეგებს, მაგრამ ამ ახალგაზრდების ასეთ დონეზე გამოყვანას ხომ არ ჯობია, ისინი თანატოლთა ტურნირებში დავტვირთოთ? მართალია, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონების გვერდით ასპარეზობა მათთვის გარკვეული სკოლაა, მაგრამ განა სად გვეჩქარება, ასე პატარებს ასე დიდი ტვირთის აწევა რომ მოვთხოვოთ? ხომ არ აჯობებს, მათთვის ჯერ მთავარი პრიორიტეტი მაინც თანატოლთა ნაკრები, იქაური შეჯიბრებები იყოს, ეროვნულში კი პერიოდულად ვასროლინოთ? ბუნებრივია, აქ ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელობას საკუთარი ხედვა აქვს, მაგრამ თემა, ვგონებთ, განსჯად ღირს. ვფიქრობთ, ბევრს გვაჩვენებს რუმინეთში გასამართავი ახალგაზრდული ტურნირი – იქაც თუ გაიმეორეს ის შედეგები, რაც ორიოდე კვირის წინ სლოვენიაში გააკეთეს, მაშინ ბევრ რამეზე უფრო დაწვრილებით შეიძლება მსჯელობა.



**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

## ნანა ყველაზე სწრაფია

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში პირველად გაიმართა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატი ბლიცში. მედლებისა და ფულადი პრიზებისთვის (500 ლარი) სხვადასხვა ქალაქის 20 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს. ჩვენი ქვეყნის ქალთა ნაკრების ლიდერმა, 2008 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა **ნანა ძაგნიძემ**, რომელიც 15 ივნისიდან ფიდეს ქალთა გრან პრის მე-2 ეტაპში მოსინჯავს ძალებს, 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. 6,5-6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებზე, კოეფიციენტების გათვალისწინებით, **ნინო ბაციაშვილი, ინგა ჭარხალაშვილი** და **მირანდა მიქაძე** გავიდნენ. რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი) საქართველოს პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულ **მერი არაბიძეს** 6 ქულით მე-5 ადგილი ერგო.

**ვაჟა დანელია**



მარცხნიდან: ნინო ბაციაშვილი, ნანა ძაგნიძე, ინგა ჭარხალაშვილი



მარცხნიდან: ლევან ფანცულაია და მიხეილ მჭედლიშვილი

## რეიტინგფავორიტი ზავით იწყებს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 72-ე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. შეჯიბრება 12 მოასპარეზეს შორის წრიული სისტემით ჩატარდება. პირველ ტურში მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა ყაიმით - დაზავდნენ საქართველოს ნაკრების წევრები - ტურნირის რეიტინგფავორიტი **მიხეილ მჭედლიშვილი** და **ლევან ფანცულაია, ლუკა პაიჭაძე** და **გიგა ყუფარაძე.** დანარჩენი ოთხი პარტია ასე დასრულდა: **დავით ზარქუა - კონსტანტინე შანავა 0:1, მერაბ გაგუნაშვილი - დავით მალალაშვილი 1:0, დავით ლომსაძე - დავით ჯოჯუა 0:1, გაიოზ ნიგალიძე - ფრიდონ ყალაგაშვილი 1:0.**

დღეს მე-2 ტურში ითამაშებენ: ყუფარაძე - ყალაგაშვილი, ჯოჯუა - ნიგალიძე, მალალაშვილი - ლომსაძე, შანავა - გაგუნაშვილი, მჭედლიშვილი - ზარქუა, პაიჭაძე - ფანცულაია.

**ვაჟა დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს ნაკრები. ინტერვიუ დათო პოლოსიანთან



ილეთს ატარებს ლადო ხინჩეგაშვილი

# კონკურენციის ზრდა გვახარებს

**საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები ამას წინათ მახაჩყალის (დაღესტანი) ტურნირზე და სასარიში (იტალია) გამართულ ოქროს გრან პრიზე იმყოფებოდა. ნაკრების მწვრთნელებმა (რეზო მინდორაშვილი, დავით პოლოსიანი, ალექსანდრე კახნიაშვილი) ორივე შეჯიბრებაზე სხვადასხვა შემადგენლობა წაიყვანეს. ამით წონითი კატეგორიის ლიდერებს გაუზარდეს საშეჯიბრო პრაქტიკა, მეორე-მესამე ნომრები კიდევ ერთხელ გამოსცადეს და რამდენიმე ისეთ სპორტსმენს, რომლებიც ამჟერად ლიდერებში არ მოიაზრებიან, თუმცა სპეციალისტთა გათვლებით პერსპექტიულად მიიჩნევა - მისცეს თავის გამოჩენის შანსი. ორივე შეჯიბრებაზე გუნდს ახლდა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი დათო პოლოსიანი, რომელსაც ფალავანთა გამოსვლასა და ნაკრებში დღეს არსებულ ვითარებაზე ვესაუბრეთ.**

**- ალი ალიევის სახელობის ტურნირის დონემ თუ დაგაკმაყოფილათ?**

- ეს შეჯიბრება არასოდეს ყოფილა სუსტი. თავდაპირველად იგი მხოლოდ მონაწილეთა სიძლიერით იპყრობდა ყურადღებას, შემდეგ გამარჯვებულთათვის დაწესებული საპრიზო ფონდითაც. წლეულსაც ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. თავად რუსეთზე რომ არაფერი ვთქვათ, ძირითადად პირველი გუნდებით იასპარეზეს აზერბაიჯანის და თურქეთის ნაკრებებმა. მათთან ჩვენი სპორტსმენების პაექრობა ნამდვილად საინტერესო იყო.

**- თუმცა საქართველოს ნაკრებმა სათადარიგო შემადგენლობით იჭიდავა დაღესტანში.**

- სულ 13-კაციანი შემადგენლობით ვიყავით წასული. გუნდში ჩვენი ქვეყნის მხოლოდ ორი მოქმედი ჩემპიონი გვყავდა, დანარჩენი მეორე-მესამე ნომრები იყვნენ. რიგ წონებში გამოვცადეთ ისეთი სპორტსმენებიც, ვინც ქვეყნის ჩემპიონატზე კვარცხლბეკს მიღმა დარჩა, თუმცა კარგი ჭიდაობით უდავოდ დაიმსახურეს ყურადღება. მათთვის აუცილებელია საშეჯიბრო გამოცდილება, რათა მომდევნო საქართველოს ჩემპიონატამდე მათთვის სპორტული სეზონი ფაქტობრივად გაცდენილი არ აღმოჩნდეს.

**- იქ ჩვენმა მოჭიდავეებმა სამი ბრინჯაო მოიპოვეს, მათი ასპარეზობიდან რა იყო საინტერესო?**

- სასიამოვნოა, რომ კობა მაქარაშვილმა (73 კგ), რომელიც საქართველოს ჩემპიონატებზე ყოველთვის კარგად გამოდიოდა, თუმცა საერთაშორისო ასპარეზზე მედალი არ ჰქონდა მოპოვებული - ამჯერად ნავსი გატეხა (ბრინჯაო დაიმსახურა). კობას მეტოქე სწორად რომ შეეფასებინა (მეტად თავდაჯერებული გავიდა ხალიჩაზე), პირველობაც ხელეწიფებოდა. მურთაზ კვესაძის (60 კგ) ბრინჯაოც არ არის ურიგო მიღწევა. ელიზბარ ოდიკაძემ (96 კგ) კი ძალიან ძლიერ კონკურენციაში შეძლო კვარცხლბეკამდე მიღწევა. წააგო აბდუსალიმ გადისოვსიან, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია და მისი დამარცხება ძალიან ძნელია.

**- ამავე წონაში (96), მახაჩყალიდან რამდენიმე დღეში სასარის (იტალია) გრან პრიზე დაჩი ქერაშვილმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ეს ნიშნავს, რომ ამ წონაში მძაფრი კონკურენციაა...**

- იტალიაში ქერაშვილის გამოსვლითაც კმაყოფილი ვართ. ფინალური შეხვედრა მან მცირე შეცდომის გამო დათმო. დაჩის კარგი ჭიდაობა სულაც არაა ჩვენთვის მოულოდნელი. მან თავისი ძალა ყველას ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ გიორგი გოგშელიძესთან გამართულ ძალიან რთულ ორთაბრძოლაში აჩვენა. გუნდში კონკურენციის ზრდა კი, ცხადია, სასიხარულოა.

**- 66 კგ-ში მახაჩყალაში ჩვენმა სპორტსმენებმა ისევ გაგვიცრუეს იმედები, რაც ალბათ, ნაწილობრივ, სასარიში ზარქუას ოქროს მედალმა გააბათილა.**

- ზარქუას გამარჯვება, ცხადია, სასიხარულოა მწვრთნელებისთვის, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ იტალიის გრან პრიზე ამ წონაში ძლიერი სპორტსმენები იყვნენ შეკრებილნი. მახაჩყალაში კი ერთბაშად ოთხი მონაწილე გვყავდა და ბოლომდე კმაყოფილი არც ერთის ასპარეზობით არ დავრჩენილვართ, რაც ძალიან სამწუხაროა.

**- ხასიათის გამოკვეთება თუ გვინდა, სასარიში, 60 კგ-ის ფინალურ შეხვედრაში ლადო ხინჩეგაშვილის მიერ შესრულებული გარე სარმა უნდა გავიხსენოთ...**



დავით პოლოსიანი

- მართლაც ულამაზესი გდება იყო! შეხვედრის დასრულებამდე 15 წამით ადრე ფალავანი რომ ქულას დაკარგავს, რითაც მარცხდება და შვიდი წამით ადრე გამარჯვების მოპოვებას ბრწყინვალე ილეთით შეძლებს, როგორ შეიძლება მისი ბრძოლის ჟინით არ აღფრთოვანდე?! ლადო უშუალოდ არენაზეც შესანიშნავად აზროვნებს, მწვრთნელის გარედან კარნახიც კარგად გადააქვს ხალიჩაზე. მეტიც, ხშირად ზუსტად იმას აკეთებს, რის კარნახსაც აპირებდა დამრიგებელი. ხინჩეგაშვილს ნამდვილი საჩემპიონო ჭიდაობა აქვს და გული მწყდება, რომ ჯერ არ არის ევროპის, მსოფლიოს, ან ოლიმპიური ჩემპიონი, თუმცა შეუძლებელია, რომ საბოლოოდ ეს მან ვერ შეძლოს!

**- მძიმე წონაში ჩვენს ნაკრებს კონკურენციის თვალსაზრისით, ნამდვილად არ უჭირს...**

- გენო პეტრიაშვილი, გიორგი საკანდელიძე და დავით მოძმანაშვილი ერთმანეთზე უკეთესი ფალავნები არიან! ყველას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ევროპის ჩემპიონატის წინ, მიუხედავად იმისა, რომ პეტრიაშვილი საქართველოს მოქმედი ჩემპიონი გახლდათ, დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი 18 წლის გენოს კონტინენტის ჩემპიონატზე გაყვანის მიზანშეწონილობის შესახებ. მაგრამ მწვრთნელებმა დავინახეთ, რომ იგი აღმასვლისკენ დიდი ინერციით მიდიოდა, შევუშვით არენაზე და მართლაც ყველა გაგვახარა! გენომ ახლახან ანკარაში ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად იასპარეზა და ოქროს მედლით დაბრუნდა. იტალიის გრან პრიზე საკანდელიძის ჭიდაობითაც ძალიან კმაყოფილი დავრჩით, რადგან საკმაოდ დამაჯერებლად აჯობა ყველას.

**- მოძმანაშვილის დაღესტანში ჭიდაობაზე რას გვეტყვით?**

- მოწინააღმდეგეები მასთან აშკარად უსუსურად გამოიყურებოდნენ, თუმცა დათო ხალიჩაზე რომ გადის არ იხარჯება ბოლომდე! არ ვიცი რისთვის, ან ვისთვის იტოვებს ძალას და შესაძლებლობებს, მაგრამ ის ვიცი, რომ თუ მოინდომა, მსოფლიოში არ მეგულება ფალავანი, რომელიც გააჩერებდა! სამწუხაროა, რომ რაც შეუძლია, იმას არ აკეთებს. მოახლოებული საქართველოს თასის (22 - 23 ივნისი) გათამაშება აქაც და ყველა სხვა წონაში ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

**- ევროპის ჩემპიონი გიორგი ედიშერაშვილი (55 კგ) მხოლოდ იტალიაში გყავდათ და ისიც სხვა წონაში აჭიდავეთ.**

- დიახ, მას აღარ დავაკლებინეთ წონა და საშეჯიბრო გამოცდილების მიზნით წავიყვანეთ სასარიში, თუმცა გიორგიმ ზედა წონაში ბრინჯაოს მედალი მაინც აიღო.

**- მარსაგიშვილის უჭიდავებლობის მიზეზი რა იყო?**

- სასარიში იგი აიწონა კიდეც შეჯიბრების წინ, მაგრამ ვარჯიშზე კუნთი დაიზიანა და არ გავრისკეთ მისი არენაზე შეშვება.

**ვასილ ბალახაძე**
ფოტო: www.qartlisport.ge



მაგიდის ჩოგბურთი

# ბარამიძე ტიტულს არ თმობს

ნაძალადევის სასპორტო კომპლექსში გამართულ მაგიდის ჩოგბურთელთა საქართველოს ჩემპიონატში 10 ქალაქისა და რაიონის 150-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა ოთხ ასაკში. საგულისხმოა, რომ 32 წლის ბათუმელმა **ვენერა ბარამიძემ**, რომელიც „თურქტელეკომის“ სპორტულ ღირსებას იცავს თურქეთის სუპერლიგაში, ყველა მეტოქეს იოლად სძლია - 3:0, მათ შორის თანაგუნდელ **ნარინე ეტარიანს** და საქართველოს ჩემპიონობა მეთოთხმეტედ დაიმსახურა. ქვეყნის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულმა **ბექა ტაბალუამ** ფინალში **არტურ კაკოიანს** აჯობა - 3:0.

*„ოთხი თვეა, რაც ფედერაციას ჩავუდექით სათავეში. ფაქტობრივად, დაშლილი ორგანიზაცია და ბევრი პრობლემა დაგვხვდა. ნელ-ნელა ვაგვარებთ საქმეს. საქართველოს ჩემპიონატამდე თბილისის პირველობა ჩავატარეთ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მივაღწიეთ შეთანხმებას - 70 სკოლაში დარბაზებს უსასყიდლოდ დაგვითმობენ სავარჯიშოდ; ჩინეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მემორანდუმი გავაფორმეთ და ინვენტარით მოგვამარაგებენ. მათი მწვრთნელები კი ქართველ კოლეგებს ტრენინგებს ჩაუტარებენ. მოგეხსენებათ, ჩინელ მაგიდის ჩოგბურთელებს მსოფლიოში მოწინავე პოზიციები უკავიათ. ამიტომ მათთან თანამშრომლობა დიდ დახმარებას გაგვიწევს. ვეცდებით, სპორტსმენთა გაცვლითი პროგრამების საკითხიც მოვაგვაროთ. ეროვნული ჩემპიონატის შედეგებით ოთხივე ასაკში შევარჩევთ საუკეთესოებს და საწვრთნელ შეკრებას ჩავუტარებთ. მერე კი ვნახოთ - ბევრ ქვეყანაში გვიწვევენ საასპარეზოდ და, ალბათ, ჩვენთვის სასურველს შევარჩევთ“,* - გვითხრა საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გუგეშაშვილმა.**

**კვარცხლბეკი**

**მინიკადეტები. გოგონები.** 1. მაგდა რიჟვაძე, 2. ლინდა ჩიკვაიძე (ორივე - აჭარა), 3. ნანა ღოლობერიძე (თბილისი). **ბიჭები.** 1. ანრი დევაძე (აჭარა, 2. მიხეილ ვეშაპიძე, 3. ერეკლე აბაშიძე (ორივე - თბილისი).

**კადეტები. გოგონები.** 1. ანა ნიკოიანი, 2. ლაიმა რიჟვაძე, 3. ელზა მახაჭაძე (სამივე - აჭარა). **ბიჭები.** 1. ლაშა ლომია (თბილისი), 2. ვადიმ აბდალოვი, 3. ვლადიმერ მიქაძე (ორივე - აჭარა).

**იუნიორები. გოგონები.** 1. დიანა ხომერიკი (თბილისი), 2 თეა ფიცხელაური (თელავი), 3. თეონა თვაური (თბილისი). **ბიჭები.** 1. გიორგი კოპლატაძე (თბილისი), 2. ზურაბ თებიძე, 3. ჰამიდ კარაკულუკჩი-ოღლი (ორივე - აჭარა).

**უფროსები. ქალები.** 1. ვენერა ბარამიძე, 2. ნარინე ეტარიანი, 3. თეონა მაისურაძე (სამივე - აჭარა), **ვაჟები.** 1. ბექა ტაბალუა, 2. არტურ კაკოიანი (ორივე - აჭარა), 3. კოტე ხარატი (თბილისი).

**წყვილები. ქალები.** 1. ვენერა ბარამიძე, ნარინე ეტარიანი (აჭარა), 2. ლიზი კახაბრიშვილი (თბილისი), ანა ნიკოიანი (აჭარა), 3. ნონა მარქარიანი, თეონა მაისურაძე (აჭარა). **ვაჟები.** 1. ბექა ტაბალუა, სერგი პეტრიძე (აჭარა), 2. გიორგი კოპლატაძე, დავით ცატუროვი (თბილისი), 3. ივანე სალუქვაძე, ვირაბ კაზარიანი (თბილისი). **შერეული.** 1. ბექა ტაბალუა, ნარინე ეტარიანი, 2. ვენერა ბარამიძე, არტურ კაკოიანი (ორივე - აჭარა), 3. მარი გოგოჭური, კოტე ხარატი (თბილისი).

**ვაჟა დანელია**





ვენერა ბარამიძე

ჩოგბურთი

## ერთეულებს გამოეთიშა

პადოვაში (იტალია) ჩოგბურთელ ქალთა 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში **სოფიო შაფათავამ** პირველი შეხვედრა წააგო იტალიელ აგნესა ზუჩინისთან — 5:7, 7:5, 4:6 და, **მარგალიტა ჩახნაშვილის** მსგავსად, ერთეულთა თანრიგს გამოეთიშა. წყვილებში მან მარინა შამაიკოსთან (რუსეთი) ერთად სასტარტო პაექრობაში იტალიელთა დუეტს (ბრეშა-პაირონე) სძლია და მეოთხედფინალში მესამე ნომერ კორინა დენტონისა (იტალია) და ალექსანდრინა ნაიდენოვას (ბულგარეთი) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

სამკურნალო ფიზკულტურა

## პირველი ნაშრომი

დიდი ხანია სამკურნალო ფიზიკურ კულტურაში სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ჩვენში აღარავის დაუცავს დისერტაცია. სასიამოვნო გამონაკლისის მოწმე გუშინწინ გავხდით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტმა **ელისო მურვანიძემ** (ხელმძღვანელები: დოქტორები **მაია გაბუნია** და **დურმიშხან ჩიტაშვილი**) განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სამეცნიერო საბჭოს წინაშე წარადგინა გამოკვლევა თემაზე: „სპეციფიკური ფიზიკური ვარჯიშების ეფექტურობა ცერებრალური დამბლის დროს“. როგორც ხედავთ, თემა აქტუალურია და სულაც პირველი შემთხვევაა, როცა ბავშვებში ყველაზე ადრეული ასაკიდან ფიზიკური ვარჯიშებით მკურნალობა წარმატებულ ეფექტზეა გათვლილი.

დისერტაციამ კარგი შეფასება დაიმსახურა და სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაამტკიცა.

**თენგიზ თომაშვილი**



### სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-16 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

სოჭი-2014





## მონაწილეობაც და მეტიც...

როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, მონაწილეობა მიიღოს 2014 წელს სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. ახლა ცნობილი ისიც გახდა, რომ საქართველო არა მხოლოდ იასპარეზებს ოლიმპიადაში, არამედ დაეხმარება კიდეც რუსეთის ფედერაციას თამაშების უსაფრთხოდ ჩატარებაში. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა.

*„მზად ვართ მივიღოთ დახმარება. გვსურს ურთიერთობის აღდგენა. საქართველოსთან თბილი დამოკიდებულება გვაქვს, ჩვენი ხალხები ძალიან ახლობლები არიან. რაც შეეხება ახალი მთავრობის გადაწყვეტილებას, მიიღოს მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში, გადადგას შემხვედრი სხვა ნაბიჯებიც, ჩვენ ამას ვხედავთ“.* - თქვა პუტინმა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სატრანსფერო მიდი-მოდი

# ფაჩულია კოკოშკოვთან, კლივლენდში?




საქართველოსნაკრების ცენტრ **ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა. NBA-ის თავისუფალ აგენტთა ბაზარი პირველი ივლისიდან გაიხსნება და კონკრეტულ ნაბიჯებსაც მას მერე უნდა ველოდოთ.

რაც შეეხება მწვრთნელებს, ცვლილებები უკვე დაიწყო და ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ტრანსფერიც შედგა: საქართველოს ნაკრების თავკაცი **იგორ კოკოშკოვი** „ფინიქს სანსიდან" „კლივლენდ კავალიერსში" გადავიდა, სადაც გუნდის შეტევით პოტენციალზე მოუწევს ზრუნვა.

ერთბაშად ორ კლივლენდურ გამოცემაში ერთი და იმავე შინაარსის პუბლიკაცია გამოქვეყნდა: „კავალერებს" წინა ხაზის გაძლიერება სჭირდებათ და ზაზა ფაჩულიას გადაყვანაზე ფიქრობენო. პუბლიკაციათა ავტორებს არ ავიწყდებათ, რომ ზაზა და „კლივლენდის" ახალი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს ნაკრებში ერთად მუშაობენ.

შესაძლოა, სერბ სპეციალისტს მართლაც ჰქონდეს ზაზას დამატების სურვილი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი მხოლოდ ასისტენტია. და მეორეც, ფაჩულიას არაერთხელ უთქვამს, რომ ამერიკაში მას უკვე კარგად იცნობენ და შეთავაზებებს ძლიერი გუნდებისგან ელის. „კლივლენდი" კი ერთ სეზონში ვერ იქცევა აუტსაიდერიდან ფავორიტად. იმასაც შეგახსენებთ, რომ ოთხი წლის წინათ ზაზას დამატება „სან ანტონიო სპურსის" თავკაც **გრეგ პოპოვიჩს** სურდა, კონტრაქტიც გამოუგზავნა, მაგრამ ქართველმა მაშინ „ატლანტა ჰოქსში" დარჩენა გადაწყვიტა.

● ქართველი თურქეთში




# გადაიდო

თურქეთში გაიმართა ფინალური სერიის მეოთხე მატჩი. მანამდე „გალათასარაი" „ბანვითს" 3:0-ს უგებდა და გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონობასაც გაინალდებდნენ, მაგრამ საკალათბურთო განგების ნებით ზეიმი „ბანვითის" მოედანზე არ შედგა, „გალამ" 85:86 წააგო (სერიაში - 3:1). მომდევნო შეხვედრა სტამბოლში 15 ივნისს შედგება და იმედი დავიტოვოთ, რომ **მანუჩარ მარკოიშვილი** თურქეთის ჩემპიონობას სწორედ 15-ში გაიფორმებს.

გუშინდელი მატჩის საფინალო ანგარიშში მინიმალური სხვაობა დაფიქსირდა. ეს ნებისმიერ ფინალში მოსალოდნელია, მაგრამ ვინც შეხვედრას მიადევნა თვალი, მესამე პერიოდის ბოლოს, ალბათ, ხელსაც ჩაიქნევდა - „ბანვითი" 65:45-ს იგებდა. დარჩენილ 10 წუთში 20-ქულიანი სხვაობის გაბათილება, თანაც ფინალში, წარმოუდგენლად ჩანდა. მით უმეტეს, რომ მანამდე „გალათასარაის" არაფერი გამოსდიოდა, „ბანვითს" - ყველაფერი. მასპინძლებმა სტამბოლელებს მეორე პერიოდში ერთმანეთის მიყოლებით სამი სამქულიანი ჩაუგდეს, ამაზე არ შეჩერდნენ და როგორც გითხარით, სირენამდე 10 წუთით ადრე 20 ქულითაც დაწინაურდნენ.

ამის შემდეგ ყველაფერი პირიქით დატრიალდა: „გალათასარაიმ" თამაშის ტემპს უმატა, ფარქვეშ შედეგიან შესვლებს კალათბურთელებმა სამქულიანები მიაყოლეს და დაუჯერებელი სპურტი „გამოცხვა" - 20:3. მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე „ბანვითი" ოდენ 3 ქულის სხვაობით იგებდა (68:65). ამის შემდეგ მასპინძლები ცოტა გამოფხიზლდნენ და „გალას" გამარჯვების შანსი აღარ მისცეს.

სტუმართაგან ყველაზე მეტი **ჟამონ გორდონმა** ჩააგდო - 34 ქულა. „ბანვითის" ბომბარდირი კი 19 ქულით **კეიტ სიმონსი** გახდა. რაც შეეხება მანუჩარ მარკოიშვილს, მან 30 წუთი ითამაშა და დიდი მოცულობის სამუშაოც შეასრულა, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში ჩვეულად ზუსტი ვერ იყო - 6 სამქულიანიდან ვერც ერთი ჩააგდო. მანუმ მატჩი 2 ქულით, 6 მოხსნითა და 1 პასით დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ მეოთხე შეხვედრამდე მარკოიშვილს ფინალურ სერიაში 40 ქულა ჰქონდა ჩაგდებული.

● ქალთა ლიგის თასი



# დერბი ქუთაისისაა

| 12 ივნისი. ქუთაისი | |
|---|---|
| ქუთაისი-ზესტაფონი | 83:77 |

16:19, 22:23, 23:19, 22:16

**ქუთაისი:** მ. ჟორჟოლიანი (18ქ, 8პ), ჯანაშია (2ქ), მურღულია (2ქ, 9მ), ხუბლავა (3ქ), ხელაია (3ქ, 8მ), მაღლაკელიძე, მანაგაძე (17ქ, 7პ, 5ჩ), ნ. ჟორჟოლიანი (27ქ, 9მ), გაბიძაშვილი (11ქ, 9მ, 4პ).

**ზესტაფონი:** გრიგოლაშვილი (4ქ, 3ჩ), კუპატაძე (19ქ, 8მ, 4პ), ქ. მოდებაძე (7ქ, 5მ, 4პ), ჭიჭინაძე (18ქ, 29მ, 4პ, 4ჩ), თ. მოდებაძე (3ქ, 5მ), კვინიკაძე (26ქ, 10მ, 8პ).

ქუთაისში გაიმართა იმერული დერბი, რომელშიც ერთმანეთს „ქუთაისი" და „ზესტაფონი" დაუპირისპირდნენ. გამარჯვებული საქართველოს ქალთა ლიგის თასის ფინალის საგზურს მიიღებდა. დაძაბულ ბრძოლაში ადგილობრივმა გუნდმა მოიგო - 83:77.

მართალია სტუმრებმა პირველი ტაიმის მოგება მოახერხეს, მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარში „ქუთაისმა" უპირატესობა მოიპოვა, მესამე და მეოთხე პერიოდები მოიგო და საბოლოოდ 6 ქულის სხვაობით დაამარცხა ზესტაფონი.

გამარჯვებულებს 27 ქულით და 9 მოხსნით **ნელი ჟორჟოლიანმა** ულიდერა, 18 ქულა და 8 შედეგიანი გადაცემა მიითვალა **მადონა ჟორჟოლიანმა.** ზესტაფონელთა რიგებში საუკეთესო **ნინო კვინიკაძე** იყო, რომელსაც სამმაგ დუბლამდე 2 პასი დააკლდა - 26 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი. **თიკო ჭიჭინაძემ** კი ორმაგი დუბლი გაიფორმა - 18 ქულა, 29 მოხსნა.

ქალთა ლიგის საქართველოს თასის ფინალი 19 ივნისს, თბილისში 14:00 საათზე გაიმართება. ერთმანეთს რუსთავის „ვეჯინი" და „ქუთაისი" შეხვდებიან.

● ქართველი საბერძნეთში

# პირეოსში პანათინაიკოსი დაბომბეს, თამაში ჩაშალეს

საბერძნეთის ჩემპიონატის მესამე ფინალში საფინალო სირენამდე 1:27 წუთი რჩებოდა, როცა „ოლიმპიაკოსის" ქომაგებმა წაგების გემო იგრძნეს და მოედნის მიმართულებით ათასგვარი საგანი ისროლეს. მათ შორის პეტარდები. „პანათინაიკოსის" მოედნიდან მოთამაშეები რის ვაივაგლახით გავიდნენ.

მოკლედ, მატჩი ჩაიშალა მაშინ, როცა „ოლიმპიაკოსი" 72:76-ს აგებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დისციპლინარები პირეოსელებს წაგებას ჩაუთვლიან და ევროლიგის გამარჯვებულები ფინალურ სერიაში „პანათინაიკოსს" 0:3 ჩამორჩებიან. ეს კი უკვე ჩემპიონობის დაკარგვას ნიშნავს.

გუშინდელ შეხვედრაში „ოლიმპიაკოსის" თავკაცმა **გიორგიოს ბარძოკასმა** მოედანზე **გიორგი შერმადინი** არ შეიყვანა.

● სასკოლო კალათბურთი

# 173-ე და 69-ე



გია ბეგიაშვილი ნიკა მანჯიკაშვილს თასით აჯილდოებს

| 12 ივნისი | |
|---|---|
| 1999-2000 წელს დაბადებულები | |
| ჩაუქი-69-ე სკოლა | 25:40 |

5:11, 6:10, 8:12, 6:7

**ჩაუქი:** ფიროსმანაშვილი (4ქ), ცერცვაძე (7), მუყასაშვილი (6), ზაუტაშვილი (4)

**69-ე სკოლა:** მანჯიკაშვილი (25), ნიუაევი (8), ჭინჭარაული (5), ლონდარიძე (2)

| 1997-1998 წელს დაბადებულები | |
|---|---|
| 173-ე სკოლა-69-ე სკოლა | 51:39 |

13:9, 16:6, 9:6, 13:18

**173-ე სკოლა:** ტოტილაშვილი (11), ყეინაშვილი (16), ტულუში (16), კვიყინაძე (4)

**69-ე სკოლა:** ნამგალაური (8), შუბითიძე (9), მანჯიკაშვილი (9), წირღვავა (9), ახალაძე (4)

გუშინ დასრულდა ორი საკალათბურთო შეჯიბრება, რომელიც სპორტული კლუბის, „მორკინალის" ინიციატივით დაიწყო და საქართველოს სასკოლო სპორტის ფედერაციამ დაასრულა. საქმე ისაა, რომ შუა სეზონში „მორკინალი" ახლად დაარსებულ ფედერაციაში გაწევრიანდა.

■ ■ ■

ტურნირი, რომელმაც შემოდგომით აიღო სტარტი, ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა: 1997-98 და 1999-2000 წელს დაბადებულთა შორის.

უმცროსი ასაკის შეჯიბრებაში 10 გუნდი ჩაერთო და ფინალში 173-ე სკოლის გუნდი „ჩაუქი" და 69-ე სკოლა დაუპირისპირდნენ. გამარჯვება 69-ელებს დარჩათ, რომელთა რიგებშიც **ნიკა მანჯიკაშვილი** გამოირჩეოდა. მის ანგარიშზე 25 ქულაა.

მესამე ადგილზე გავიდა მე-16 სკოლის გუნდი.

■ ■ ■

1997-98 წლიანთა ტურნირში 8 გუნდი ჩაერთო. მესამე ადგილი ასევე მე-16 სკოლამ დაიკავა. ფინალში ისევ 173-ე და 69-ე სკოლები გავიდნენ. ამჯერად გუნდებმა პოზიციები გაცვალეს - ჩემპიონი 173-ე გახდა, ხოლო 69-ე სკოლამ მეორე ადგილი დაიკავა. ფინალში 16-16 ქულით ბომბარდირობა გამარჯვებულთაგან იკისრეს **ტულუშმა** და **ყეინაშვილმა.**

ჩემპიონები ოქროს მედლებით დააჯილდოვა საქართველოს სასკოლო სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელმა **გია ბეგიაშვილმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ გაისად სასკოლო კალათბურთში არანაკლები მასშტაბის შეჯიბრება გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# ზოგი ადის, ზოგიც ჩადის

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონის გუნდები მომავალი სეზონისთვის გამალებით ემზადებიან. სატრანსფერო ფანჯარა ჯერ კიდევ ღიაა და გუნდების აქტიურობაც საგრძნობია. ცხადია, ამ ციებ-ცხელებაში ქართველი მორაგბეებიც არიან ჩართულნი.**



ხვიჩა ბუჯიაშვილი

ევროპის თასების ყველაზე პრესტიჟული ტურნირის, „ჰაინეკენის თასის" მფლობელი „ტულონი" დატოვა და ფრანგული რაგბის ერთ-ერთ უძველეს კლუბში, პარიზულ „სტად ფრანსეში" გადაბარგდა საქართველოს ნაკრების ბურჯი **დავით ქუბრიაშვილი.**

როგორც ფრანგული მედია იუწყება, „დუდუს" გუნდში პრობლემა იტალიელი პირველხაზელის, **მარტინ კასტროჯოვანის** მიწვევის შემდეგ შეექმნა. ქართველ მორაგბეს ერთადერთი გამოსავალი ჰქონდა - სხვა გუნდში უნდა გადასულიყო. მით უფრო, რომ მისი მსურველები საკმარისად იყვნენ: ფრანგული რაგბის გრანდი „ტულუზი" და ბასკური „ბაიონი". თუმცა „დუდუს" ხელს ის ფაქტი უშლიდა, რომ კონტრაქტის მიხედვით „ტულონთან" კიდევ ერთი წელიწადი აკავშირებდა.

ასეთ, თუ შეიძლება ითქვას, საჩოთირო ვითარებაში, ტულონელთა მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** „კაცურად" მოიქცა. ქუბრიაშვილს კონტრაქტი გაუწყვიტა და „სტად ფრანსეში" კომპენსაციის გარეშე გაუშვა. შედეგად, „დუდუმ" ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, რომ „სტად ფრანსეში" თამაშობს კიდევ ერთი ქართველი, შერკინების ბურჯი **ზურაბ ჟვანია.**

უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ ელიტური, მეორე დივიზიონის „ალბიში" ითამაშებს „არმიას" მესამეხაზელი **ხვიჩა ბუჯიაშვილი.** მას საფრანგეთში გადაბარგების მცდელობა შარშანაც ჰქონდა, მაგრამ მაშინ სხვადასხვა მიზეზის გამო არ გამოუვიდა. ამჯერად ბუჯიაშვილი, რომელიც ქვეყნის ვიცე-ჩემპიონის ერთ-ერთი წამყვანი მორაგბე იყო, ქართველებით ისედაც მრავალრიცხოვანი გუნდის ღირსებას დაიცავს.

შეგახსენებთ, რომ „ალბიში", რომელმაც გასულ სეზონში მე-11 ადგილი დაიკავა, ხუთი ქართველი თამაშობდა. ესენია: **ალექსანდრე თოდუა, გიორგი კობერიძე, ვახტანგ მაისურაძე, ვახტანგ ახობაძე** და **გიორგი თეთრაშვილი.**

სამწუხაროდ, მეორე დივიზიონების კლუბები დატოვეს **ირაკლი ნატრიაშვილმა** (ბრივი) და **დავით დადუნაშვილმა** (ტარბი). „ბრივმა", სულაც ელიტური, პირველი დივიზიონის საგზური მოიპოვა. თუმცა საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი გუნდს უძლიერესთა შორის საასპარეზოდ არ გადაჰყვება. ნატრიაშვილი, სავარაუდოდ, ფედერალ 1 დივიზიონის „პერიგოში" განაგრძობს კარიერას, სადაც უკვე დიდი ხანია „ბორჯღალოსნების" შუამარბი **თედო ზიბზიბაძე** ასპარეზობს.

დავით დადუნაშვილმა კი, რომელიც ქართველებით ასევე „დახუნძლულ" „ტარბში" თამაშობდა, ფედერალ 1 დივიზიონში დაქვეითებულ „მასის" მიაშურა. ქართველი შერკინების ბურჯი ამ პარიზულ გუნდში იქამდე საკმაოდ დიდხანს ირჯებოდა. „მასიში" მის გარდა **დავით აშვეთია** და **შალვა სუთიაშვილი** ირიცხებიან.

ფედერალ 1 დივიზიონიდან გავარდნილი „სენ ჟუნიენი" დატოვა და „ბაგნერეში" გადაბარგდა შერკინების ბურჯი **გიორგი მჭედლიშვილი.** მას აქ ქართველი მორაგბეებიდან შერკინების კვაჭი **სიმონ მაისურაძე** და მგეზავი **ლაშა ხმალაძე** დახვდებიან. ამავე დივიზიონის „რომანი" დატოვა და „დიჟონში" ჩაირიცხა პირველხაზელი **ირაკლი ნინიძე.**

„როდეზში" აღარ ითამაშებს საქართველოს ნაკრების შუამარბი **დავით კაჭარავა.** ფრანგული სარაგბო ვებგვერდების ინფორმაციით, ის შეიძლება რუსეთში გადაბარგდეს. მსგავსი ინფორმაცია შარშანდელი სეზონის დაწყების წინაც ვრცელდებოდა, თუმცა კაჭარავა საფრანგეთში დარჩა.

ელიტური, მეორე დივიზიონის „პო" დატოვა ქართველმა პირველხაზელმა **მამუკა მაგრაქველიძემ.** მის შესაძლო მომავალ გუნდად „ბურგუენი" და „ბურგ ან ბრესი" სახელდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# დაუმარცხებელი ორი დარჩა

საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგაში პირველი წრე დასასრულს უახლოვდება. A ჯგუფში ცხრა ტურის შემდეგ პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი სამ გუნდს აქვს. აქედან ერთი, თბილისის „აკადემია" ჯერაც დაუმარცხებელია. ამ თბილისურმა გუნდმა გასვლით თამაშში რუსთავის „ხარებთან" ფრეს მიაღწია - 13:13.

„ხარები" ახლა 32 ქულით ლიდერები არიან. მას „აკადემია" ერთი ქულით ჩამორჩება, თუმცა ერთი მატჩი თადარიგში აქვს. ამ დუეტს კვალში უდგას თბილისის „ხულიგანა", რომელმაც მე-9 ტურში საინტერესო ბრძოლაში თბილისის „ყოჩებს" სძლია - 27:24.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**A ჯგუფი**

**IX ტური**

ქუთაისი2-არწივები 24:11, ხულიგანა-ყოჩები 27:24, ხარები-აკადემია 13:13, ვეფხვები-არმია 7:36.

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ხარები - 32 ქულა, 2. აკადემია - 31, 3. ხულიგანა - 27, 4. ქუთაისი 2 - 20, 5. არმია - 19, 6. არწივები - 14, 7. ყოჩები - 10, 8. ვეფხვები - 4, 9. იმერეთი - 2.**

თითქმის იდენტური ვითარებაა B ჯგუფში. აქ 31 ქულით თბილისის „ლოკომოტივი" ლიდერობს, რომელსაც უახლოესი მდევარი, აქამდე დაუმარცხებელი ქუთაისის პირველი გუნდი, სამი ქულით ჩამორჩება. ქუთათურებს, ისევ როგორც „აკადემიას", ლიდერზე ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**B ჯგუფი**

**X ტური**

ქუთაისი1-ლელო 30:17, არმაზი-ჯვაროსნები 37:10, ივერია მგლები-ჯიქები 3:83, ტაო-ლოკომოტივი 12:52.

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლოკომოტივი - 31 ქულა, 2. ქუთაისი1 - 28, 3. ჯიქები - 25, 4. არმაზი - 23, 5. ლელო - 15, 6. ივერია მგლები - 11, 7. ნიქარა - 8, 8. ჯვაროსნები - 5, 9. ტაო - 5.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# მორაგბეები არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროგრამაში

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივით, ხორციელდება „არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის" ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობას სპორტის აქტიური გამოყენებით.



არაფორმალური განათლების და პროფესიული სწავლების უზრუნველყოფით.

პროექტი 2013 წლის მარტიდან დაიწყო და წლის ბოლომდე გასტანს. ამ ეტაპზე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაწესებულებაში მიმდინარეობს რაგბისა და ფეხბურთის სწავლება, ხეზე კვეთა, ხის მხატვრული დამუშავების გაკვეთილები, გიტარის გაკვეთილები, კინოლექტორიუმი, ლექცია-სემინარები, კინოჩვენებები განხილვებით, კომპიუტერული კურსები: პროგრამირება და ვებ დიზაინი.

გუშინ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ავჭალის არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დაწესებულებას საერთაშორისო სარაგბო ტურნირის „თბილისის თასის" გათამაშების მონაწილე ქართველი და უცხოელი ცნობილი მორაგბეები ეწვივნენ: **სტეფან ვუტორმეიერი, რიკარდო კროი, ედვარდ მაინერსი** (სამხრეთ აფრიკა), **სანტიაგო კორი, ჯოზეფ კორონელი** (ურუგვაი), **კონსტანტინე მიქაუტაძე, ანტონ ფეიქრიშვილი, დავით კაჭარავა** (საქართველო), **ალექსანდრე უჯმაჯურიძე** (საქართველოს რაგბის კავშირი) და რაგბის საერთაშორისო საბჭოს წარმომადგენელი **ენდრიუ ჰოგანი.**

სტუმრებმა ბავშვებთან ერთად რაგბი ითამაშეს და საჩუქრად ბურთები გადასცეს.

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

ტესტები



ბისმარკ დუ პლესი

# ორი ცვლილება ბოკეში

**სამხრეთ აფრიკის ნაკრები მომავალ უქმეებზე მეორე ტესტმატჩს გამართავს შინ შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან. „ბოკეს" თავკაცმა ჰეინკე მეიერმა პირველ მატჩში იტალიასთან მოგების შემდეგ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა.**

„სკოტებთან" ცხრა ნომრის პოზიციაზე გამოცდილი **რუან პინარი** ითამაშებს, რადგან **იანო ვერმაკი** დაშავდა. ტრავმირებულია ასევე მორკინალი **ფრანსუა ლოუ,** რომელსაც **მარსელ კუცია** შეცვლის. სათადარიგოთა შორისაა **ბისმარკ დუ პლესი.** მან ათი თვის წინათ მუხლის მყესები დაიზიანა და გამოჯანმრთელების შემდეგ პირველად გამოჩნდება ეროვნულ გუნდში.

*„შესანიშნავია, რომ ბისმარკ დუ პლესი ისევ გუნდშია, მაგრამ მე ის უფრო მიხარია, რომ შემადგენლობაში ადგილი სიია კოლისიმ და პიტ ფან ზილმა მოიპოვეს. მათ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სერიოზული პროგრესი განიცადეს.*

*ჩვენ დიდ პატივს ვცემთ შოტლანდიის ნაკრებს, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ, ისევე როგორც იტალიელებთან, მათთანაც ექსპერიმენტების ჩატარებას ვაპირებთ"* - თქვა სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჰეინკე მეიერმა.**

შეგახსენებთ, რომ **სიია კოლისი, პიტ ფან ზილი** და **ებენ ესტებესი** სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდული ნაკრების წევრები იყვნენ 2011 წელს, როცა „უმცროსმა ბოკემ" მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო.

**სამხრეთ აფრიკა**

**15. ვილი ლე ლრუ, 14. ბრაიან ჰაბანა, 13. ჟეი ჟეი ენგელბერხტი, 12. იან დე ფილიერსი, 11. ბიორნ ბესონი, 10. მორნი სტეინი, 9. რუან პინარი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ადრიან სტრაუსი, 3. იანი დუ პლესი, 4. ებენ ესტებესი, 5. ივანდერ კრუხერი, 6. მარსელ კუცია, 7. არნო ბოთა, 8. პიერ სპისი.**

**16. ბისმარკ დუ პლესი, 17. ტრევორ ნიაკანე, 18. კონი ოსტჰუიზენი, 19. ფლიპ ფან დერ მერვე, 20. სიია კოლისი, 21. პიტ ფან ზილი, 22. პარტიკ ლამბიე, 23. იან სერფონტეინი.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# რიჩი მაქოა ბრუნდება

ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანი და ლიდერი, მესამეხაზელი **რიჩი მაქოა** შვებულებიდან ბრუნდება. ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე შესვენების შემდეგ პირველ მატჩს მშობლიურ კლუბში, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზში" გამართავს.

მაქოამ ახალი ზელანდიის რაგბის კავშირთან 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ უჩვეულო კონტრაქტი გააფორმა. მას ხელშეკრულების მიხედვით უფლება მიეცა ხანგრძლივი შვებულება აეღო და ტრავმები მოერჩინა. ყოველივე ეს კი იმისთვის გახდა საჭირო, რომ მაქოამ 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში ასპარეზობა შეძლოს.

ახალზელანდიელების კერპმა დაბრუნება კი გადაწყვიტა, მაგრამ საამისოდ მას ჯერ კიდევ სჭირდება გარკვეული აღდგენითი პროცედურების გავლა. ზე რაგბის გათამაშება 29 ივნისს განახლდება. „ჯვაროსნებს" აქ სამი მატჩი დარჩათ გასამართავი. თუ პლეი ოფში გავლენ, მაშინ გადამწყვეტი მატჩები მაქოას გუნდისთვის 19 ივლისს დაიწყება. სავარაუდოდ, მაქოა სრულ მზადყოფნაში სწორედ ამ დროისთვის იქნება.

*„მინდა გარკვეული, სპეციალური მომზადება გავიარო და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყო თამაში „კრუსეიდერზში". იმედი მაქვს ფორმის აღდგენას მალე შევძლებ და ეროვნულ ნაკრებსაც დავეხმარები. თუმცა საამისოდ ნამდვილად მზად უნდა ვიყო. სრულიად უნდა გამოვჯანმრთელდე. ახლა გარისკვა ნაღდად არ ღირს"* - თქვა რიჩი მაქოამ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

კრივი


ჯეიმს პეიჯი

# ჩემპიონმა რვა ბანკი გაძარცვა

კრივში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **ჯეიმს პეიჯი** კალიფორნიის შტატის ქალაქ ოკლენდში დააკავეს. ის ექვმიტანილია ბოლო სამი თვის განმავლობაში რვა ბანკის გაძარცვაში. ჯერჯერობით, პეიჯს ბრალი წაუყენეს ერთ ეპიზოდში. მოკრივე წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

პოლიციის აზრით, 42 წლის პეიჯმა ძარცვების სერია 2013 წლის 6 მარტს დაიწყო. მოკრივემ პოლიციისგან მეტსახელი მიიღო - „ბანდიტი ლილებზე" - ამერიკელი ბანკებს გრძელსახელოიანი და საყელოიანი პერანგით გამოწყობილი ძარცვავდა.

2012 წელს, პეიჯი ციხიდან გამოვიდა, სადაც 11 წელი იჯდა ქალაქ ატლანტაში Bank of America-ს გაძარცვის გამო (2001 წლის დეკემბერში). 2012 წლის ნოემბერში ის რინგზე დაბრუნდა და ბრძოლა გამართა აზერბაიჯანელ **რაჰმან იუსუბოვთან**, მაგრამ მეორე რაუნდში ნოკაუტით დამარცხდა.

პეიჯი 1998 წელს, 66.7 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გახდა WBA-ის ჩემპიონი. მაშინ მან რუსი **ანდრეი პესტრიაევი** დაამარცხა. ამერიკელმა სამჯერ წარმატებით დაიცვა ტიტული, მაგრამ 2000 წელს არ ჩაატარა აუცილებელი დაცვა და საჩემპიონო ქამარი ჩამოერთვა. 2001 წელს, პეიჯმა ბრძოლა გამართა **ენდრიუ ლუისთან**, დამარცხდა და სწორედ ამის შემდეგ გახდა მძარცველი. სულ პეიჯმა პროფესიულ რინგზე 30 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 25 (19 - ნოკაუტით) და ხუთი წააგო.

# ტაისონის რეკორდს დაემუქრნენ

18 წლის ბრიტანელმა მძიმეწონოსანმა **ჰიუგი ფიურიმ** განაცხადა, რომ დაამხობს ლეგენდარული **მაიკ ტაისონის** რეკორდს და გახდება მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი სუპერმძიმე წონით კატეგორიაში. 1986 წელს, ტაისონმა საჩემპიონო ქამარი 20 წლისა და 144 დღის ასაკში მოიპოვა.


ჰიუგი ფიური

*"დრო საკმარისად მაქვს. ძალიან ახალგაზრდა ვარ და ყოველი ბრძოლის შემდეგ ვპროგრესირებ. მე ამას გავაკეთებ. დავამხობ მაიკ ტაისონის რეკორდს და გავხდები ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი სუპერმძიმე წონაში"*, - განაცხადა ფიურიმ.

ბრიტანელმა (ის არის ცნობილი მძიმეწონოსანის **ტაისონ ფიურის** ბიძაშვილი) პროფესიულ რინგზე ხუთი ბრძოლა ჩაატარა და ყველა მოიგო (ოთხი – ნოკაუტით). 15 ივნისს ის შეხვდება ჩეხ **ტომაშ მრაჟეკს**.

ამბები

ჰოკეი

## პიტსბურგს მწვრთნელი დაუტოვეს

გუშინ, ჰოკეის ეროვნული ლიგის ორმა მწვრთნელმა შეინარჩუნა თანამდებობა.

„პიტსბურგის" გენერალურმა მენეჯერმა **რეი შერომ** განაცხადა, რომ კლუბმა ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი მთავარ მწვრთნელ **დენ ბილსმასთან**. ხელშეკრულება 2015-16 წლების ბოლომდე იქნება ძალაში. წინა კონტრაქტს მომავალ ზაფხულს გასდიოდა ვადა.

შეგახსენებთ, რომ „პიტსბურგმა" აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში 0:4 წააგო სერია „ბოსტონთან".

ასევე შეინარჩუნა პოსტი „სან ხოსეს" დამრიგებელმა **ტოდ მაკმილანმა**, რომელიც „ზვიგენებს" 2008 წლის 12 ივნისიდან ავარჯიშებს. „შარქსმა" წლევანდელი პლეი ოფის პირველ რაუნდში 4:0 გაანადგურა „ვანკუვერი", მაგრამ შემდეგ წრეში შვიდ მატჩში წააგო „ლოს ანჯელესთან".

## იაგრს 4 მილიონი შესთავაზეს

ჰოკეის კონტინენტალურ ლიგაში მოასპარეზე პრაღის „ლევი" მოლაპარაკებებს აწარმოებს „ბოსტონ ბრუინზის" ლეგენდარულ ფორვარდთან **იარომირ იაგრთან**.

*„ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონტაქტი გვაქვს იარომირ იაგრთან და მოლაპარაკებების პროცესმა გარკვეულ სტადიას მიაღწია"*, - ამბობს ჩეხური კლუბის წარმომადგენელი.

იტყობინებიან, რომ „ლევი" ჩეხური ჰოკეის ვეტერანს, რომელიც ივლისში შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გახდება, წელიწადში ხელფასის სახით 3.5-4 მილიონ ევროს პირდება.

მიმდინარე სეზონში, იაგრი გაცვლის შედეგად „დალასიდან" „ბოსტონში" აღმოჩნდა და ამ გუნდთან ერთად სტენლის თასის ფინალამდე მიაღწია. პლეი ოფის 16 მატჩში მან შვიდი ქულა დააგროვა.

ჩოგბურთი

# მარეი: რაფას მეხუთე ადგილი დანაშაულია

როლან გაროსის ჩემპიონი **რაფაელ ნადალი**, უიმბლდონის სტარტამდე ორი კვირით ადრე, კლასიფიკაციაში მეხუთე ადგილს იკავებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ესპანელი ჩოგბურთელი „დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირზე, შესაძლოა, უკვე მეოთხედფინალში შეხვდეს რეიტინგის ტოპ-სამეულის რომელიმე წევრს - **ნოვაკ ჯოკოვიჩს, ენდი მარეის** ან **როჯერ ფედერერს**.


ენდი მარეი გუშინდელი მატჩის დროს

*„რაფა უიმბლდონზე მეხუთე ნომრად იქნება განთესილი და ეს ნამდვილი დანაშაულია. ის გაცილებით მეტს იმსახურებს*, - ამბობს ამასთან დაკავშირებით ბრიტანელი ენდი მარეი. - *სამწუხაროა, რომ ჩოგბურთში სარეიტინგო სისტემა ასე მუშაობს. ის ითვალისწინებს მხოლოდ ერთი სეზონის შედეგებს, იმ დროს, როცა სპორტის სხვა სახეობებში, მაგალითად, გოლფში, ორწლიანი რეიტინგი მოქმედებს. და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ძლიერი სპორტსმენი ტრავმას მიიღებს, ის მაინც ინარჩუნებს მაღალ პოზიციას. ჩოგბურთში კი, თუ შენ გამოტოვებ ოთხ-ხუთ თვეს, თითქმის არ გაქვს საკუთარი პოზიციის შენარჩუნების შანსი"*.

მარეიმ, რომელმაც როლან გაროსი ზურგის ტრავმის გამო გამოტოვა, პროფესიულ ტურში გამოსვლა გუშინ, „ქუინზ კლაბის" ტურნირზე განაახლა, თუმცა მან ვერ დაასრულა მეორე წრის მატჩი ფრანგი **ნიკოლა მაუს** წინააღმდეგ. ბრიტანელმა 6:3 მოიგო პირველი სეტი, მეორეში კი 2:2-ზე შეხვედრა წვიმის გამო გადაიდო.

*„ბოლო დღეების განმავლობაში ზურგი საერთოდ არ მაწუხებს და თავს შესანიშნავად ვგრძნობ. რამდენიმე ვარჯიში ჩავატარე წამყვან ჩოგბურთელებთან ერთად. არ მინდა დავითარსო, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაფერი კარგად მიდის"*, - განაცხადა მარეიმ.

■ ■ ■

მარეი კვლავინდებურად ლეგენდარული ამერიკელის **ივან ლენდლის** ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. მწვრთნელმა tennis.com-ზე თავის შეგირდთან ურთიერთობებზე ილაპარაკა.

*„მე და ენდი არ ვაწყობთ გეგმებს*, - ამბობს ლენდლი. - *ჩემი მთავარი უპირატესობა სხვა მწვრთნელებთან შედარებით ისაა, რომ მე არ ვარ დამოკიდებული საკუთარ შეგირდზე და ამ სამუშაოს ფულის გამო არ ვასრულებ. შემეძლო გაცილებით მეტი თანხა მეშოვნა საჩვენებელ ტურნირებში გამოსვლით"*.

*„ასე რომ, მე ყოველთვის პირდაპირ ვეუბნები ენდის სიმართლეს, და ეს ძალიან კარგია. თუ ჩემი პირდაპირობით ერთხელ შეიძლება ჩვენი გზები გაიყაროს - დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია. ამ შემთხვევაში დიდი ხნის სურვილს ავისრულებ და გოლფს ვითამაშებ"*, - დაამატა ამერიკელმა.


გაელ მონფილსი

# მონფილსის უარი უიმბლდონს

■ ■ ■

ფრანგული ჩოგბურთის ერთ-ერთმა ლიდერმა **გაელ მონფილსმა** უიმბლდონის გამოტოვება გადაწყვიტა. ჩოგბურთელმა ეს გადაწყვეტილება პირადი მიზეზებით ახსნა, თუმცა კონკრეტული არაფერი უთქვამს.

იტყობინებიან, რომ მონფილმა გამოიტანა განაცხადი უიმბლდონის უაილდ-ქარდზე.

იმის თქმა შეიძლება, რომ გაელის გადაწყვეტილება ტრავმას არ უკავშირდება. ამ კვირას ფრანგი ჰალეს ტურნირზე წარმატებით გამოდის - მან უკვე ორი წრე გაიარა. პირველ რაუნდში კანადელი **მილოშ რაონიჩი** ორ სეტში დაამარცხა, გუშინ კი ასევე ორ პარტიაში გაუსწორდა ჩეხ **იან ჰერნიხს** - 6:2, 6:3.

ამასობაში, უიმბლდონის ორგანიზატორებმა ორი უაილდ-ბარდი გასცეს. მამაკაცებს შორის სპეციალური მიწვევის მფლობელი გახდა ფრანგი **ნიკოლა მაუ**, რომელიც ATP-ის რეიტინგში 224-ე პოზიციას იკავებს. სავარაუდოდ, მაუს მიწვევა იმით არის განპირობებული, რომ ის იყო უიმბლდონის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩის მონაწილე. 2011 წელს, ფრაგის მატჩი **ჯონ ისნერის** წინააღმდეგ 11 საათი და 5 წუთი გაგრძელდა და ბოლო სეტის ანგარიში იყო - 70:68.

რაც შეეხება ქალებს, აქ ძირითად ბადეში მოსახვედრი უაილდ-ქარდის მფლობელი გახდა გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩი**.

ფედერერი მოგებით იწყებს

# რაფა ნადალი: ჩემსა და როჯერს შორის ერთი სინათლის წელიწადია

გუშინ, ჰალეს ტურნირში მეორე წრიდან ჩაება შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, რომლის მეტოქე იყო გერმანელი **სედრიკ-მარსელ შტებე**.

ფედერერმა ორ სეტში მოამთავრა საქმე - 6:3, 6:3 და თავის ერთ-ერთ საყვარელ ტურნირზე, რომელიც ხუთჯერ აქვს მოგებული, საიუბილეო, მე-40 გამარჯვება იზეიმა.

68 წუთის განმავლობაში, შვეიცარიელმა ოთხი ბრეიკი გააკეთა, თავად კი ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება. როჯერის შემდეგი მეტოქე კიდევ ერთი გერმანელი **მიშა ზვერევი** იქნება, ვინც 7:6, 6:3 მოუგო **მირზა ბაშიჩს**. ამ უკანასკნელმა, წინა დღეს სენსაცია მოახდინა, როცა პოლონელი **იერჟი იანოვიჩი** გამოთიშა ბრძოლას.

■ ■ ■

ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** სააგენტო AP-სთვის მიცემულ ინტერვიუში შეაფასა იმის ალბათობა, შეძლებს თუ არა ის როჯერ ფედერერის რეკორდამდე მიღწევას „დიდი სლემის" ტურნირებზე მოპოვებული გამარჯვებების რაოდენობით.

*„ჩემსა და როჯერის რეკორდს შორის - სინათლის წელიწადის ტოლი უფსკრულია*, - ამბობს როლან გაროსის რვაგზის ჩემპიონი. - *დღეს არ ვფიქრობ იმაზე, რომ ამ რეკორდამდე თუნდაც მიახლოებას შევძლებ"*.

შეგახსენებთ, რომ რაფაელ ნადალს „დიდი სლემის" ტურნირებზე 12 გამარჯვება დაუგროვდა, იმ დროს, როცა როჯერ ფედერერის რეკორდი „მეიჯორებზე" 17 ტრიუმფს უტოლდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


როჯერ ფედერერი ჰალეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA ფინალი

# სან ანტონიოში 16 ბომბი გაისროლეს

ისევე, როგორც ორი დღის წინათ, ამჯერადაც, დიდ შესვენებამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშში სოლიდური უპირატესობის მოპოვება. როგორც კი "სპურსმა" 10-ქულიანი სხვაობით დაწინაურება მოახერხა, "მაიამიმ" კარგი დაცვითა და **მაიკ მილერის** ზუსტი სამქულიანებით (5-დან 5 ამ მატჩში და 10-დან 9 სერიაში), შეძლო ანგარიშის გათანაბრება - 44:44. მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს, "სპურსმა" 37 წამში ორი სამქულიანის ჩაგდება მოასწრო და გასახდელში ექვსქულიანი უპირატესობით გაეშურა - 50:44.

სერიის მეორე მატჩში, "ჰიტის" წარმატება განაპირობა 33:5 გაქცევამ მესამე მეოთხედის ბოლოს და მეოთხეს დასაწყისში. გუშინაც, მეორე ტაიმი გადამწყვეტი აღმოჩნდა და ისევ სტუმრებს არ გაუმართლათ. დაწვრილებით ამ ყველაფრის მოყოლას აზრი არ აქვს და საკმარისია ერთი სტატისტიკური მონაცემის მოყვანა: "სან ანტონიომ" NBA-ის ფინალების რეკორდი დაამყარა, როცა 16 სამქულიანი ჩააგდო "მაიამის" ფარში.


ლებრონს სან ანტონიოში დასცინეს

და, რა თქმა უნდა, 36-ქულიანი გამარჯვება (ფინალების ისტორიაში მესამე ყველაზე დიდი სხვაობა) შესაძლებელი გახდა "სან ანტონიოს" ბრწყინვალე დაცვის წყალობით. **გრეგ პოპოვიჩმა** კარგად გაითვალისწინა ის ფაქტორი, რომ **ლებრონ ჯეიმსი** და **დუეინ უეიდი** მაქსიმალურ ეფექტს მეტოქის ფართან ახლოს მოქმედებისას აღწევენ, პერიმეტრზე კი მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი გაცილებით დაბალია. რა გააკეთა ამ დროს "სპურსის" მწვრთნელმა? მან თავის მცველებს მიუთითა, ფარიდან რაც შეიძლება მოშორებით ემოქმედათ ლებრონის წინააღმდეგ, თუნდაც დისტანციიდან ღია სროლის ფასად. დაუმატეთ ამას თითქმის იდეალური მეურვეობა **კავაი ლეონარდის** მხრიდან და მიხვდებით, რატომ ჩაატარა ამ პლეი ოფში ლებრონმა სამი ყველაზე დაბალშედეგიანი მატჩი სწორედ "სან ანტონიოს" წინააღმდეგ.

ასე რომ, პოპოვიჩი ჯეიმსსა და უეიდს საშუალო და შორი ტყორცნების საშუალებას აძლევდა და ამ დუეტმა მიზანი მხოლოდ მაშინ გაასწორა, როცა მატჩს აზრი დაკარგული ჰქონდა (ლებრონს მესამე მეოთხედის ბოლოსკენ 13-დან 11 სროლა ჰქონდა აცილებული და მხოლოდ ორი ქულა დაგროვილი). სამწამიანში კი "მაიამის" ლიდერები იშვიათად აღწევდნენ და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მატჩის ბოლოს, ჯეიმსი ერთხელაც არ დამდგარა საჯარიმოს ხაზზე, რაც ძალიან იშვიათად ხდება და კარგად მიუთითებს "სპურსის" უმაღლეს დაცვით დისციპლინაზე.

ამასთან, "სპურსის" თავდასხმაც იდეალურად აწყობილ მექანიზმს მოგაგონებდათ. და ეს იმის მიუხედავად, რომ მესამე მეოთხედის დიდი ნაწილი **ტონი პარკერმა** გასახდელში გაატარა, სადაც ექიმები მის დაზიანებულ მუხლს ამოწმებდნენ. ფრანგის არყოფნა მასპინძლებმა უმტკივნეულოდ გადაიტანეს და მისი მოედნიდან გასვლის შემდეგ, ბურთის გათამაშება უფრო სწრაფად დაიწყეს.

მესამე მეოთხედის ბოლოს, ლებრონის ზედიზედ შვიდმა ქულამ გარკვეული იმედები ჩაუსახა "მაიამის", რადგან ბოლო მეოთხედის წინ 15-ქულიანი ჩამორჩენა ისეთი კატასტროფული არ ჩანდა. მაგრამ მეოთხე მეოთხედის დასაწყისში მასპინძლების 13:0 გაქცევის შემდეგ, გამარჯვებულის შესახებ საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან.

ამ მატჩის შემდეგ, ექსპერტები "სან ანტონიოში" ახალი "დიდი ტრიოს" ჩამოყალიბებაზე ალაპარაკდნენ. ის ცოტა ხნის წინათ ყველასთვის უცნობი და მეორეხარისხოვანი კალათბურთელებისგან არის შემდგარი. სამი წლის წინათ, **გარი ნილი** (10-დან 6 სამქულიანი ჩააგდო) "ბენეტონში" თამაშისას ვერც იფიქრებდა, რომ **მანუ ჯინობილის** გზას გაივლიდა და NBA-ის ფინალში ითამაშებდა. ასევე სამი წლის წინ, დენი გრინი (9-დან 7 სამქულიანი), როგორც გამოუსადეგარი კალათბურთელი, "კლივლენდიდან" გააგდეს. მაშინ ამ გუნდში ლებრონ ჯეიმსი თამაშობდა. კავაი ლეონარდს კი მაშინ ჯერ დაწყებულიც არ ჰქონდა პროფესიული კარიერა.

1985 წლიდან, როცა NBA ფინალურ სერიებში 2-3-2 ფორმატზე გადავიდა, 1:1-ზე მესამე მატჩში გამარჯვება პრაქტიკულად სერიის მოგებას ნიშნავს. ასე იყო 13-დან 12 შემთხვევაში, ერთადერთი გამონაკლისი კი... "მაიამია", რომელმაც 2:1-დან წააგო სერია "დალასთან". ახლა, ტრადიციის დარღვევისთვის, ოღონდ დადებითი კუთხით, ფლორიდელებმა მინიმუმ ერთი მატჩი უნდა მოიგონ სან ანტონიოში, არადა, რეგულარულ ჩემპიონატებში ტეხასში მხოლოდ სამჯერ აქვთ მოგებული და 22 მარცხი დაუგროვდათ.

**სან ანტონიო-მაიამი 113:77**

**24:20, 26:24, 28:19, 35:14**

ს-ა: გრინი (27), ნილი (24+3 პასი), ლეონარდი (14+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), დანკანი (12+14 მოხსნა).

მ: უეიდი (16+5 პასი+4 ჩაჭრა), ჯეიმსი (15+11 მოხსნა+5 პასი), მილერი (15), ბოში (12+10 მოხსნა+4 პასი+3 დაფარება).

**სერია**: 2-1

# კიდი ბრუკლინს მიუახლოვდა

როგორც Yahoo! Sports წერს, "ბრუკლინ ნეტსის" ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, უკვე ამ კვირას დანიშნოს მთავარ მწვრთნელად **ჯეისონ კიდი**. ლეგენდარული გამთამაშებლის სამწვრთნელო შტაბში, სავარაუდოდ, "ნეტსის ყოფილ მთავარ მწვრთნელს **ლოურენს ფრენკსა** და "დეტროიტის" მწვრთნელის ასისტენტს **როი როჯერსს** ვიხილავთ.

"ბრუკლინის" გენერალური მენეჯერი **ბილი კინგი** დღეს აპირებს მწვთნელობის კიდევ ერთ კანდიდატთან - **ბრაიან შოუსთან** შეხვედრას, თუმცა ეს შეიძლება არც მოხდეს, რადგან შოუ ერთი დღით ადრე „კლიპერსის" ხელმძღვანელობას ხვდება და ამ კლუბის მთავარი მწვრთნელის როლი მისთვის პრიორიტეტულია.


ჯეისონ კიდი

■ ■ ■

გუშინ, კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა "ბრუკლინთან" დაკავშირებით. რუსი მილიარდერი და პარტია "სამოქალაქო პლატფორმის" ლიდერი **მიხაილ პროხოროვი** იძულებული იქნება გაყიდოს "ნეტსის" აქციათა საკუთარი პაკეტი, თუ გადაწყვეტს მოსკოვის მერის არჩევნებში მონაწილეობას. საქმე ისაა, რომ რუსეთში მიიღეს კანონი, რომელიც უკრძალავს რუს ჩინოვნიკებსა და მათი ოჯახების წევრებს უცხოეთში ანგარიშების გახსნას.

ამჟამად, პროხოროვის მფლობელობაშია "ბრუკლინის" აქციათა 80 პროცენტი და კლუბის არენის Barclays Center-ის 55 პროცენტი.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლეგენდარული ცენტრი **პატრიკ იუინგი** "შარლოტ ბობკეტსის" მთავარი მწვრთნელის - **სტივ კლიფორდის** ასისტენტი გახდა.

იუინგს ამ პოსტზე მუშაობის რვაწლიანი გამოცდილება აქვს: ის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო "ჰიუსტონში" (2003-08) და "ორლანდოში" (2008-12). ორივე შემთხვევაში, იუინგის პარტნიორი სამწვრთნელო შტაბში კლიფორდი იყო.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| მალავი-კენია | 2:2 |
| ნამიბია-ნიგერია | 1:1 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| განა-კოტ დ'ივუარი | 2:1 |

**ევრო 2013**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| რუსეთი-გერმანია | 1:2 |
| ესპანეთი-ჰოლანდია | 3:0 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალკორკონი-ხირონა | 1:1 |
| ლას პალმასი-ალმერია | 1:1 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი (ვ)-ირაკლისი (ს) | 4:0 |
| პანაიტოლიკოსი-ნიკი ვოლუ | 2:1 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| ველეს სარსფილდი-ალ ბოისი | 0:0 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ოლდენბურგი-ბამბერგი | 61:63 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-რეტიმნო | 71:60 |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 72:76 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ბანვითი-გალათასარაი | 86:85 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ჰალე**

| | |
|---|---|
| **იუჟნი**-ნიშიკორი | 6:1, 6:7, 6:3 |
| ჰერნიხი-**მონფილსი** | 2:6, 3:6 |
| **ზვერევი**-ბაშიჩი | 7:6, 6:3 |
| **ფედერერი**-შტებე | 6:3, 6:3 |

**ATP. ლონდონი**

| | |
|---|---|
| **ჰიუიტი**-დიმიტროვი | 6:4, 6:3 |
| ხირალდო-**დოლგოპოლოვი** | 3:6, 6:4, 4:6 |
| ნიემინენი-**ევანსი** | 4:6, 7:6, 4:6 |
| **ჩილიჩი**-დოდიგი | 6:3, 6:4 |
| **დე სხეპერი**-ანდერსონი | 6:4, 6:3 |
| **ჟემლია**-სტახოვსკი | 7:5, 6:4 |
| დე ბაკერი-**ბერდიხი** | 1:6, 4:6 |
| როსოლი-**ბეკერი** | 6:7, 5:7 |

**WTA. ნიურნბერგი**

| | |
|---|---|
| **ჰალეპი**-მინი | 6:0, 7:5 |
| **ჰერცოგი**-ზაკოპალოვა | 6:3, 4:6, 6:1 |
| **კაბესა კანდელა**-მარტინკოვა | 6:2, 6:3 |
| **იანკოვიჩი**-რუსი | 6:4, 6:2 |
| **საფაროვა**-ტორრო ფლორი | 6:4, 6:2 |
| მინელა-**დომინგეს ლინო** | 1:6, 4:6 |
| **ვოსკობოევა**-კორნე | 2:6, 6:3, 6:3 |
| გორგესი-**პეტკოვიჩი** | 1:6, 5:7 |
| კნაპი-**ბეკი** | 4:6, 2:6 |
| **ჰალეპი**-კაბესა კანდელა | 6:2, 6:1 |
| **იანკოვიჩი**-ლარსონი | 6:2, 6:0 |
| კოენი-**ჰერცოგი** | 3:6, 3:6 |

**WTA. ბირმინგემი**

| | |
|---|---|
| ვან უიტვანკი-**სანჩესი** | 6:7, 3:6 |
| ჰლავაჩკოვა-**იოვანოვსკი** | 6:4, 1:6, 4:6 |
| **კირსტეა**-პირონკოვა | 6:4, 6:4 |
| უოტსონი-**კუდრიავცევა** | 4:6, 3:6 |
| რობსონი-**ჰანტუხოვა** | 3:6, 4:6 |
| კონტა-**მლადენოვიჩი** | 4:6, 1:6 |
| **ლუჩიჩი**-ვიკმაიერი | 6:4, 6:0 |
| იოჰანსონი-**რიბარიკოვა** | 5:7, 7:6, 4:6 |
| **ლისიცკი**-კრის. პლიშკოვა | 6:4, 6:2 |
| **სკიავონე**-კიჩენოკი | 7:6, 6:2 |
| **ერაკოვიჩი**-მაკაროვა | 7:6, 3:6, 6:0 |
| **ფლიპკენსი**-ტომლიანოვიჩი | 4:6, 6:4, 7:5 |

● TV პროგრამა

**13 ივნისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. ნაპოლი-დნეპრი.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-არსენალი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლფსბურგი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ნიიმეგენი.
**18:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.
**00:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**01:00** გერმანიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტვენტე.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. II მატჩი.
**15:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. დნეპრი-ნაპოლი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ედინბურგი-რასინგი.
**19:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**20:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ატლეტიკო-აკადემიკა.
**22:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. კობი ბრაიანტი. II ნაწილი.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. სან ანტონიო-მაიამი. III მატჩი.
**01:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. სან ანტონიო-მაიამი. IV მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**12:40** სპორტ-NEWS.
**13:10** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**14:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ნიუ იორკი.
**16:45** სპორტ-NEWS.
**17:15** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. პორტლენდი-დალასი.
**22:00** ჩოგბურთი. მიმოხილვა.
**22:40** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 30 | (მზე) |
| ქუთაისი | 18 | 33 | (მზე) |
| ბათუმი | 17 | 29 | (მზე) |
| ქობულეთი | 15 | 30 | (მზე) |
| ფოთი | 17 | 30 | (მზე) |
| ზუგდიდი | 16 | 34 | (მზე) |
| გორი | 14 | 31 | (მზე) |
| თელავი | 16 | 30 | (მზე) |
| სიღნაღი | 15 | 29 | (მზე) |
| ბაკურიანი | 10 | 24 | (მზე) |
| ბორჯომი | 12 | 30 | (მზე) |
| მესტია | 10 | 24 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1995 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6565 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5933 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1134 |

● ბიატლონი

# ბიორნდალენმა წასვლა გადაწყვიტა

ლეგენდარული ნორვეგიელი ბიატლონისტი, ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ოლე-ეინარ ბიორნდალენი** კარიერას ასრულებს. მისი სიტყვებით, 2013-14 წლების სეზონი ბოლო იქნება მის მდიდარ კარიერაში. შესაბამისად, ბიორნდალენისთვის ბოლო დიდი ტურნირი იქნება სოჭის ოლიმპიური თამაშები, რომელიც 2014 წლის თებერვალში გაიმართება.

*„სოჭის თამაშების შემდეგ დავასრულებ კარიერას, - ამბობს ნორვეგიელი. - ყოველ ჯერზე სულ უფრო მძიმე ხდება ვარჯიში და შეკრებები. მომწონს, რასაც ვაკეთებ, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. მინდა ღირსეულად ჩავატარო ბოლო სეზონი".*


ოლე-ეინარ ბიორნდალენი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# არ ვფიქრობ, რომ ქართველებს სხვებისგან განსხვავებული მენტალიტეტი აქვთ

ლელოს სტუმარი

დუშან უჰრინი




დუშან უჰრინი

<< პირველი გვერდიდან

**- ბოლოს "დინამო" ჩემპიონი უფროსი დუშან უჰრინის ხელმძღვანელობით გახდა. ალბათ, მამათქვენს ამ თემაზე ესაუბრეთ.**

- მე და მამაჩემმა "დინამოს" ჩემპიონობა ერთად ვიზეიმეთ, ისევე როგორც მისი 70 წლის იუბილე. რასაკვირველია, მე და მან ბევრ საფეხბურთო საკითხზე ვისაუბრეთ. ისე კი, შეგახსენებთ, რომ მამაჩემს, ჩემგან განსხვავებით, დუბლი არ შეუსრულებია (იცინის).

**- მამა იშვიათად არის შვილით კმაყოფილი. თქვენს შემთხვევაში როგორაა?**

- ამაზე არ ვლაპარაკობთ ხოლმე, მაგრამ ვიცი, რომ იგი ჩემით ყოველთვის უკმაყოფილოა.

**- ელოდით ასეთ შედეგს?**

- თავიდანვე, როცა გუნდი ჩავიბარე, მიზნად დუბლის შესრულება დავისახეთ, თუმცა მთავარი, რა თქმა უნდა, მაინც ჩემპიონობა იყო. სეზონი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, ყველა მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძოდით და ასი პროცენტით ვიხარჯებოდით.

**- გულშემატკივარი უცხოელი მწვრთნელისა და ფეხბურთელისგან ყოველთვის მეტს ითხოვს. ამის გამო თავს წნეხში ხომ არ გრძნობდით?**

- საზღვარგარეთ აქამდეც მიმუშავია და ამ წნეხს მიჩვეული ვარ. თავიდანვე კარგად ვაცნობიერებდი, როგორი პასუხისმგებლობაა "დინამოს" მწვრთნელობა. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე "ტორპედოსა" და "დილასთან" ფრედ ვითამაშეთ, რაც, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, გამარჯვების ტოლფასი იყო. ამ დროს ოჯახიც კი გავუშვი სამშობლოში, რათა საქმეზე სრული კონცენტრირება მომეხდინა.

**- ალბათ, იცით, რომ საქართველოს მომავალი ჩემპიონატის თაობაზე სრული გაურკვევლობაა. კვლავ უცნობია, რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში. ეს მოსამზადებელი ციკლის დაგეგმვაში ხელს არ გიშლით?**


ფოტო: www.interpressnews.ge

- ამ ეტაპზე ზუსტი გეგმა გვაქვს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მომზადებას ითვალისწინებს.

**- "დინამოში" გყავთ საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც დუბლშემადგენლობაში თამაშობენ. როგორ გადაწყდება მათი საკითხი?**

- ჩვენ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს – შინდაგორიძე, პაპავა, გველესიანი, ხოჭოლავა, ჯილაური... ხოლო ის პრობლემა, რაც აწუხებს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, ჩემი პრობლემა ვერ იქნება. ჩემს გუნდს უნდა მივხედო. მე არ გახლავართ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი, რომ ძირითად შემადგენლობაში თერთმეტი გამოუცდელი ფეხბურთელი გავამწესო. ასე რომ ვქნა, ევროთასებზე წარმატების შანსი ნულის ტოლი იქნება. "დინამოში" შანსი ყველა ახალგაზრდას მივეცით. ეს შანსი ზოგმა გამოიყენა, ზოგმა კი – ვერა. ვინც ვერ გამოიყენა, მათ სხვა კლუბებში გავანათხოვრებთ.

ნიჭიერი ფეხბურთელების უმრავლესობა ღარიბი ოჯახებიდან მოდის და მათ დიდი შრომა და კონცენტრაცია სჭირდებათ იმისთვის, რომ ყოფა გამოისწორონ.

**- ზამთარში "დინამომ" მილხრაუმი, ტატანაშვილი და მენდი დაიმატა, ზაფხულში კი მათზე უარი თქვა. ეს ფეხბურთელები თქვენი სურვილით მოიყვანეთ თუ კლუბის ხელმძღვანელობის ინიციატივა იყო?**

- ვიტყოდი, რომ 50/50-ზე. მესმის თქვენი შეკითხვის არსი. ყოველთვის ვცდილობ, აქცენტი ქართველ ფეხბურთელებზე გავაკეთო, რადგან მათ თამაშს საქართველოს ჩემპიონატში ვადევნებ თვალს და მათ შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ. მაგალითად, მილხრაუმის საჭიროება უცებ გაჩნდა, რადგან "დინამო" რეხვიაშვილმა დატოვა. მე ნახევარი წლით ფეხბურთელების მოყვანას ტრანსფერს ვერც ვუწოდებ.

ზოგადად კი, მთავარია, კლუბს წარმატება ჰქონდეს და ევროპაში კლუბის ხელმძღვანელი არ დაეძებს, ამ წარმატებას ადგილობრივი ფეხბურთელები მოუტანენ თუ ლეგიონერები. უკეთესი შედეგები თუ გვინდა, უკეთესი მოთამაშეების ყიდვაც უნდა შეგვეძლოს. თუკი მაგალითად, პრაღის "სპარტა" 1-2 მილიონად ღირებულ ფეხბურთელებს ყიდულობს, საქართველოში ნახევარი მილიონისა და 200 ათასის გადახდაც პრობლემაა. თუმცა გამონაკლისებიც არსებობს – ასე მაგალითად, ჯაბა დვალის სანაცვლოდ "დინამომ" "ზესტაფონს" სოლიდური თანხა ჩაურიცხა.

**- გასული სეზონის განმავლობაში როტაციას, ფაქტობრივად, არ მიმართავდით. ეს თქვენი სტილია თუ ამას კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე აკეთებდით?**

- შეიძლება ითქვას, რომ ჩემი სტილია. აქცენტს ყველგან 15 ფეხბურთელზე ვაკეთებ. ასე უფრო ადვილია მათთვის დავალებების განაწილება, ხოლო ვინც ამ 15-ში ვერ ხვდება, უფრო მკაფიოდ იცის, რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების შანსი მიეცეს.

**- რეხვიაშვილი "დინამოს" დაუბრუნდება?**

- არა, არ დაუბრუნდება და ამის მიზეზსაც გეტყვით. იგი ვარჯიშებზე არაკონცენტრირებული იყო. ჩემი არაერთი შენიშვნის მიუხედავად, მაინც იგივეს იმეორებდა, მხოლოდ მცირე დროით ახერხებდა თავის ხელში აყვანას და შემდეგ მაინც თავისას აგრძელებდა. მე შემიძლია, ფეხბურთელს რაღაცაზე მივუთითო ერთხელ, ორჯერ და სამჯერ, მაგრამ არა – ათჯერ. ამდენი დრო არ მაქვს. დემოკრატია იმას არ ნიშნავს, რომ ყველამ ის აკეთოს, რასაც მოისურვებს. არსებობს წესები და კანონები, რომლებსაც მწვრთნელებიც უნდა დაემორჩილონ და ფეხბურთელებიც.

**- საინტერესოა, რატომ თქვით კოტოზე უარი.**

- ყველაფრის თავი და თავი არის მაღალი ხელფასი, რაც მისგან მოტანილ სარგებელს არ შეესაბამებოდა. მის პოზიციაზე ქუთაისის "ტორპედოდან" ელგუჯა გრიგალაშვილის დამატება გვინდა.

**- ახალი ტრანსფერების შესახებ სხვა არაფერია ცნობილი?**

- ჯერ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ რუსთავის "მეტალურგის" ნევერ მიქაბერიძეს ვაკვირდებით, თუმცა მისი სინჯებზე მოყვანა ჩემი ინიციატივა არ ყოფილა.

**- მილან ბაროშის ტრანსფერზე საუბარიც არ ყოფილა?**

- ვერ გეტყვით, რატომ დაირხა ხმები, თითქოს ბაროშის დამატებას ვაპირებდეთ. ახლა იგი მშობლიური კლუბის, ოსტრავის "ბანიკის" ღირსებას იცავს, იქ უხელფასოდ თამაშობს და მეტიც, კლუბს ფინანსურადაც ეხმარება, სულ მალე კი, სავარაუდოდ, რომელიმე არაბულ კლუბს მიაშურებს, სადაც წლიური ხელფასი 1,5-2 მილიონი ევრო ექნება.

**- არის თუ არა "დინამო" მზად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად და თუ არ არის, როდისთვის იქნება შესაძლებელი ამ მიზნისთვის მებრძოლი გუნდის ჩამოყალიბება?**

- ამაზე ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან ჩვენი წარმატება ბევრ რამეზეა დამოკიდებული. უდიდესი მნიშვნელობა აქვს წილისყრის შედეგებსაც და რა თქმა უნდა, ტრანსფერებსაც. თუმცა ბრძოლა ყველასთან შეიძლება. ასე მაგალითად, ჩემს გუნდს ორი მატჩის ჯამში მარსელის "ოლიმპიკი" დაუმარცხებია, რომლის ღირსებასაც ფრანკ რიბერი იცავდა.

**- ბოლო ორი მატჩისთვის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ ორი დინამოელი იყო გამოძახებული. როგორ ფიქრობთ, მხოლოდ ლორია და ძარია არიან სანაკრებოდ მზად?**

- ჩემი მხრიდან ამაზე საუბარი, შეიძლება, გამართლებული არ იყოს, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ სანაკრებო შანსს ასევე იმსახურებენ კვარაცხელია, ხმალაძე, მერებაშვილი, სეთურიძე და დვალი. დვალმა ეგვიპტესთან ამხანაგური მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა, მერებაშვილის მიერ გაკეთებული საგოლე პასების რაოდენობა კი შთამბეჭდავია. სურვილის ასრულებას და საქართველოს ნაკრებში თამაშს ჩისკოსაც ვუსურვებ.

**- საქართველოს ნაკრებზე სხვას რას იტყოდით?**

- ბევრს ვერაფერს. პატარა ქვეყანა ხართ და ძნელია, სერიოზული სანაკრებო წარმატებების იმედი გქონდეთ. მომეწონა ბელარუსსა და ესპანეთთან ჩატარებული საშინაო მატჩები. ისე, ჩეხეთში ამდენი ტექნიკური ფეხბურთელი ნამდვილად არ არის.

**- "ლელომ" სეზონის ნომინანტები დაასახელა და ყველა ამპლუაში დინამოელები გამოარჩია. ეთანხმებით ჩვენს არჩევანს?**

- აბსოლუტურად ვეთანხმები და კმაყოფილი და მადლიერი გახლავართ.

**- ბევრი უცხოელი მწვრთნელი ქართული მენტალიტეტის თავისებურებებზე საუბრობს. თქვენ რა შეხედულება გაქვთ ამ საკითხზე?**

- არ ვფიქრობ, რომ ქართველებს სხვებისგან განსხვავებული მენტალიტეტი აქვთ. დილას ადრე ადგომა და მუშაობა სხვა ქვეყნებშიც ეზარებათ.

**- "დინამო" საუკეთესო ქართველი ფეხბურთელებით რომ იყოს დაკომპლექტებული, შეძლებდა ევროპული წარმატებების მიღწევას?**

- ვფიქრობ, რომ გარკვეული შედეგები აუცილებლად ექნებოდა. თანამედროვე ფეხბურთში ძალიან ცოტაა ულეგიონერო კარგი გუნდები, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობს – მაგალითად, ბელარუსული ბატე. ამხელა ფინანსური შესაძლებლობები ჩვენ არ გაგვაჩნია.

**- იმას გულისხმობთ, რომ სასურველი ფეხბურთელების შეძენას ვერ ახერხებთ?**

- საქართველოში ასეთი სისტემაა – აქცენტი იაფიან ფეხბურთელებსა და თავისუფალ აგენტებზე კეთდება.

**- ქართულ მედიასთან თანამშრომლობით თუ ხართ კმაყოფილი?**

- სიმართლე გითხრათ, ინტერვიუებით განებივრებული არ გახლავართ, ყველაზე დიდ ყურადღებას კი ყოველთვის თქვენი გაზეთისგან ვგრძნობ ხოლმე. ქართულ მედიასთან ჩემი კონტაქტი ინტენსიური არ არის და მხოლოდ დროდადრო თუ მაქვს თქვენს კოლეგებთან შეხება. რუმინეთსა და ჩეხეთში კი ბევრად მეტი ყოველდღიური საფეხბურთო გამოცემაა და იქ მუშაობისას ჟურნალისტებთან ყოველდღიური შეხება მქონდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11



ლელო — დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608